პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქარ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის-თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 13-49.
ხელისმოწერის ფასი [illegible] 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ [illegible] „[illegible]" და „მეცნიერება და ტექნიკა". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ცალობით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადება მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 22 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 217 (1372)

დღევანდელი ნომერი შეიცავს [illegible] გვერდს

დღეს

— [illegible] ჟურნალისტები ერთხმად [illegible] ლიგის [illegible].
— ლიტვაში მოელიან [illegible] გადაყენებას.
— ლიტვაში ძლიერდება [illegible] წინააღმდეგ.
— რუმინეთი სცდილობს შექმნას ბალკანეთის სახელმწიფოების ბლოკი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა ჰაიდელბერგში

ხუთი დღის მუშაობის შემდეგ დასრულდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა, რომელიც გერმანიის პროლეტარიატის ერთ-ერთი მოღალატის, განსვენებული „დემოკრატიული რესპუბლიკის" განსვენებული პრეზიდენტის, ფრიც ებერტის ხსოვნის პატივსაცემათ მის სამშობლო ქალაქ ჰაიდელბერგში მოიწვია პარტიის გამგეობამ.

იყო დრო (ომამდი და განსაკუთრებით 1910 წლამდი), როდესაც მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელი პარტიის ყრილობები (პარტაიტაგები) იზიდავდენ არა მარტო ამ ინტერნაციონალის სექციების, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატისა და მსოფლიო ბურჟუაზიის ყურადღებას. როგორც მტერი, ისე მოყვარე ხედავდა ამ სოციალ-დემოკრატიაში და მის „წითელ პარლამენტებში" (ასე უწოდებდენ ამ ყრილობებს) უძლიერეს შემოქმედ ძალას მუშათა განმანთავისუფლებელი მოძრაობისას. ის წარმოადგენდა მრავალრიცხოვან, მასიურ, დისციპლინიან გაერთიანებას დიდი რევოლიუციონერების ხელმძღვანელობით აღზრდილ მოწინავე გერმანიის პროლეტარიატისას. რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში იქიდან ელოდა და ისმენდა მსოფლიო პროლეტარიატი და მისი სოციალ-დემოკრატიული პარტიები ახალ სიტყვას.

ეს დრო გათავდა. ბურჟუაზიასთან შეგუების ტაქტიკამ, ბურჟუაზიულ წესწყობილებასთან შეზრდის პროცესმა მოჰკლა ის რამოდენიმეთ რევოლიუციონური პროგრამა და მისი დამცველი ფორმალური უმრავლესობაც პარტიისა, რომლებიც გამოიკვეთენ ისტორიული დრეზდენის პარტიატაგზე (1903 წ.), როდესაც მარქსისტულმა „ორტოდოქსიამ" კაუცკისა და ბებელის მეთაურობით ფორმალურათ მაინც (როგორც შემდეგ გამოირკვა) დამარცხა რევიზიონიზმი თეორიაში და ოპორტიუნიზმი პრაქტიკულ-პოლიტიკურ მუშაობაში.

მსოფლიო ომმა დაამთავრა ეს პროცესი. მან დაასამარა ყოველივე ის რევოლიუციონური, რაც კიდევ ახასიათებდა რამოდენიმე წლით ადრე ამ ომამდი გერმანიის პროლეტარიატის პოლიტიკურ ორგანიზაციას. აქ უნდა დავათავოთ ეს პატარა მოგონება წარსულზე და დავუბრუნდეთ აწმყოს.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ყურადღების ღირსი არ იყონ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კონგრესები ახლაც. არა ნაკლები ინტერესით, ვინემ წინათ, მათ დღევანდელ „მუშაობას" ადევნებს თვალს რევოლიუციონური პროლეტარიატი, რადგან ეს პარტია დღეს აკეთებს ბურჟუაზიული რეაქციის საქმეს, საქმეს სოციალისტური რევოლიუციის მტრებისას. ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა კი არ არის, არამედ საშუალება ჩვენი მიმდინარე და მომავალი ბრძოლისათვის შესაიარაღებლათ, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს სხვათა შორის მტრების ძალების გათვალისწინებით და აღრიცხვით, მათი პოზიციების დაზვერვით, მოსინჯვით. დღევანდელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თვალყურის დევნებით ჩვენ ვსწავლობთ მტრების ნაბიჯებს, მათ მოსამზადებელ ოპერაციებს რევოლიუციის წინააღმდეგ. რევოლიუციის საწინააღმდეგო ასეთი მუშაობით ხასიათდება ჰაიდელბერგის ყრილობაც.

ყრილობის დღის წესრიგში იდგენ შემდეგი საკითხები: 1) პარტიის ფორშტანდის (გამგეობის) ანგარიში; 2) ანგარიში საკონტროლო კომისიისა (ბარმატ-ბაუერის საქმე); 3) რეიხსტაგის ს. დ. ფრაქციის ანგარიში; 4) ევროპის პოლიტიკის პრობლემები; დღის წესრიგის ეს საკითხი შეიცავდა მოხსენებას მეორე ინტერნაციონალის კონგრესის შესახებ მარსელში; 5) პარტიული პროგრამა და 6) ფორშტანდის (ხელმძღვანელი ორგანოს) არჩევნები.

პარტიის გამგეობის ანგარიში შეეხებოდა მის მუშაობას იმ დროის განმავლობაში, როდესაც დამარცხებული გერმანია მოკავშირე სახელმწიფოებმა დააყენეს დამარცხებულის ვალის მოხდის გადაუდებელ, უშუალოთ, პრაქტიკული აუცილებლობის წინ დაუესის გეგმის გატარების გზით. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ეს გეგმა შეიცავს სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროების ჩაგდებას მოკავშირეებისა და ამერიკის (როგორც კრედიტორის) ხელში და პროლეტარიატის უზომო ექსპლოატაციას. ფაქტიურათ გერმანიის მუშათა კლასმა უნდა გადაიხადოს გერმანიის კონტრიბუცია და იმავე დროს შექმნას ის ზედმეტი ღირებულებაც, რომლითაც უნდა იცხოვროს ფუფუნებაში და ისაქმოს (ნაციონალური მეურნეობის განსავითარებლათ,—როგორც ჩვეულებრივ ამბობენ) გერმანიის ბურჟუაზიამ. ყველა ამ მიზნების მისაღწევათ, როგორ ვთქვით, აუცილებლათ „იცნეს" დაქირავებული შრომის უზომო ექსპლოატაცია. პროლეტარიატს მოსტაცეს რვა საათის სამუშაო დღე და შეუმცირეს ხელფასი. ეგრედ წოდებული „შესრულების" (ე. ი. დამარცხებული გერმანიის ვალდებულებათა შესრულების) გამტარებელი გამოვიდა სხვა პარტიებთან ერთად გერმანიის სოციალ-დემოკრატიაც. „სამშობლოს მომავალი", მისი ძლიერება კითხვის ნიშან ქვეშ არის, შინაურ კლასთა ბრძოლაზე ლაპარაკი ამ სამშობლოს ღალატია, „სამოქალაქო ზავი" კლასთა შორის, რომელიც განვახორციელეთ ომის დროს, სამშობლოს განსაცდელის დროს, უნდა დარჩეს ძალაში ახლაც, ამ გზით უნდა შეუნარჩუნოთ გერმანიას მისი საპატიო ადგილი მსოფლიოში-ო —ამას ქადაგებდა სოციალ-დემოკრატია. პარტიის ფორშტანდის მოხსენება შეიცავდა „შესრულების" ტაქტიკის კვლავ დასაბუთებას და ამის შესაფერისი წარსული მუშაობის გამართლებას. და ვინაიდან მთელი მოღვაწეობა კომპარტიისა მიმართული იყო ასეთი „საქმიანობის" წინააღმდეგ, ცხადია, მომხსენებელი შტელლინგი ყოველ ნაბიჯზე ილაშქრებდა „მოსკოვის აგენტების" წინააღმდეგ, რომელთა მუშაობა მიმართულია, მისი სიტყვით, გერმანიის ნაციონალური ორგანიზმის დაშლისაკენ.

„სამოქალაქო ზავის", „შესრულების" პოლიტიკის, მუშათა უზომო ექსპლოატაციის დაკანონებამ სოციალ-დემოკრატიის მხრივ და კომუნისტების მუშაობამ შექმნა გარკვეული სულისკვეთება გერმანიის მუშათა კლასში სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ. და საქსონიის, ჰესსენის, ფრანკფურტის, ტიურინგიის ს. დ. ორგანიზაციების დელეგატებში ოპოზიცია, რომელიც დიდი რიხით, სიტყვების რახარუხით გამოვიდა უკვე ფორშტანდის მოხსენების გამო გამართულ კამათში და რომლის გამოსვლები გაგრძელდა შემდეგაც დღის წესრიგის სხვა კითხვების გარჩევის დროს—ეს ოპოზიცია იმდენათ არის მისაღები მხედველობაში, რამდენადაც ის მაჩვენებელია როგორც სოციალ-დემოკრატიულ მუშების, ისე საზოგადოთ მუშათა მასის უკმაყოფილებისა სოც.-დემოკრატიით. ოპოზიცია ბრალს სდებდა გაბატონებულ კამარილიას პარტიაში, რომ მან უღალატა კლასთა ბრძოლას და ხელში შეინარჩუნა მხოლოდ რესპუბლიკანური დროშა; რომ ს.-დემოკრატიამ დაივიწყა თავისი დანიშნულება მუშათა მასის გაღვიძებისა და გათვითცნობიერებისა (ამას ამბობდა რინეგატი პაულ ლევი, ყოფილი კომუნისტი); რომ პარტიამ ასეთი პოლიტიკის გამო დაჰკარგა ერთი წლის განმავლობაში ოთხმოცდათასამდე პარტიის წევრი და სხვ.

მიუხედავათ ასეთი კრიტიკისა, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობა მოწონებული იქნა ერთხმად ე. ი. მას ხმა მისცა ამ ოპოზიციამაც.

ამ უკანასკნელის ნამდვილი სახე უფრო აშკარა იქნება ჩვენთვის, თუ ვიტყვით, რომ მეორე ინტერნაციონალის კონგრესის შესახებ მოხსენების გამო გამართულ კამათში ამ უბადრუკი ოპოზიციის ორატორები სრულიად ეთანხმებოდენ მომხსენებელ არტურ კრისპინს (რომელიც ერთ დროს მოსკოვში ჩავიდა და კომინტერნის აღმასკომს სთხოვდა მიგვიღეთო) იმაში, რომ დღევანდელ მშვიდობიანობას ემუქრება ერთი მხრით ინგლისი, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებს, და მეორე მხრით,—თვით საბჭოთა კავშირი როგორც „წითელი იმპერიალისტური" ძალა, რომელიც საფრთხეს უმზადებს დასავლეთ ევროპასო. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მაინც ილაშქრებდა სიტყვით მეორე ინტერნაციონალისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რამდენადაც ისინი იწონებენ „საგარანტიო პაქტს" და თანახმა არიან გერმანიის შესვლისა ხალხთა ლიგაში: ოპოზიცია ამბობდა, რომ ორივე ზომა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გვიმზადებს ომსო.

დაბოლოს კრისპინის რეზოლიუციაც ერთხმად იქნა მიღებული.

ჩვენ ვხედავთ, რამდენათ უხერხემლოა ეს ოპოზიცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ყრილობაზე დელეგატთა თითქმის ერთი მეოთხედი ნაწილით. ერთად ერთი რეზოლიუცია, რომლის კენჭის ყრის დროს ოპოზიციამ როგორც იქნა მოიკრიბა მთელი გამბედაობა და მოახდინა სასწაული მის წინააღმდეგ ხმის მიცემით, შეეხებოდა საპარლამენტო ფრაქციის მოღვაწეობას. ფრაქციამ დაივიწყა მუშათა კლასი და საპარლამენტო კომბინაციებში გაიხლართა ბურჟუაზიულ პარტიებთანო—ამბობდა ის. ოთხმოცდაერთი თითი იქნა მორცხვათ მაღლა აწეული.

უმნიშვნელოვანესი საკითხი ყრილობაზე იყო, ეჭვს გარეშეა, ახალი პარტიული პროგრამის პროექტი, რომლის შესახებ მომხსენებლათ დანიშნული იყო ყოფილი „ფინანსთა მინისტრი რუდოლფ ჰილფერდინგი. ჩვენამდი არ მოუღწევიათ ჯერ გერმანულ გაზეთებს ყრილობის ანგარიშებით. სააგენტოს ტელეგრამა ძუნწათ გადმოგვცემს ორ სიტყვას იმის შესახებ, რომ პროექტი მიღებულია, და რომ კამათის დროს, როგორც ეს საჭირო იყო, მომხსენებელმა არ დაგვივიწყა ჩვენ, კომუნისტებიც. მაგრამ ყრილობის შემადგენლობა და მომხსენებლის დღევანდელი ვინაობა იმის თავდებია, რომ პროგრამის პროექტში, რომელიც ჩვენ ხელთ არის („ფორვერტს", 23 ივლისის №-ი), არავითარი პრინციპიალური ცვლილება არ იქნა შეტანილი.

საქმე იმაშია, რომ 1922 წელს შეიდემანის პარტიისა და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის გამაერთიანებელ ყრილობაზე საჭიროთ იქნა ცნობილი ახალი პროგრამის შემუშავება. ორივე პარტიის პროგრამაში იყო „ახალგაზრდობის ცოდვები", ე. ი. „ცოდვები" ნოემბრის (1918) რევოლიუციის დროიდან. ასე, მაგალითად, დამოუკიდებლებისაში მოთხოვნილი იყო „პროლეტარიატის დიქტატურა" და „საბჭოთა სისტემა". ეს მუხლები შეტანილი იქნა ჰილფერდინგისა და კრისპინის მიერ მაშინ, რადგან უამისოთ მასები არ გაჰყვებოდენ ამ გმირებს. შეიდემანელებს გაუგებრობა მოუვიდათ „სოციალიზაციის საკითხთან" რევოლიუციის დროს და მათაც შესცოდეს, თუმცა შემდეგ ეს მუხლი „განმარტეს" „სოციალიზაციის" წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში საჭირო შეიქნა ახალი პროგრამა, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ორივე გაერთიანებულ პარტიებისათვის. სამი წლის მუშაობის შემდეგ კომისიამ გამოაქვეყნა თავისი ნაცოდვილარი, სადაც ძველი პროგრამებიდან ზოგი სიმართლეა ამოწყვეტილი და გარდა ამისა შეტანილია ბერნშტეინისა და დავიდის აზროვნების „პროდუქტები". ლაპარაკია თვით იმაზეც, რომ მუშათა კლასისათვის საჭიროა ძალაუფლებაო, მაგრამ გულმოდგინეთ სდუმან იმის შესახებ, როგორ, რა გზით უნდა მიაღწიოს დღევანდელ პირობებში ამ ძალაუფლებას: პარლამენტის გარეშე მუშაობით, ბრძოლით, ძალდატანებით, „რეზინის ჯოხებით" (ჰილფერდინგის სიტყვებით რომ ვთქვათ), თუ საარჩევნო ბიულეტენებით ან „სამეურნეო დემოკრატიის" შექმნით, როგორც ბრესლავლში მიიღეს პროფკავშირების ყრილობაზე ამას წინეთ. ამაზე, ვიმეორებთ, ნათქვამი არაფერია. მაგრამ სიჩუმით დალახტურებულია ის „მეთოდი" და „პრაქტიკა", რომელსაც ატარებს დღეს ცხოვრებაში რეფორმისტული სოციალიზმი. მაგიერათ ბევრია ლაპარაკი „ერთა ლიგაზე" და მისგან მოსალოდნელ ბედნიერებაზე, „განიარაღებაზე", „ევროპის შეერთებულ შტატებზე" და სხვადასხვა „კარგ" რამეებზე. აი ეს პროგრამა მიიღო ყრილობამ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია არის დღეს ბურჟუაზიული რეაქციის ფაქტიურათ დამხმარე ძალა. ოპოზიცია შიგნით კი არის უბადრუკი, უძლური, უხერხემლო, ხოლოთ მაჩვენებელი ფართო მასების უკმაყოფილებისა. მუშათა კლასის ერთად ერთი რევოლიუციონური პარტია გერმანიაში და ყოველგან არის კომუნისტური პარტია. მხოლოთ ის არის მოწოდებული დარაზმოს პროლეტარიატი და წაიყვანოს ის საბრძოლველათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მისი ციხესიმაგრეების ასაღებათ, რომელთა მისავალი დაცულია სოციალ-დემოკრატიის მიერ. ამიტომ ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ არის იმავე დროს ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.

ჰაიდელბერგის ყრილობამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო ეს როლი სოციალ-დემოკრატიისა და მის წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლის აუცილებლობისა.

ამ გზით მიდის პროლეტარიატი და მისი პარტია, კომუნისტური პარტია.

წინასწარი შედეგები

(მ. გ. ინსპექციის მუშაობის გამო)

გაერთიანებულ საკონტროლო კომისიასა და მ | გ. ინსპექციის მუშაობას ჩვენში ეხლა ერთ წელზე მეტი ისტორია აქვს. ასე მცირე დროის განმავლობაში განახლებული ორგანო (სრულიად ახალი ფუნქციებით), რა თქმა უნდა, ვერ შესძლებდა თავის მნიშვნელობის სრულ გამომჟღავნებას. დიდი გამბედაობა იქნებოდა ჩვენის მხრით იმის თქმა, რომ თითქოს ამ ხნის განმავლობაში ჩვენ კარგათ შევიგენით ამხ. ლენინის შეხედულება განახლებულ ორგანოზე და თუ სავსებით არა, საგრძნობლათ მაინც განვახორციელეთ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში მისი ანდერძი, რომელიც მან დაგვიტოვა თავის უკანასკნელ ნაწერების სახით ინსპექციის შესახებ.

არა, ამის თქმა ჯერ კიდევ ნაადრევი და შეუძლებელია.

არამც თუ ჩვენში, არამედ დიდ პროლეტარულ რუსეთშიც პირველ წლებში „უდარაჯებდენ" განახლებულ ინსპექციას: აბა ვნახოთ რა გამოვაო. ამ „დარაჯობისა" და „რა გამოვას" პროცესი იქ მხოლოთ დღეს უნდა ჩაითვალოს დამთავრებულათ. ჩვენში კი მის დამთავრებას კიდევ დასჭირდება რამოდენიმე ხანი. ერთი წელიწადი არ იყო საკმაო ამ შემთხვევაში აუცილებელი ფსიქოლოგიური გარდატეხის მოსახდენათ.

ამას გარდა მუშაობის დასაწყისში განახლებულ ორგანოს (მ. გ. ინსპექციას და საკონტროლო კომისიას), რომელიც აღჭურვილი იყო სრულიად ახალი ფუნქციებით და უფლებებით, არ ჰქონია სათანადო გამოცდილება: არ იყო ტრადიცია, არ იყო ძველი ნაცადი გზები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თამამად წინსვლა და მუშაობა. ამიტომ ჩვენ ხშირად გვიხდებოდა სიარული ხელის ფათურით (მოსინჯვით); ფართე გზით სიარულის მაგიერ ვიდოდით ვიწრო ბილიკებით ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატების მუშაობის უფრო დამახასიათებელი კუნძულებისაკენ და შალაშინის მაგიერ ხელში გვეჭირა „ნაჯახი" ამ აპარატებიდან სიმახინჯის ჩამოსაჩეხად.

მიუხედავად ზემოდ ნათქვამისა, ერთის თქმა მაინც თამამად შეიძლება: საანგარიშო მოკლე ხნის განმავლობაში მ. | გ. ინსპექციამ და ცენტ. საკონტროლო კომისიამ შესძლეს აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, შესძლეს საჭირო ცდების მოხდენა, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის ზოგიერთი დარგის კუნძულების წინასწარ დაზვერვა და ერთნაირი ნდობისა და ავტორიტეტის მოპოება.

რა თქმა უნდა ჩვენს მუშაობას ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონია ვისმეს გულის მოგებისა და სიამოვნების ხასიათი. ჩვენს მიზანს შეადგენს დახმარება, მაგრამ ამასთანავე გამომჟღავნება და გამოაშკარავება ყოველგვარი უარყოფითი მხარეებისა.

ის, ვინც ამ ხნის განმავლობაში ჩვენს „ხაფში" ჩაიწერა, ის, რაც ჩვენს „რეგისტრაციაში" გატარდა, ამიერიდან მეტი დახელოვნებით, მეტი წინდახედულობით უნდა ამოვიღოთ მიზანში, თანდათანობით, რიგრიგობით, აუჩქარებლად უნდა შევისწავლოთ დაგროვილი მასალები, სისტემაში მოვიყვანოთ ყველაფერი და გამოვიყენოთ ისე, რომ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას გაუადვილოთ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მრავალმხრივ მოვსინჯეთ ნიადაგი, ვიცით ვინ როგორ ფიქრობს, ვინ რით სუნთქავს, ვინ როგორ უყურებს და აფასებს ინსპექციისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობას, როგორ უყურებს საერთო ტკივილებს, უარყოფითი მხარეებს, ვის რა აშინებს და რა ათამამებს, შესწავლილია ზოგიერთი დაწესებულებების მუშაობა, მისი სუსტი მხარეები და სხვა.

ყველაფერი ეს ისეთი რამ არის, რაც მ | გ. ინსპექციასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას საშუალებას მისცემს მომავალი, უფრო ფართე გეგმიანი მუშაობისათვის გზა გაიკვლიოს და რაც შეიძლება ნაკლები შეცდომებით შესძლოს ამ გზით სიარული.

მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება განახლებულ ორგანოს ავტორიტეტი და გავლენა, რაც ასე აუცილებელია მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ა. ჯოლიძე.

აღმოსავლეთის ერების ბრძოლა განთავისუფლებისათვის

შავრაზმელ ჩინელ გენერალ ჩუენ-ჩუნ-მინისა და კანტონის ჯარებს შორის ბრძოლა დაიწყო

გენ. ჩჟან-ცზო-ლინი ომით იმუქრება „თუ გენ. ფინ-იუი-სიანი მოინდომებს ჩინეთის გასაბჭოებას"

ერთა ლიგის საბჭო გაურბის მოსულის საკითხის შესახებ გარკვეული დადგენილების გამოტანას

ფრანგი გენერლები ეჭვობენ, რომ ახლო ხანში შესძლებენ აბდ-ელ-ქერიმის დამარცხებას.— მდგომარეობა სირიაში კრიტიკული

მდგომარეობა ჩინეთში

კამპანია კანტონის წინააღმდეგ.

პეკინი. 20 სექტ. გაზეთების ცნობით, რეაქციონერი გენერალი ჩუენ-ჩუნ-მინი, რომელსაც მხარს უჭერენ ჰონკონგის ვაჭრები, ემზადება ნავთსადგურ სვატოუს ხელში ჩასაგდებათ, რომ შემდეგ აქედან დაიწყოს კამპანია კანტონის წინააღმდეგ. დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ კიდევ არ არის მიღებული, მაგრამ ფიქრობენ, რომ ჰონკონგში, ურომლისოდაც უშუალო სამხედრო მოქმედება კანტონის წინააღმდეგ შეუძლებელია, შეეცდება ჩუენ-ჩუნ-მინის შემწეობით ჩამოაგდოს გომინდანის მთავრობა.

ჩინეთის კამპანია ამერიკაში.

ნიუ-იორკი. 20 სექტ. ჩინეთის საქმეებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერების მიზნით ბალტიმორაში გაიხსნა „კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს ჩინეთის და ამერიკის ურთიერთობის საკითხი". კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობს 50 კაცი, მათ შორის არიან ლიბერალური მოღვაწეებიც, რომელთაც აინტერესებთ კომერციული განათლების და სამისიონერო ორგანიზაციების მუშაობის განახლება ჩინეთში. კონფერენციის გახსნისას ილაპარაკეს ამერიკის წარმომადგენლებმა ჩინეთში ალფრედ ცზემ და ნანკინის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის რექტორმა კვომ.

ორივე ორატორი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ჩინეთის მოთხოვნილებებს და დაკმაყოფილებულ იქნენ ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეწყდება მღელვარება ჩინეთში და ჩინეთის ხალხი თავისას გაიტანს.

ომი კანტონის წინააღმდეგ

პეკინი, 20 სექტ. რეიტერის სააგენტო კანტონიდან იტყობინება, რომ ჩუენ-ჩუნ-მინის (რეაქციონური გენერალი, რომელიც მოსყიდულია გონკონგის ვაჭრების მიერ) რაზმებმა სვატოუს ახლოს იერიში მიიტანეს კანტონის მთავრობის ჯარებზე.

სვატოუში დაიწყო გაფიცვა, ყველა დაწესებულებები დახურულია. ხელისუფლებამ დასტოვა ქალაქი ზღვით მიმოსვლა კანტონსა და სვატოუს შორის შეწყვეტილია.

საუბარი ჩჟან-ცზო-ლინთან.

პეკინი. 20 სექტ. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩჟან-ცზო-ლინი შეეხო თავის გეგმას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ. ჩჟან-ცზო-ლინი თანახმაა, რომ გზის ღირებულება უდრის 350 მილიონ მანეთს, მაგრამ ის უსაფუძვლოდ სთვლის, რომ საბჭოთა კავშირი უარს ამბობს მიიღოს ეს ფული რუსეთის ძველ საკრედიტო ბილეთებით.

მანჯურიაში რკინისგზების გაყვანის შესახებ ჩჟან-ცზო-ლინმა განაცხადა, რომ ხარბინ-ხეიხოს ხაზი უნდა გაიყვანონ ჩინელებმა.

შემდეგ ჩჟან-ცზო-ლინმა აღნიშნა, რომ მისი დამოკიდებულება ფინ-იუი-სიანთან დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თუ ფინ-იუი-სიანი „მოინდომებს ჩინეთის გასაბჭოებას, ის გაილაშქრებს მის წინააღმდეგ".

შეეხო რა შან-სის პროვინციაში შექმნილ მდგომარეობას, ჩჟან-ცზო-ლინმა განაცხადა, რომ ამ პროვინციის ეხლანდელი გუბერნატორი იენ-სი-შანი საუკეთესო ადმინისტრატორია და სახალხო არმიები ვერ შესძლებენ მის განდევნას შანსიდან. თუ აუცილებელი იქნება ომი, მაშინ ის,—ჩჟან-ცზო-ლინი,—არც ერთი წუთით არ დააყოვნებს იარაღის ხელში აღებას იენ-სი-შანის დასახმარებლად.

საბაჟო კონფერენცია

ლონდონი, 20 სექტ. ინგლისის დელეგაციას, რომელიც მიემგზავრება საბაჟო კონფერენციაზე ჩინეთში, წინადადება მიეცა დათმობაზე წავიდეს ჩინეთის მიმართ; დელეგაციამ უნდა დააკმაყოფილოს ჩინეთის ის მოთხოვნილებაც, რომელიც შეეხება უცხოელთა ექსტერიტორიალობას.

საპროტესტო დემონსტრაცია.

პეკინი, 20 სექტ. საპროტესტო დემონსტრაცია 7 სექტემბრის მანიფესტაციის დახვრეტის წინააღმდეგ რომელიც უნდა შემდგარიყო 22 სექტემბერს, აკრძალა მთავრობის თავმჯდომარემ დუან-ცზი-ჩჟუემ.

მიუხედავათ ამისა, სტუდენტებს მაინც განზრახული აქვთ მოაწყონ დემონსტრაცია.

ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში

მოსულის საკითხი და ჰააგის ტრიბუნალი

პარიზი, 20 სექტ. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით, მოსულის საქმეთა კომისიამ წინადადება მისცა ერთა ლიგის საბჭოს გამოარკვიოს ჰააგის უზენაეს ტრიბუნალის აზრი არა საზღვრების დაწესების საკითხში, არამედ იმის შესახებ, თუ რამდენად კომპეტენტურია ერთა ლიგის საბჭო გამოვიდეს არბიტრის ან შუამავლის სახით იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მოსულის საკითხში მის მიღებული იქნება ერთა ლიგის მიერ ერთხმად ან ხმების უმრავლესობით. იმ გადაწყვეტილების მიხედვით, რომელსაც ხვალ გამოიტანს ერთა ლიგა, ეს საკითხი ღიათ იქნება დატოვებული.

ერთა ლიგის საბჭო მოსულის საკითხის შესახებ

პარიზი, 20 სექტ. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით, ერთა ლიგის საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია მოსულის საკითხის შესახებ. რეზოლიუცია მოითხოვს გამოირკვეული იქნას ჰააგის ტრიბუნალის აზრი შემდეგ პუნქტებში: როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ერთა ლიგის საბჭომ ლოზანას ხელშეკრულების თანახმად? ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ერთხმად, თუ ხმების უმრავლესობით? აქვთ თუ არა უფლება დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ მონაწილეობა ამ საკითხისათვის კენჭის ყრაში?

ინგლისი მოითხოვს, რათა ამ საკითხში არბიტრის უფლება მიენიჭოს ერთა ლიგის საბჭოს. ოსმალეთი მხარს უჭერს მხოლოდ ლიგის საბჭოსათვის შუამავლის უფლების მინიჭებას. ინგლისის დელეგატი ემუქრება ოსმალეთს, რომ ინგლისი დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას ამ საკითხში. ოსმალეთის დელეგატს განზრახული აქვს შესცვალოს თავისი პირვანდელი განცხადება.

ბოლოს ლუშერმა ლიგის საბჭოს სახელით განაცხადა, რომ საჭირო არ არის დაუყოვნებლივ განხილულ იქნას მხარეების განცხადება.

სირიაში მდგომარეობა კრიტიკულია

ლონდონი, 20 სექტ. არქიეპისკოპოზმა გაურანმა განაცხადა, რომ მდგომარეობა სირიაში კრიტიკულია და რომ ფრანგების პრესტიჟის აღსადგენად და მშვიდობიანობის დასამყარებლათ საჭირო იქნება გაბედული ზომები და გონივრული მართვა-გამგეობა.

გერმანელების დაპატიმრება ტრანსიორდანიაში

ლონდონი, 20 სექტ. „რეიტერის" სააგენტო იტყობინება, რომ ტრანსიორდანიაში დაპატიმრებულია 7 გერმანელი, რომელნიც გაიქცენ სირიაში მყოფ საფრანგეთის საზღვარგარეთულ ლეგიონიდან. დაპატიმრებულები იმყოფებიან ხაიფის ციხეში.

ლონდონი, 20 სექტ. 7 გერმანელის დაპატიმრების გამო, იერუსალიმიდან იუწყებიან, რომ დაპატიმრებულები სცდილობდენ დრუზების მხარეზე გადასვლას, რათა მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში ფრანგების წინააღმდეგ.

სამხედრო ოპერაციები მაროკოში

პარიზი, 20 სექტ. გაზეთ „მატენ"-ში დაბეჭდილია მაროკოში მებრძოლ ფრანგების ერთ-ერთი არმიის მთავარსარდლის განცხადება სამხედრო ოპერაციების პერსპექტივების შესახებ.

გენერალი აცხადებს, რომ არ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ წვიმების პერიოდის დასრულებამდე შესაძლებელი იქნება სამხედრო მოქმედების გადატანა რიფების ტერიტორიაზე. ყოველ შემთხვევაში, ეს შეუძლებელია ტაუნატის მთაგრეხილის მხრით, სათანადო გზების უქონლობის გამო.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ბანკეტი საბჭოთა წარმომადგენლობაში ლონდონში

ჩეხო-სლოვაკიაში მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ნადიმი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში ლონდონში

ლონდონი, 20 სექტემბერი. 18 სექტემბერს სავაჭრო წარმომადგენლობაში გაიმართა ნადიმი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ლონდონში ახლად დანიშნულ ხლოპლიანკინის და „არკოს"-ის ახალი დირექტორის რაბინოვიჩის საპატივცემოდ.

ნადიმს თავმჯდომარეობდა რაკოვსკი, რომელმაც თავის ვრცელ შესავალ სიტყვაში მოიყვანა ცნობები საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ზრდის და პერსპექტივების შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს სურს განავითაროს ვაჭრობა ინგლისთანო. რაკოვსკიმ აღნიშნა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას აფერხებს ის მტრული პოზიცია, რომელიც დაიკავეს ინგლისის ბანკებმა საბჭოთა კავშირის მიმართ.

თავის სიტყვაში ხლოპლიანკინმა აღნიშნა, რომ კარგი მოსავლის წყალობით საბჭოთა კავშირს მომავალ წელს შეუძლია გაადიდოს პურის ექსპორტი 100 მილ. გირ. სტერლინგამდე.

რაბინოვიჩმა განაცხადა, რომ მომავალ წელს მოსალოდნელია ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ბალანსის გადიდება 50 მილ. გირ. სტერლინგამდე.

სტუმრებს შორის ნადიმზე იყვნენ: სერ რობერტ ხიიდფილდი, ლითონის, გზის და სარკინისგზო კომპანიების დირექტორი; ცნობილი მეცნიერი, სპეციალისტი ლითონის მრეწველობის დარგში სერ ჯემს კემნელ, გემების და მანქანების საამშენებლო კომპანიების დირექტორი რობინსონი; ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ხენდლეი პეჯი, მანქანების საამშენებლო ქარხნების მეპატრონე და „არკოს"-ის თანამშრომელი უაიზი და სხვ.

სერ ჯემს კემნელმა ხაზი გაუსვა ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ფართო შესაძლებლობას და განაცხადა, რომ მისი ფირმა საუკეთესო დამოკიდებულებაშია საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანოებთან.

მორიგი პროვოკაცია

ვენა, 20 სექტემბერი. ბუდაპეშტის პოლიცია ამტკიცებს, თითქოს უნგრეთის მუშათა პარტიის წევრს იუხასს განეცხადებიოს, რომ იგი გაგზავნეს მოსკოვიდან უნგრეთში და ვენისა და უნგრეთის კომპარტიების დავალებით ხელმძღვანელობდა მუშათა პარტიას, რომლის წევრთა რიცხვი აღემატება 10,000-ს.

ბურჟუაზიული პრესა აქვეყნებს იუხასის ჩვენებას და იუწყება, რომ პოლიცია განაგრძობს გამოძიებას საბჭოთა კავშირსა და მუშათა პარტიის შორის კავშირის არსებობის დასამტკიცებლად.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

კამპანია სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინააღმდეგ

პეკინი, 20 სექტემბერი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზასა და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს („გოსსტრახ"-ი) შორის დადებულია შეთანხმება, რომლის მიხედვით [illegible], რომელიც გადაზიდული იქნება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზით, დაზღვეული უნდა იქნეს „გოსსტრახ"-ის მიერ.

ეს ერთგვარ ზარალს აყენებს მთელ რიგ დამზღვევ კომპანიებს მანჯურიაში, რომლებმაც ამის გამო გააჩაღეს დიდი კამპანია „გოსსტრახ"-ის წინააღმდეგ. კამპანიას აწარმოებენ ხარბინელი თეთრგვარდიელები და აგრეთვე ზოგიერთი ჩინური გაზეთები.

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის აქციონერთა საგანგებო კრება

პეკინი, 20 სექტემბერი. ხარბინში შესდგა შორეულ აღმოსავლეთის ბანკის აქციონერთა საგანგებო კრება.

ბანკის ოპერაციების გადიდების გამო მანჯურიის ეკონომიურ ცხოვრებაში, კრებამ დაადგინა გადიდებულ იქნეს ბანკის კაპიტალი, რომელიც შეადგენს ამჟამად მხოლოდ 1 მილიონ მექსიკანურ დოლარს 5 მილიონ მექსიკანურ დოლარამდე (მექსიკანური დოლარი უდრის თითქმის ერთ მანეთს).

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის განყოფილება გახსნილი იქნება კობეში.

გაცხარებული კამათის შემდეგ აქციონერთა კრებამ დაადგინა შემცირებული იქნეს სათადარიგო კაპიტალი 5 პროცენტით, ე. ი. 8 მილ. იენიდან 4 მილიონამდე.

ჩეხო-სლოვაკიაში მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

პრაგა, 20 სექტემბერი. გაზეთი „ვენკოვ" აღნიშნავს პოლონეთის დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან და უსაყვედურებს ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ის რჩებოდა მხოლოდ მაყურებლის როლში.

გაზეთი ეწინააღმდეგება კონფერენციის მოწვევას აღმოსავლეთის შესახებ ხელშეკრულების დადების მიზნით და მოითხოვს „გაბმული იქნეს კავშირი იქ, სადაც ამას მოითხოვენ ნამდვილი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები".

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული გაზეთი „ნაროდნი ოსვობოზენი" უსაყვედურებს „ვენკოვ"-ს, რომ წინად ეს გაზეთი ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ. გაზეთი არ სთვლის დამნაშავედ გარეშე საქმეთა სამინისტროს და აღნიშნავს, რომ ცნობის დაგვიანების მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩეხო-სლოვაკიის შინაურ პოლიტიკაში.

სამხრეთ-სლავიას გარიყვის ეშინია.

ვენა, 20 სექტ. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის—დუკას მიერ ჟენევაში გაკეთებულმა მოხსენებამ დიდი მღელვარება გამოიწვია სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში. მოხსენებაში დუკამ განაცხადა, რომ რუმინეთი მზადაა საგარანტიო ხელშეკრულება დასდოს ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან.

სამხრეთ-სლავიის გაზეთები შიშს გამოსთქვამენ რუმინეთის მიერ უნგრეთისა და ბულგარეთთან დაწყებულ მოლაპარაკების გამო. ცანკოვის გამგზავრებას სთვლიან მოლაპარაკებათა დაწყების ცდათ, სამხრეთ-სლავიის გარიყვის გზით.

გაზეთი „ვრემია" აქვეყნებს საუბარს დუკასთან, რომელმაც განაცხადა, რომ რუმინეთი აწარმოებს მოლაპარაკებას მეზობელ სახელმწიფოებთან თავის საზღვრების უზრუნველყოფის მიზნით.

სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ-ჯერობით უარს ამბობს რაიმე ახსნა-განმარტებათა მიცემაზე.

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის წერილი

ჩინეთის პროფკავშირთა საბჭოსადმი

ტოკიო, 20 სექტემბ. იაპონიიდან გამგზავრების წინ, საკავშირო პროფკავშ. ცენტრ. საბჭოს დელეგაციამ მიმართა წერილით ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციას, რომელშიაც გამოისთქვამს ულრმეს მადლობას ძმური მიღებისა და აღმოჩენილ დახმარებისათვის.

დელეგაცია საკუთარი თვალებით დარწმუნდა,—ნათქვამია წერილში,—ჩინეთში მუშათა ახალგაზრდა მოძრაობის მიერ მიღწეულ დიდ წარმატებებში.

დელეგაცია აღნიშნავს პირობებს, რომლებშიაც იბრძვის ჩინეთის პროლეტარიატი, აღნიშნავს ორმაგი უღლის სიმძიმეს, რომელიც დაადგა ჩინეთის პროლეტარიატს იმპერიალისტებისა და მოსყიდულ ჩინელ მილიტარისტების პოლიტიკამ, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედობენ უცხო სახელმწიფოთა იმპერიალისტებთან ერთად, და აცხადებს, რომ ყველა ქვეყნების მუშათა კლასის ისტორია დაწერილია სისხლით. ამასთან ერთად დელეგაცია ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი იტანჯებოდა არა მარტო წარსულში, არამედ იძულებული იყო უკანასკნელ წლებში გადაეტანა დიდი დანაკლისი ინტერვენციის გამო.

შემდეგ დელეგაცია აცხადებს, რომ ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის და შანხაის პროფკავშირთა საბჭოს ესმით თავისი მოვალეობის მნიშვნელობა: ჩინეთის პროფკავშირები შეუერთდებიან რა პროფინტერნს, ამით შეუერთდებიან ბრძოლას საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

თეთრგვარდიელთა „მუშაობა“

თეთრგვარდიელები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ამხ. ბერზინის მოკვლა დააპატიმრა ვენის პოლიციამ

მზადდებოდა თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობაზე რომში და პარიზში

თეთრგვარდიელებს განზრახული ჰქონდათ ამხ. რაკოვსკის მოკვლა

მათ ხელს უწყობდა ცანკოვის მთავრობა

ცანკოვი ეხმარება თეთრგვარდიელებს

ვენა, 20 სექტ. გაზეთები ათავსებენ დაწვრილებითი ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა თავდასხმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე ვენაში.

ავსტრიის პრესა სცდილობს მიჩქმალოს ინციდენტის სერიოზულობა, თუმცა პოლიციის მიერ აღმოჩენილ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ თავდასხმას აწყობდენ ვრანგელის ყოფილი ოფიცრები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სოფიის ტერორისტულ ჯგუფთან. გამორკვეულია, რომ ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დახმარებას უწევდენ თავდამსხმელებს როგორც ბულგარეთში, ისე ვენაშიც. პოლიციამ დააპატიმრა ვენაში მცხოვრები ბულგარელი მოქალაქე ატანაჯიევი, რომლის სახელზე სოფიიდან მიღებული იყო ფული თავდასხმის მონაწილეებისათვის. ატანაჯიევი შემდეგ განთავისუფლებულ იქნა, თუმცა ის მონაწილეობას იღებდა განზრახულ თავდასხმის მოწყობაში და ფულის მიღებამდე თავის საკუთარ თანხებს აწვდიდა თეთრგვარდიელებს.

საბუთებიდან მტკიცდება, რომ თავდამსხმელებს წილი უდევთ ტირნოვში კომუნისტ გრაბნოვის მოკვლაში, აგრეთვე მათ კავშირი ჰქონიათ ვოროვსკის მკვლელ კონრადის ჯგუფთან. ერთ-ერთი დაპატიმრებულთაგანი — ბულგარი - ვიხნოვი გრაბნოვსკის მკვლელია; მეორე დაპატიმრებული ვოლკოც-შევჩენკო არის ტერორისტული ჯგუფის აქტიური წევრი და ყოფილი კონრადის [illegible] უფროსი დროზდოვსკის პოლკში; ეხლა ის არის ბულგარეთში არსებულ ფაშისტურ ორგანიზაციის ორგანიზატორი და წარმომადგენელი. კორპუსის ექიმის ტრიმანის და ბულგარეთის საიდუმლო პოლიციის პოლიტიკურ განყოფილების უფროსის მიხალჩევის დახმარებით მკვლელებმა მიიღეს ბულგარეთის პასპორტები ყალბ გვარებზე და გამგზავრნენ ვენაში. მათ ჰქონდათ სპეციალური პაროლი რუს თეთრგვარდიელ ემიგრანტების წარმომადგენელთან პოლკოვნიკ ბოროდინთან.

ვენა, 20 სექტ. თეთრგვარდიელები ბოროდინი, შევჩენკო და ვიხნოვი, რომელთაც ბრალად ედებათ ბერზინზე თავდასხმის მზადება, გადაცემული იქნებიან ვენის სასამართლოს განკარგულებაში.

„ნოიე ფრეიე პრესე“-ს ცნობით, დაპატიმრებულთა ჩვენებიდან სჩანს, რომ სოფიის ემიგრანტთა კომიტეტმა დაავალა დაპატიმრებულებს ბერზინის მოკვლა. თავდასხმის გეგმა შეიმუშავა ყოფილმა მეფის პოლკოვნიკმა ბოროდინმა, ხოლო გეგმის შესრულება მინდობილი ჰქონდათ შევჩენკოს და ვიხნოვს.

საღამოს გაზეთი „დერ-აბენდ“ აღნიშნავს, რომ თავდასხმის გეგმა წარმოადგენს თეთრგვარდიელთა ემიგრაციის კარგად მოწყობილ ინტერნაციონალურ შეთქმულებას. ბერზინის მოკვლის შემდეგ განზრახული იყო თავდასხმა რაკოვსკიზე, პარიზის და რომის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე.

ბულგარეთის ელჩმა ვენაში, რომელსაც წილი უდევს თეთრგვარდიელთა შეთქმულებაში, გაავრცელა ზოგიერთ გაზეთების შემწეობით ხმები, რომ „თავდასხმის გეგმა ვენის ბოლშევიკების მიერ არის გამოგონილი“.

ბერზინმა განუცხადა „ნოიე ფრეიე პრესე“-ს წარმომადგენელს, რომ მას იმედი აქვს, რომ ვენის პოლიცია ყოველივე ღონე-ღონეს იხმარს, რომ ავსტრიის მთავრობასთან ერთად სავსებით გამოააშკარაოს შეთქმულების დაწვრილებითი ცნობები.

რას ელიან და ვერ მოესწრებიან

პარიზი, 20 სექტემბ. „პარიჟსკი ვესტნიკ“-ი იუწყება, რომ შუანის სასახლეში ამ დღეებში შესდგა მონარქისტულ ემიგრაციის სამხედრო წრეების პოლიტიკური განყოფილების სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მონაწილეობდენ კუტეპოვი, სახაროვი, ტრეპოვი, გირსი, შებეკო და ბოტკინი. კუტეპოვმა გააკეთა მოხსენება მოლაპარაკების შესახებ ფრანგ მონარქისტთა ჯგუფთან, რომელიც დათანხმდა ნიკოლოზის მომხრეებს გაუწიოს ფულადი დახმარება იმ შემთხვევაში, თუ წითელ არმიაში იფეთქებს აჯანყება ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის სასარგებლოთ. გერმანელმა მონარქისტებმა უარი განაცხადეს ფულადი დახმარების გაწევაზე, თუ ნიკოლოზის მომხრეები დახმარებას მიიღებენ ფრანგ მონარქისტებისაგან. სხდომამ ვერ გადასწყვიტა—რომელ მხარისაგან მიიღონ სუბსიდია.

ცანკოვის ლოცვა-კურთხევით

ვენა, 20 სექტემბერი. ვენის ყველა გაზეთები აღნიშნავენ, რომ დამტკიცებულად საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის გეგმის არსებობა. პოლიციის ცნობა ადასტურებს, რომ შეთქმულების მეთაურების შევჩენკოს და ვიხნოვის პასპორტებს ხელს აწერს სოფიის პოლიტიკური პოლიციის უფროსი მიხალჩევი.

დამტკიცდა აგრეთვე, რომ მათ ხელს უწყობდენ და აქეზებდენ ცანკოვის პოლიტიკური წრეები.

ერთა ლიგა კვდება

ბურჟუაზიული ჟურნალისტებიც კი აღიარებენ ამას

პარიზი, 20 სექტ. იმდენად თვალსაჩინო გახდა ერთა ლიგის უძლურება რაიმე სერიოზული პოლიტიკურ პრობლემის გადაჭრის მხრივ, რომ შეუძლებელი ხდება ამის დაფარვა საზოგადოებრივი აზრისაგან. ჟურნალისტები ცდილობენ ერთა ლიგის უძლურება დააბრალონ ინგლისს.

ზაუერვეინი „მატენ“-ის ფურცლებზე აშკარად აცხადებს, რომ ერთა ლიგას იუძლურებს ინგლისის პოლიტიკა. უკანასკნელს, როგორც სჩანს, სურს გამოიყენოს ლიგის უძლურება თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ.

ზაუერვეინი დასძენს, რომ, სამწუხაროდ, იტალიაც მხარს უჭერს ინგლისის პოლიტიკას.

მუშათა პარტიის კანდიდატის გამარჯვება არჩევნებში

ლონდონი, 20 სექტ. დამატებითი არჩევნები სტოკპორტში დასრულდა მუშათა პარტიის კანდიდატის ტაუნსენდის გამარჯვებით. კონსერვატიულ კანდიდატის დამარცხებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან სტოკპორტი ითვლებოდა ტრადიციულ კონსერვატიულ ოლქად.

„დეილი მეილი“ და „დეილი ექსპრესი“ ხაზს უსვამენ, რომ სტოკპორტში კონსერვატიულ კანდიდატის დამარცხება წარმოადგენს გაფრთხილებას მთავრობის მიმართ. კონსერვატიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აღიარებს, რომ მთავრობის პოლიტიკაში არის ორი პუნქტი, რომელიც მას ჩაეთვლება მინუსად: საკითხი მოსსულის შესახებ და კრიზისი ქვანახშირის მრეწველობაში.

საარჩევნო კამპანიის დროს კომუნისტები ავრცელებდენ დეკლარაციას მათ მიერ ტაუნსენდისათვის მხარის დაჭერის შესახებ.

ჰეიდელბერგი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 21 სექტ. „პრავდა“ მოწინავე წერილში ასეთი სათაურით სწერს:

„ფაიხური გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა ჰეიდელბერგში.

არ შეიძლება საბოლოო ჯამი გაუკეთოთ ამ ყრილობას, ვიდრე ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მიერ მიღებულ „ახალ პროგრამას“. მაგრამ ყრილობის მთავარი კილო, მიდრეკილება, რომელიც აუცილებლად უნდა გამოხატულიყო მიღებულ პროგრამაში, საკმაოდ ნათელია. ჰეიდელბერგის ყრილობაზე წარმოთქმული იყო, რა თქმა უნდა, რამოდენიმე „მემარცხენე“ სიტყვა, გაისმოდა ერთგვარი მუქარის ხმები გამარჯვებული რეაქციის მიმართ. თვით პარტიის შიგნით საქსონელებმა ქვედა ფენების ზეგავლენით ასტეხეს განგაში და საკმაოდ უნაყოფოდ აიჩხარუნეს თავისი „ოპოზიციონური“ „იარაღი“. ბელადების ლაყბობამ და პარტიის უბრალო წევრთა მასებისათვის თვალების ახვევის ცდამ სრულიად ვერ შეუშალა ჰეიდელბერგის ყრილობის ხელმძღვანელებს დაეგვირგვინებინათ ყრილობა მთელი რიგ ახალი გამცემლობით. დღეიდან მიღებულ პროგრამისას, თვით პაულ ლევის, ცნობილ სოციალ-შარლატანის სიტყვის თანახმად—წარმოადგენს უსაზღვრო რწმენას ევოლუციისადმი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დიდი ხანია გადასწყვიტა თავის „ერფურტის“ სიახალგაზრდავის ცოდვების მონანიება. ახალი პროგრამა წარმოადგენს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გადაგვარების და გახრწნის უკანასკნელ ეტაპს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის [illegible] ხაზგასმით გამოაშკარავდა ჰეიდელბერგის ყრილობაზე. ჰეიდელბერგის ყრილობამ ვერ გაბედა „ბებელის პარტიიდან“ გამორიცხა ისეთი მეჭრთამე და ბარმატის მეგობარი, როგორიც არის ყოფილი კანცლერი ბაუერი.

ჰეიდელბერგი ხელახლა ღალატობს მუშათა კლასს საგარეო პოლიტიკის საკითხებში: იგი ერთა ლიგის და საგარანტიო ხელშეკრულების ქსელში ახვევს მუშათა კლასს.

ჰეიდელბერგი ახალი ცილისწამებით თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და ჩვენი კავშირის მუშათა კლასს. ჰეიდელბერგის ყრილობაზე გამოაშკარავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადების სამარცხვინო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული ფრონტის შექმნაში. ერთ-ერთმა გულუბრყვილო დელეგატმა უნებლიეთ გამოაშკარავა პარტიის მეთაურების ასეთი აღმაშფოთებელი საქციელი.

გილფერდინგმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული მეთოდები არის არა „თავდასხმის“, არამედ „თავდაცვის“ მეთოდები. გერმანიის პროლეტარიატი, გილფერდინგის აზრით, უნდა გამოვიდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას თავს დაესხმება რეაქცია და ფაშიზმი. გილფერდინგი, ალბად ფიქრობს, რომ დღემდის ჰინდენბურგის გერმანიაში ადგილი არ აქვს არც რეაქციას, არც ფაშიზმს და არც უკანასკნელების მხრივ თავდასხმას გერმანიის მუშათა კლასზე.

ჰეიდელბერგის ყრილობამ თავისი საქმე გააკეთა. იგი ჩაიწერება ისტორიაში როგორც გერმანიის მუშათა კლასის გამცემლობის და ღალატის ნიმუში“.

მთავრობის კრიზისი ლიტვაში

კოვნო, 20 სექტ. ლიტვის დეპეშთა სააგენტო იტყობინება, რომ კოპენჰაგენში პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების უნაყოფოდ დამთავრების გამო კაბინეტმა სრული შემადგენლობით გადასწყვიტა გადადგეს.

19 სექტემბერს შესდგა მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა შექმნილი მდგომარეობა და აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრის ჩარნეცკის თხოვნა გადადგომის შესახებ.

ამ საკითხების განხილვის შემდეგ მთავრობამ დაადგინა გადადგეს სრული შემადგენლობით. დაუყოვნებლივ, სხდომის დამთავრების შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტს გადაეცა თხოვნა მთელი კაბინეტის გადადგომის შესახებ.

გაზეთები იტყობინებიან, რომ მთავრობის კრიზისის გამო მოწვეული იქნება ქრისტიანულ დემოკრატების პარტიის ცეკას, სოფლელ მემამულეების კავშირის და შრომის ფედერაციის სასწრაფო სხდომები.

„ლიეტუვოს ჟინიოს“ ამის გამო სწერს: „სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის გადადგომის მიზეზია პოლონეთთან შეთანხმებაზე ხელის მოწერა ისე, რომ ლიტვის დელეგაციას არ მიუღია მხედველობაში მთავრობის უკანასკნელი ინსტრუქციები, რომელიც თავის დროზე ვერ მიიღო დელეგაციამ.

რა ხდება რუმინეთში

მშრომელების ტერორი

ვენა, 20 სექტ. სიმშილობის გამოცხადების და მუშათა მასების პროტესტის ზეგავლენით ბუქარესტის სამხედრო სასამართლო იძულებული შეიქნა განთავისუფლებია რევოლუციონური პროფკავშირების 19 ხელმძღვანელი.

მიუხედავად ამისა, პროფკავშირების ბელადები გადაეცემ სამხედრო სასამართლოს, თითქოს მათ მიუძღოდეთ სახელმწიფოებრივი დანაშაული.

მთავრობა განაგრძობს პროფკავშირების დევნას. ბუქარესტში დაპატიმრეს დიდძალი ხალხი. გალაცში ქალაქ დააპატიმრეს 80 მუშა, რომელთაც აბრალებენ არალეგალურ კომუნისტურ აგიტაციის წარმოებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა ბუქარესტის პროფკავშირთა კრება. უნიტარულ პროფკავშირთა შენობა დაბეჭდილია.

ბესარაბიელ გლეხების გასამართლება

ვენა, 20 სექ. გაზ. „ფოკლა“ აქვეყნებს ახალ დაწვრილებითი ცნობებს ბრალდებულთა მდგომარეობის შესახებ.

გაზეთი ხაზს უსვამს პროცესის უაზრო მსვლელობას. ბრალდების დასაცავად გამოსული ორი სამხედრო პროკურორი ერთი მეორეს ედავებოდა. ბრალდებულები ჩივიან, რომ მათ დამცველებს უნიშნავენ ზევიდან. გარდა მათ მიერ მოწვეულ დამცველებისა, „ოხრანკა“-მ აიძულა ისინი მიეღოთ დამცველები, რომლებიც გონორარს უყოფენ „ოხრანკა“-ს.

უსირცხვილო განცხადება

ვენა, 20 სექტ. რუმინეთის საელჩოს მდივანმა ვენაში სტურძამ ფრანგ და გერმანელ მწერლების, მხატვრების და მეცნიერების პროტესტის გამო ტატარბუნარელ აჯანყებულთა პროცესის წინააღმდეგ (საპროტესტო მოწოდებას ხელს აწერენ ბარბიუსი, დიუამელი, მარგარიტა კალმი, ეინშტეინი და სხვები) განაცხადა, რომ მას სრულებითაც არ სურს „ეკამათოს უგუნურებს, საპროტესტო მოწოდების ავტორებს“-ო.

სტურძას განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია ვენის პრესაში და საზოგადოებრივ წრეებში.

ებრაელების დარბევა რუმინეთში

ვენა, 20 სექტ. რუმინეთში გრძელდება ფაშისტური გამოსვლები ებრაელების წინააღმდეგ. მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს ზომები ფაშისტების წინააღმდეგ და განკარგულება გასცა დააპატიმრონ პოლკოვნიკი ნეკულჩაევი და მაიორი ხრისტომოლი, ბუდეშტის სამხედრო რაზმის ხელმძღვანელი, რომელმაც სროლა აუტეხა გლეხებს, აგრეთვე რამოდენიმე სტუდენტი, რომლებიც ამხედრებენ გლეხებს ებრაელების წინააღმდეგ.

ავსტრალიაში

როგორ „დამოუკიდებლობით“ სარგებლობენ ინგლისის ახალშენები

ლონდონი. 20 სექ. მელბურნიდან მიღებული ცნობებით, ავსტრალიის ფედერალური მთავრობის პრემიერი, ბრიუსი, 16 სექტემბერს გამოვიდა სიტყვით ქვედა პალატაში. მან განაცხადა, რომ ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორმა (ინგლისის მეფის მოადგილე) გადასწყვიტა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები, რათა გამოარკვიოს—სურს თუ არა ავსტრალიის მთავრობას, რომ ქვეყანას მართავდეს პარლამენტი ან სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე გარედან ახდენდენ გავლენას.

ბრიუსმა დაუმატა, რომ უკიდურესი უპასუხისმგებლო ელემენტები, მოქმედობენ რა სამრეწველო მუშების ორგანიზაციების საშუალებით, „იწვევენ გაფიცვებს, მოუწოდებენ პირდაპირი მოქმედებისაკენ, წარმოებებზე კონტროლის დამყარებისაკენ და იწვევენ მღელვარებას“. ეს ელემენტები, ბრიუსის სიტყვით, „არღვევენ პარლამენტისა და ავსტრალიის ცალკე შტატების მთავრობების მიერ მიღებულ კანონებს და უარს ამბობენ დაემორჩილონ ფედერალურ მთავრობას მის მიერ კანონიერ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებაზე.“

ბრიუსის უკანასკნელი განცხადება მიუთითებს იმ პროტესტებსა და მღელვარებებზე, რომელნიც გამოიწვია ფედერალურ მთავრობის დადგენილებამ გაფიცულ მეზღვაურთა ბელადების ავსტრალიიდან გაძევების შესახებ. ბრიუსს აგრეთვე მხედველობაში აქვს ცალკე შტატების მუშათა მთავრობების მიერ უარის თქმა ფედერალური მთავრობის იმ დადგენილების შესრულებაზე, რომელიც შეეხებოდა გაფიცულ მეზღვაურთა გაძევებას ავსტრალიიდან.

პარლამენტის დათხოვნას მოელიან შემდეგ კვირას. ახალი არჩევნები დანიშნულია 14 ნოემბრისათვის.

უცხოელ მასწავლებელთა მეორე ჯგუფი ტფილისში

ქალაქის დათვალიერება

კვირას, 20 სექტემბერს, დილის 10 საათზე უცხოელ მასწავლებელთა მეორე დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად: პირველი ავტომობილით გაემგზავრა ქალაქგარეთ ღირსშესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად, მეორე ჯგუფი ფეხით წავიდა ქალაქის სხვადასხვა ნაწილების გასაცნობად.

ამ უკანასკნელმა ჯგუფმა ფეხით გაიარა შუა ბაზარი და გაჩერდა სიონის ტაძართან, რომელიც დაწვრილებით დაათვალიერა. დელეგატები დაინტერესდენ სიონის ტაძრის ისტორიით, ეკითხეს, თუ როდის და ვის მიერ არის ის აგებული. დელეგატები შევიდენ ტაძარში, სადაც ამ დროს წირვა იყო. ისინი მეტად გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ამ უძველეს და უდიდეს ტაძარში მხოლოდ რამოდენიმე მლოცველი იყო.

ტაძრიდან გამოსვლისას დელეგატების ყურადღება მიიპყრო ტაძრის მოზაიკამ, რომელსაც ისინი დიდხანს დაწვრილებით ათვალიერებდენ.

სიონის ტაძრიდან დელეგატები წავიდენ მეჩეთში, რომლის დათვალიერებაც აგრეთვე საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. აქ დელეგატები გამოესაუბრენ მეჩეთის მოხუც დარაჯს, გამოჰკითხეს მას, თუ რა განძეულობა ინახება მეჩეთში, რამდენი მლოცველი დადის, როდის ხდება წირვა-ლოცვა და სხვა.

მეჩეთიდან გამოსვლისას დელეგატებმა დაათვალიერეს მაიდანი. აქ მათ წარმოუდგათ ნამდვილი აღმოსავლეთი ვიწრო ქუჩებიანი ქალაქით და აღმოსავლეთური ტიპებით, რომელიც მათთვის ახალი და უჩვეულო სანახაობა იყო.

მაიდანის დათვალიერების შემდეგ დელეგატები გაეშურენ ზოოლოგიურ მუზეუმისაკენ, სადაც მათ შეუერთდა პირველი ჯგუფი.

მუზეუმში

საქართველოს ზოოლოგიურ მუზეუმში დელეგაციამ დაათვალიერა ყველა განყოფილებები. დელეგატებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უზარმაზარმა ვეფხვმა, რომელიც თბილისის ახლოს იქნა მოკლული რამოდენიმე წლის წინათ.

შემდეგ დელეგატები დაინტერესდენ საქართველოს ფრინველებით და მწერებით, რომელთა წარმომადგენლები მრავლად არიან გამოფენილი მუზეუმის სხვადასხვა განყოფილებებში.

დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე უზარმაზარ ვეშაპის ჩონჩხი და სხვა.

მუზეუმიდან დელეგაცია სრული შემადგენლობით და ადგილობრივი ამხანაგების თანხლებით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

ზაჰესში

ზაჰესში დელეგატებმა დაათვალიერეს სამუშაოების პირველი უბანი: განათხარი, მთავარი ჯებირი, აუზი და სხვა. აქ მათ შეხვდა სამუშაოების ადმინისტრაცია და მუშების წარმომადგენლები, რომლებთანაც დელეგატებს საუბარი ჰქონდათ სამუშაო დროისა და შრომის პირობების შესახებ.

დელეგატებმა დაწვრილებით დაათვალიერეს სადგურის ასაგებათ წარმოებული მუშაობა, გამოკითხეს მუშაობის ხელმძღვანელებს, თუ რამდენი მუშა მუშაობს ზაჰესში, როგორია მათი საშუალო შრომის ხელფასი, რამდენს საათს მუშაობენ და სხვა, რაზედაც მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს.

დელეგატები მეტად კმაყოფილი დარჩენ ზაჰესის დათვალიერებით. ისინი აპირებდენ სხვა უბნების დათვალიერებასაც, მაგრამ წვიმის გამო იძულებული გახდენ თბილისში დაბრუნებულიყვენ.

დელეგაციის გამგზავრება

კვირას, 20 სექტემბერს, ღამის პირველ საათზე, დელეგაცია ჩქარი მატარებლით გაემგზავრა მოსკოვში.

გამგზავრების წინ დელეგაციის თავმჯდომარემ პორტომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და განათლების მუშაკთა კავშირს გაუგზავნა გამოსათხოვარი წერილები.

დელეგაციის გამოსათხოვარი წერილები

საქართველოს პროფკავშ. საბჭოს თავმჯდომარეს

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის მეორე დელეგაცია უდიდესი მწუხარებით სტოვებს საქართველოს, სადაც ჩვენ მეტად მოკლე ხანი დავყავით; ამ მოკლე დროის განმავლობაში ჩვენ [illegible] გავეცანით ამ შესანიშნავი და უძველესი ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებას და ეხლანდელ მდგომარეობას.

ჩვენი დელეგაციის წევრები ვერასოდეს ვერ დაივიწყებენ იმ სამ დღეს, რომელიც ჩვენ ტფილისში გავატარეთ; ამ სამი დღის განმავლობაში ამხანაგები შეეცადენ მოეწოდებინათ ჩვენთვის ყველა მასალები, რომლებიც საჭირო იყო ჩვენი მიზნების შესასრულებლად.

დელეგაციის სახელით მე გთხოვთ მადლობა გადასცეთ ჩვენს საცხოვრო ამხანაგებს, რომლებიც ჩვენ ძალიან გვსურს ვნახოთ დასავლეთში; მადლობას გიძღვნით იმ სიმპატიისათვის, რომელიც თქვენ ჩვენში გამოიწვიეთ.

ტფილისი, 1925 წ. 20 სექტემბერი.

თავმჯდომარე ცეზარ პორტო.

წევრები: გლიუტ,
ფრანსონ,
მიულენს,
მ. ჰარტიგ.
მარგარიტა ბაუერ,
ფრიც კარზენ,
ჰანს მიურც.

Le Président:

Blutte
François
Valtin Hartig
Margarete Bauer
Fritz Karsen
Hans Mürtz

Tiflis le 20 Septembre 1925

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირს

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის მეორე დელეგაციის სახელით მე მადლობას უძღვნი საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირს ყველა იმ ცნობებისათვის, რომლებიც თქვენ მოგვაწოდეთ და გამოკვლევისათვის და შესწავლისათვის საჭირო ყველა იმ მასალებისათვის, რომლებიც თქვენ გადმოგვეცით.

დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ გამოვაქვეყნებთ ყველა ამ ცნობებს ჩვენს ქვეყნებში; ჩვენ გავაცნობთ ჩვენს ამხანაგებს დასავლეთში იმ დიდ მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ საქართველოს, განსაკუთრებით თქვენი კავშირის მასწავლებლები და პროფესორები სახალხო განათლების და საბჭოთა მუშათა განათლების გასაძლიერებლად რესპუბლიკაში.

მე მთელი დელეგაციის სახელით აღვნიშნავ, რომ ჩვენ განსაკუთრებით ბედნიერი ვართ იმის გამო, რომ საქართველოს განათლების მუშაკების ეკონომიური მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა და მათ უფლება მიეცათ მოწაფეებს ასწავლონ მშობლიურ ენაზე.

დელეგაციის სახელით თავმჯდომარე პორტო.

პოლონეთი და ლიტვა

კოვნო, 20 სექტ. სახალხო პარტიის ცენტრალურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს შეწყვეტილ იქნეს მოლაპარაკება პოლონეთთან და მოუწოდებს საზოგადოებას უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, რომელიც მოქმედობს ხალხის სურვილის წინააღმდეგ.

ასეთივე საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა „ვილნოს განთავისუფლების კომიტეტის“ პრეზიდიუმმა.

პროვინციიდან მოდის ცნობები საპროტესტო რეზოლიუციების შესახებ, რომლებიც გამოაქვთ ადგილობრივი დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ბალკანეთის ანტანტა

რუმინეთი მოითხოვს ბალკანეთის ბლოკის შექმნას.

ვენა, 20 სექტ. რუმინეთში კვლავ გაცხოველებით იხილავენ ბალკანეთის ბლოკის შექმნის საკითხს.

გაერთიანებული ოპოზიციის მემარჯვენე ფრთის ორგანო „კურენტულ“ სწერს, რომ აუცილებლად აღდგენილი უნდა იქნეს ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 1911 წელს სერბიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის და ჩერნოგორიის შორის. გაზეთი დასძენს, რომ ბალკანეთის ბლოკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება არსებული საზღვრები, სამეურნეო თანამშრომლობა და ერთმანეთს შორის შეღავათიანი საბაჟო ტარიფები. ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირმა უნდა ატარებდეს თავდაცვითი ხასიათი და ემყარებოდეს სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს პრინციპს.

ფინანსიური კრიზისი იაპონიაში

ტოკიო, 20 სექტ. ფინანსიური კრიზისი იაპონიაში კვლავ მწვავე ხასიათს იღებს. აგვისტოს თვის მეორე ნახევრის განმავლობაში იაპონური იენი ძალიან დაეცა. იენის კურსის სტაბილიზაციის მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა რიცხვში, სხვათაშორის, შედის ექსპორტის გადიდება, იმპორტის შემცირება და ოქროს გაყიდვა.

თანახმად ფინანსთა სამინისტროს განკარგულებისა, „იოკაგამა სპიშიბანკმა“ (იოკაგამის ლითონის სამრეწველო ბანკი, ყველაზე დიდი ბანკი იაპონიაში, რომელიც კრედიტებს უხსნის საგარეო ვაჭრობას იაპონიაში და აწარმოებს სახელმწიფო ხაზინის ყველა საგარეო ოპერაციებს) დაიწყო ამერიკულ დოლარების გაყიდვა, რაც რამოდენიმედ განამტკიცებს იენის კურსს.

ტოკიოში დაიწვა პარლამენტის ორივე შენობა

ტოკიო, 20 სექტ. ხანძარის გაჩენის გამო სულ დაიწვა პარლამენტის ორივე შენობა. ზარალი უდრის დაახლოვებით 2,000,000 იენს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მცირე სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 20 სექტ. მცირე სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო საგუბერნიო და საოლქო აღმასკომებს ყველა ტიპისა და სახელწოდების საბავშვო სახლებში გადაიხდევინონ სწავლისა და შენახვის ფასი. მხოლოდ ფასიანი ბავშვების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს უფასოთ მყოფ ბავშვების 10 პროც.

აღმასკომებს მინიჭებული აქვთ უფლება, შეამცირონ საფასური იმისდამიხედვით, თუ რა შეძლებისა არიან მშობლები. ბავშვების სწავლაში და შენახვაში გადახდილი ფული უნდა შევიდეს ადგილობრივ ბიუჯეტში და მოხმარდეს ისევ საბავშვო სახლების საჭიროებას.

ლენინის რაიონი

მოსკოვი, 20 სექტ. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა ბალახანო-საბუნჩის რაიონს ბაქოში ამიერიდან დაერქვას ლენინის რაიონი.

პლანერების საკავშირო შეჯიბრება

კოკტებელი, 20 სექტ. პლანერების მესამე საკავშირო შეჯიბრება გაიხსნა ფეოდოსიის მახლობლათ 14 სექტემბერს. ნამდვილი შეჯიბრება დაიწყება ერთი კვირის შემდეგ. ჯერ-ჯერობით კი სწარმოებს საცდელი ფრენა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 28 პლანერი. 19—მოსკოვიდან და 9—უკრაინიდან. კიდევ მოელიან 7 გერმანულ პლანერს და 5—საბჭოთა კავშირისას. აგრეთვე მოელიან სამ თვითმფრინავს ქარის ქროლის დროს ფრენის გამოკვლევების მოსახდენათ.

პლანერისტები სცხოვრობენ კოკტებელში. აქვე მოვიდენ მრავალი სხვადასხვა ადგილების წარმომადგენელნი. ფრენის შესწავლა იწარმოებს მრავალიცხოვან სამოსწავლო პლანერებზე. ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან არიან დაინტერესებული პლანერების ფრენით.

ავტო-გადარბენის მონაწილეთა ბანკეტი

მოსკოვი, 21 სექტ. 19 სექტემბერს მოწყობილ იქნა ავტო-გადარბენის მონაწილეთა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო 1000 კაცამდე. ესტრადაზე გამოფენილი იქნა ძვირფასი პრიზები.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა გადარბენის კომიტეტის თავმჯდომარემ—ამხ. უნშლიხტმა, მან უსურვა, რომ გადარბენის მონაწილეთ მომავალშიაც განაგრძოთ მუშაობა ავტო-ტრანსპორტის განსავითარებლათ.

დამსწრენი დიდის ინტერესით უცქეროდენ კინო-სურათს, რომელიც უჩვენებდა გადარბენის უმთავრეს მომენტებს.

სხვა და სხვა ამბები

— გერმანიის რეიხ სტაგის კომუნისტური ფრაქცია მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს რეიხსტაგი, რადგან გადასაჭრელია მნიშვნელოვანი საკითხები საგარეო პოლიტიკის დარგში. 23 სექტემბერს შესდგება რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა.

— ნანსენის მოხსენება ლტოლვილ სომხების შესახებ. როგორც ჟენევიდან იტყობინებიან, ნანსენის კომისიის მოხსენება, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა მისცეს ლტოლვილ სომხებს თავშესაფარი ამიერკავკასიაში, ნაწილობრივ მოწონებულ იქნა ერთა ლიგის წრეებში, მაგრამ საბჭოთა სომხეთისათვის მიზნის განსახორციელებლად 2 მილიონი სესხის მიცემას მაინცა და მაინც არ უჭერენ მხარს.

— ფინეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ წერილის დაწერისათვის კომუნისტური გაზეთის „პოლიტიკენ“-ის პასუხისმგებელ გამომცემელს მიუსაჯეს 4 თვის ციხე მოწინავე წერილისათვის, რომელიც მიმართული იყო ფინეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქართულ ტერლეგიონის დღესასწაული

გორი, 21 სექტ. 20 სექტემბერს № ქართულ ტერლეგიონში ზეიმით გადაიხადეს მისი შედგენის წლისთავი. ზეიმი გაიმართა ქალაქ გარეთ საბანაკო ადგილზე. ზეიმს დაესწრენ საქ. ც. ა. კ. თავმჯდომარე—ამხ. ფ. მახარაძე. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ქალ. გორის ყველა სამოქალაქო და საზოგადო ორგანიზაციებმა. ლეგიონის შეფმა—გორის მაზრის აღმასკომმა გადასცა ლეგიონს წითელი დროშა; საქ. სახ. გამომცემლობამ მიუძღვნა ლეგიონს ლენინის ქანდაკება. მიტინგის შემდეგ, წითელარმიელებმა მისცეს ფიცი; ფიცი მიიღო ამხ. ფ. მახარაძემ.

კომუნალური ბანკი სიღნაღში

სიღნაღი, 21 სექტ. გაიხსნა კომუნალური ბანკის განყოფილება, რომელიც ამ დღეებში შეუდგება თავის ოპერაციებს.

სასამართლო ორგანოების რევიზია

სიღნაღი, 21 სექტ. აქ ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე კაჭარავა და სასამართლო სხდომათა მომწყობი ჩახუნაშვილი, რომლებიც მოახდენენ სიღნაღისა და თელავის მაზრების სასამართლო ორგანოების რევიზიას, რის შემდეგ გურჯაანში მოწყობილი იქნება ორივე მაზრის სასამართლო და აღმასკომის მუშათა თათბირი.

გორის კომუნალურ წარმოებათა რევიზია

გორი, 21 სექტ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, დანიშნულია კომუნალური მეურნეობის ყველა წარმოებათა რევიზია. ამჟამად რევიზია იმდინარეობს ტყის სახერხ ქარხანაში, რომელსაც როგორც სჩანს რევიზიიდან, ძალიან ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია; 1924 წელთან შედარებით მისი პროდუქცია გადიდებულა 100 პროც.-ით.

აფხაზეთი

შავი ზღვის ესკადრა სოხუმში

სოხუმი, 19 სექტემბერი. სოხუმს ეწვია შავი ზღვის ესკადრა.

აჭარისტანი

გემების მოსვლა

ბათომი, 19 სექტემბერი. გასული თვის განმავლობაში ბათომში მოვიდა უცხოეთიდან 54 გემი, რომლებითაც შემოტანილია 2,325,517 კილო ტვირთი და 28 საკაბოტაჟო გემი—1,254,493 კილო ტვირთით. შემოტანილი იყო უმეტესად ფქვილი—637,108 კილო, მანქანები—693,203 კილო, შაქარი—515,406 კილო და ქიმიური პროდუქტები—225,937 კილო. ამ ხნის განმავლობაში ნავთსადგურიდან გავიდა უცხოეთის 55 გემი, რომლებმაც წაიღეს—93,723,923 კილო ტვირთი, და 23 საკაბოტაჟო—578,706 კილო ტვირთით.

მუშაობა ნავთსადგურებში

ბათომი, 21 სექტ. ნავთსადგურის სამმართველომ დაასრულა მუშაობა ნავთსადგურში უცხო გემების მისადგომ ტერიტორიაზე ქვაფენილის დასაგებათ.

ელექტროსადგურების რემონტი

ბათომი, 21 სექტ. ელექტროსადგურთა სიმძლავრის გასადიდებლათ ომის წინადროინდელ ნორმებამდე, მოხდენილია ყველა ძველი მანქანების რემონტი. რემონტის საერთო ღირებულება აღწევს 80,000 მანეთს.

აზერბეიჯანი

თურქოლოგიური ყრილობა

ბაქო, 21 სექტემბ. 1 დეკემბერს ბაქოში მოწვეულ იქნება თურქოლოგიური ყრილობა. ამ ყრილობას დიდ მნიშვნელობას აძლევენ საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა თურქ-თათრები.

ამ ყრილობას, გარდა სამეცნიერო ინტერესისა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება. მის პროგრამაში შეტანილია ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორც—არაბულ ალფავიტის რეფორმა და ახალ ალფავიტზე გადასვლა, თურქულ ენების ორთოგრაფია, სწავლის მეთოდები, ტერმინოლოგიის შექმნა თურქულ ენაზე და სხვა.

საორგანიზაციო კომისია ყოველგვარ მასალას აგროვებს და ამუშავებს ამ საკითხების გადასაწყვეტათ. ყრილობის წინეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილებში მოწვეულ იქნება კრებები და თათბირები ყრილობის დღის წესრიგის შესამუშავებლად.

ყრილობის გახსნასთან ერთად მოწყობილი იქნება თურქული „წიგნის“ გამოფენაც.

ყრილობის მუშაობაში უმახლობლეს მონაწილეობას მიიღებენ: აღმოსავლეთის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო ასოციაცია, საკავშირო სამეცნიერო აკადემია, რესპუბლიკების სახ. უნივერსიტეტები და ინსტიტუტები და სამეცნიერო-საპედაგოგიო ორგანიზაციები.

ამას გარდა ყრილობაზე მოწვეულ იქნებიან საზღ.-გარეთელი თურქოლოგები, განსაკუთრებით—ოსმალეთიდან და სპარსეთიდან.

საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი

პირველი სხდომა

კვირას, საღამოს 5 საათზე, მუშათა სასახლის წითელ დარბაზში ამხ. გ. ჯზახაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქ. კომპარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი.

მცირეოდენი ცვლილების და დამატების შემდეგ თათბირის მიერ დამტკიცებული იქნა რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი: 1. პარტგანმანათლებელი მუშაობა. 2. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა. 3. სოფლის ინტელიგენციის შესახებ. 4. კორესპონდენტთა მოძრაობა. 5. წიგნისა და გაზეთის გავრცელება სოფლად. 6. თეატრი და კინო სოფლად. 7. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა კომკავშირში.

პარტგანმანათლებელი მუშაობა

(ამხ. ქ. გორდელაძის მოხსენება)

დღევანდელ თათბირის უმთავრესი საკითხი სოფლად პარტგანმანათლებელ მუშაობის გაძლიერება. უნდა ითქვას, რომ პარტგანმანათლებელი მუშაობა შეადგენს პარტიის მთელი მუშაობის ნახევარს და მიზეზი იმისა, რომ ამ საკითხს დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, აიხსნება იმით, რომ პარტიის ახალი ამოცანების სასურველად გადაჭრა პარტგანმანათლებელ მუშაობის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ ჩვენი ამხანაგების პოლიტიკური, პარტიული განვითარების დონე ვერ ავამაღლეთ და ხელი არ შევუწყვეთ მათი მომზადების საქმეს, შორს ვერ წავალთ. სწორედ ამ მიზნით პარტგანმანათლებელ მუშაობის ორგანიზაციულ ქსელში გატარებული უნდა იქნან ყველა ის ღონისძიებანი და დადგენილებანი, რომელნიც პარტიის მე-13 ყრილობამ და მე-14 კონფერენციამ გამოიტანა.

პოლიტწრეები და მოძრავი პოლიტსკოლები.

როგორც ვიცით, ადგილობრივ პარტორგანიზაციებში დღემდე პარტგანმანათლებელ მუშაობის ძირითად ფორმად აღიარებულია პოლიტწრეები. აქ გარკვევით უნდა ვსთქვათ, რომ ეს პოლიტწრეები იმ პერიოდში, რომელშიაც ვიმყოფებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებენ პარტიულ ორგანიზაციების მოთხოვნილებებს.

პოლიტწრეებში მუშაობის წესიერად დაყენებისათვის ერთის მხრივ საჭიროა ამ წრეების რიცხვის გადიდება, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივად მომზადებული ხელმძღვანელი ძალები. ვინაიდან ასეთი ძალები ჩვენ სოფლად ძლიერ ნაკლებად მოგვეპოვება, პოლიტწრეების მუშაობაც უმეტეს შემთხვევაში ქაღალდზე რჩება. მდგომარეობა მოითხოვს, რომ ან მკვდარ პოლიტწრეებს ლიკვიდაცია უყოთ. პოლიტწრეები, როგორც პარტგანმანათლებელ მუშაობის პრიმიტიული ფორმა, უნდა შევცვალოთ მოქნილ, პლასტიური მუშაობის ფორმებით.

მაგრამ ერთი ხელის მოსმით პოლიტწრეების ლიკვიდაცია შეუძლებელია და მიზანშეუწონელიცაა. პირველ რიგში უნდა მოიხსნან ისეთი ადგილის პოლიტწრეები, სადაც მეცადინეობა იშვიათ ხასიათს ატარებს. პოლიტწრეების დროებით დატოვება შესაძლებელი უნდა იყვეს მხოლოდ იქ, სადაც მეცადინეობა, დროგამოშვებით მაინც მიმდინარეობს. მახლობელ დროში კი პოლიტწრეები სრულებით უნდა მოისპოს.

მაგრამ მუშაობის როგორი ფორმით უნდა შეცვალონ პოლიტწრეები?

პირველ ყოვლისა პოლიტცოდნის მოძრავ სკოლებით, რომლებმაც ჩვენს სინამდვილეში სავსებით გაამართლეს თავისი არსებობა და ნაყოფიერება. სხვათა შორის ამ მოძრავ სკოლების უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ მეცადინეობა სისტემატიურად და სასკოლო მეცადინეობის პრინციპზე მიმდინარეობს, ვიდრე პოლიტწრეებში. ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მონახულ იქნას მატერიალური ღონისძიებანი, რათა ამ სკოლების რიცხვი გავადიდოთ და მით მათი მუშაობაც უფრო მეტად გავაღრმავოთ. კერძოდ და უმთავრესად კი პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობის გაძლიერება. ადგილებზე ზოგიერთი პარტორგანოების ისეთი შეხედულება, თითქოს მოძრავი სკოლა რაკი ცენტრიდან არის გამოგზავნილი, ჩვენი ხელმძღვანელობას არ მოითხოვსო, შემცდარია. ასეთი შეხედულება არაფრად ვარგა, რადგან ამას საქმისათვის მავნებლობის მეტი არაფერი მოაქვს.

მუდმივი სკოლა

მაგრამ პოლიტცოდნის მოძრავი სკოლების ისეთი რაოდენობით დაარსება, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნებოდა პარტიის წევრთა უმრავლესობის შორის პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაცია, მატერიალური უსახსრობის და მომუშავეთა არა საკმაო რაოდენობის გამო, შეუძლებელია. ამისათვის პარტგანმანათლებელ მუშაობის წინაშე ისმება საკითხი დამატებითი ღონისძიების გატარების შესახებ. ასეთი ღონისძიება — სტაციონალური, მუდმივი სკოლაა, რომელიც მოითხოვს ნაკლებ მატერიალურ საშუალებებს და მომუშავეებს. ასეთი სკოლები ადგილებზე ჩვენ უკვე გვაქვს, მაგრამ მათი მუშაობა ვერ მიმდინარეობს ისე, როგორც წესი და რიგია. მეცადინეობა ამ სკოლებში არ დამთავრებულა. პროგრამა ყოველთვის ამოუწურავი რჩებოდა. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტაციონალური სკოლის მეცადინეობა შეუძლებელი იქნება, თუ ერთ სენს, განსაკუთრებით სოფლად, თავი არ დავაღწიეთ. ეს სენი, რომელიც დღემდე ანგრევდა ამ სკოლების საერთო მუშაობას, იმაში მდგომარეობდა, რომ სკოლებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები, სკოლების ხელმძღვანელები დაკისრებულ მოვალეობას წესიერად, პირნათლად ვერ ასრულებდნენ. ამ არანორმალურ მოვლენასაც უნდა მოეღოს ბოლო.

პოლიტცოდნის სტაციონალური ანუ მუდმივი სკოლები უნდა მოეწყონ იქ, სადაც ხელმძღვანელები მოიპოვებიან. ასეთი სკოლის მეცადინეობის დრო უფრო ხანგრძლივი და ნორმალური იქნება, ვინემ მოძრავი სკოლის. რაც შეეხება სტაციონალური სკოლის პროგრამას, ის იგივე უნდა იქნეს, როგორიცაა მოძრავი სკოლის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში მის გავლას მეტი დრო ექნება დათმობილი.

კურს-ყრილობები

მაგრამ სოფლად მუშაობის პირობები საკმაო შემთხვევებში ისეთია, როდესაც პოლიტცოდნის მოძრავი და სტაციონალური სკოლების დაარსება შეუძლებელია პარტიის წევრთათვის მათი საცხოვრებელ ადგილ-მდებარეობის მიხედვის გამო. ჩვენში არიან ისეთი რაიონები თუ თემები, სადაც პარტიის წევრები დიდის მანძილით არიან ერთი მეორისაგან დაშორებული. აი აქ ისმის საკითხი, თუ პარტგანმანათლებელ მუშაობის როგორი ფორმა იქნება შესაფერი ისეთ ადგილებისათვის, სადაც პარტიის წევრები საცხოვრებელ ადგილის მიხედვით დაქსაქსული არიან ერთი მეორისაგან? ასეთი ფორმა და ღონისძიებაა კურს-ყრილობების მოწვევა, რომლებიც უნდა იქნან მოწყობილი რაიონებში და უმთავრეს შემთხვევაში კი სამაზრო ცენტრებში. კურს-ყრილობა იწვევა ერთი თვის ვადით, სადაც პარტამხანაგები გადიან პოლიტცოდნის მოძრავ სკოლის პროგრამას. კურს-ყრილობა სხვა სახის სკოლებთან შედარებით გაცილებით მეტ ნაყოფს მოგვცემს, რადგან მათი მსმენელები მეცადინეობის განმავლობაში ყოველგვარ მუშაობისაგან თავისუფალნი არიან და მთელ დროს მეცადინეობას მოახმარენ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა თავიანთი მხრივ კი, ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ კურსებზე სამოსწავლო საქმის თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დაყენებას. პირველ ყოვლისა საჭიროა კურსების უზრუნველყოფა საუკეთესო ძალებით—ლექტორებით.

პოლიტცოდნის საღამოს სკოლა

სხვათაშორის პარტიის წევრთა პოლიტიკურად მომზადების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტცოდნის საღამოს სკოლა. ხოლო წინასწარ აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. პარტგანმანათლებელ მუშაობის ის ორგანიზაციული ქსელი, რომელიც აღვნიშნეთ პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების და ყრილობა-კურსების სახით, მუშათა რაიონებისათვის, როგორიც არის ტფილისი, ჭიათურა, ფოთი, ბათუმი და სხვა —მიუღებელი და შეუსაბამოა.

მუშათა რაიონებში უნდა დაარსდენ პოლიტცოდნის საღამოს სკოლები. სადაც ასეთები არსებობენ, მათი რიცხვი, ყოველ მიზეზს გარეშე, გადიდებულ უნდა იქნეს. ამ პოლიტცოდნის საღამოს სკოლების მუშაობის შინაარსი, მეცადინეობის პროგრამა უფრო ვრცელი უნდა იქნეს, ვინემ სოფლის ორგანიზაციების პოლიტცოდნის პროგრამა, რადგან ამის შესაძლებლობას იძლევა პარტიის წევრთა მეტი მომზადება მუშათა რაიონებში, ვინემ სოფლად. პოლიტცოდნის საღამოს სკოლები არსებობენ ხანგრძლივი დროით, სამი ან ექვსი თვის ვადით. ამ სკოლებში ისეთი ცოდნა უნდა მიეცეს ამხანაგებს, რომ მათ თავისუფლად [illegible] პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში გადარიცხვა. სხვათა შორის ამ სკოლების უპირატესობა ისიც იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა მოგვცენ პროპაგანდისტთა კადრი.

თვითგანვითარების წრეები.

აი, პარტგანმანათლებელ მუშაობის უმთავრესი ორგანიზაციული ქსელი აქ აღნიშნულ პოლიტცოდნის სკოლებით იწურება. მაგრამ აქ არ შეგვიძლია დავსვათ წერტილი. ჩვენს წინაშე აქ უთუოდ წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სახის სკოლაში უნდა შევიდნენ პოლიტცოდნის მოძრავ, სტაციონალური ან საღამოს სკოლების კურსდამთავრებული ამხანაგები.

პარტიის და პოლიტგანათლების ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების მიერ მიღებული უნდა იქნან ღონისძიებანი თვითგანვითარების წრეების დაარსებისათვის. აქ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ საგრძნობლად მოვისუსტებთ სოფლად. მაგალითად ისეთ რაიონების და სამაზრო ცენტრში, სადაც პასუხისმგებელ მომუშავეთა საკმაო რიცხვი მოიპოვება, არ არსებობენ არც მარქსიზმის და არც ლენინიზმის შემსწავლელი წრეები. ეს უეჭველად დიდი დანაკლისია. დღეს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში დღითი-დღე იზრდება აქტივობა და თვითმოქმედება.

აი ეს მდგომარეობა სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული თვითგანვითარების წრეების ქსელის ფართოდ გაშლისათვის და მათში მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისათვის.

მაგრამ აქ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: თვითგანვითარების წრეების არსებობა და მუშაობა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რაკი მათი მეცადინეობა თვითმოქმედებას ემყარება, ის თითქოს არავითარ ხელმძღვანელობას არ მოითხოვდეს. სამაზრო თუ საოლქო კომიტეტებთან ან პოლიტგანთან უნდა არსებობდეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას გაუწევს ამ წრეებს.

პარტგანმანათლებელ მუშაობის მორიგი ამოცანები

სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას უჯრედების მდივნების გადამზადება წარმოადგენს, რადგან მათი საერთო მომზადების დონე დაბალია და ამასთანავე სუსტად აქვთ შეთვისებული პარტიული მუშაობის ახალი ამოცანები. მდივნების გადასამზადებელ კურსების ნაყოფიერებისათვის საჭიროა ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა მას დიდი ყურადღება მიაქციონ, მდივნების კურსებზე ამხანაგების გადმოგზავნა ნორმალურად ტარდებოდეს და ასეთი კურსები რეგულიარულად იწყობოდეს.

რაც შეეხება საბჭოთა პარტიულ სკოლებს, უნდა აღინიშნოს, რომ წელს ამ სკოლების კურსდამთავრებულნი სუსტად იცნობდენ პარტიის სოფლად მუშაობის ამოცანებს. ასეთი მდგომარეობა მომავალ სამოსწავლო წლისათვის ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილი უნდა იქნეს. ამ შემთხვევაში სკოლების ხელმძღვანელებს მართებთ პარტიული მუშაობის საკითხებისადმი გაცნობას მსმენელთა მიერ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

გბლა ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ ლენინის კუთხის ორგანიზაციის საკითხზე. ლენინის კუთხის მოწყობის შესახებ ს. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებაც არსებობს, რომელშიაც გათვალისწინებულია ის აუცილებელი ღონისძიებანი, რომელთა გატარებით შესაძლებელი უნდა გახდეს მასში მუშაობის გაცოცხლება. მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგიერთ ადგილას ლენინის კუთხეებში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს, წრეების მუშაობის და ამ წრეებში უპარტიოთა [illegible] მიმართულებით არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არაა გადადგმული. ასეთი მდგომარეობა თავიდან უნდა [illegible]. ლენინის კუთხეების მუშაობაში უნდა შევიტანოთ მეტი სიცოცხლე და აქტივობა.

დღეს მეტად დიდი მნიშვნელობა [illegible] პარტიის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხს. ცხადია, რომ პარტგანმანათლებელ მუშაობის ქსელის სრული გაშლა შეუძლებელი იქნება, თუ პარტიის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა საკმაო რაოდენობა იქნება. ამიტომ ამ თავითვე უნდა იქნეს მიღებული საჭირო ზომები, რომ სალიკვიდაციო სკოლებში ფართოდ იქნან ჩაბმული წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი და ნაკლებად მცოდნე პარტამხანაგები.

პარტგანმანათლებელ დარგში საკლუბო მუშაობას დიდი ადგილი უკავია. სამწუხაროდ კი ეს კლუბები უმეტეს შემთხვევაში გადაქცეული არიან ისეთ დაწესებულებებად, სადაც მხოლოდ დროის მოკვლა შეიძლება სხვადასხვა სათამაშოებით. ასეთ გადახრას უნდა ვებრძოლოთ. საჭიროა კლუბის ორგანიზაციასაც სათანადო ყურადღება მიექცეს მათში უპარტიოთა მასების მიზიდვით. ამისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია თვით კლუბების მუშაობის შინაარსის გაუმჯობესება და მათზე პარტიული და პროფესიონალური კავშირების ორგანოების მხრივ მტკიცე ხელმძღვანელობა.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ლიტერატურის გამოცემის და მის ფართოდ გავრცელების საკითხზე, ხაზს უსვამს იმას, თუ სააგიტაციო-საპროპაგანდო დარგში მომუშავე ამხანაგებმა როგორი აგიტაციის მეთოდებს უნდა მიმართონ ამა თუ იმ კამპანიის ჩატარების დროს, და საერთოდ აღნიშნავს, თუ როგორ უნდა იქნას დაყენებული საშეფო მუშაობა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის გლეხობის ქალაქის მუშებთან დაახლოების საქმეში, ეხება კედლის გაზეთების მნიშვნელობას და მათ სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს, კერძოდ კედლის გაზეთებზე პარტუჯრედების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას, მათში კორესპონდენტების მასიურად ჩაბმას, რომელთა წერილები და შენიშვნები უნდა იქნენ ადგილობრივი ცხოვრების ნამდვილი ანარეკლი და სხვა.

გარდა ამისა პარტგანმანათლებელ მუშაობის მორიგ ამოცანას—ამბობს მომხსენებელი—სოფლად საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგის განხორციელებისათვის დახმარება წარმოადგენს. ამისათვის საკმარისი არ იქნება აგიტაცია-პროპაგანდა მარტო საბჭოების ორგანიზაციასა და მათი მუშაობის შესახებ. საჭიროა ღრმა და შინაარსიანი პროპაგანდა პარტუჯრედებში სოფლის საბჭოებზე პარტხელმძღვანელობის გაწევის შესახებაც. უჯრედებს დაწვრილებით უნდა განვუმარტოთ საკითხი საბჭოებში ჩვენი ფრაქციების მუშაობის შესახებ, რადგან პარტიული მუშაობის ახალი კურსი დამახინჯებით არ იქნას გაგებული და პარტიის წევრებმა არ იფიქრონ, რომ საბჭოებში მათ არაფერი არ ეკითხებათ.

აქ აგრეთვე უნდა შევჩერდეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგებთან დაკავშირებულ ყოფა-ცხოვრების საკითხებზე, რომლებიც დღეს მეტად მწვავედ არიან დასმული. ჩვენ უნდა ვეცადოთ უზრუნველვყოთ პარტიის წევრთა სრული დაზღვევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითი შედეგების გავლენისაგან. ამ მიზნით პარტუჯრედების სხდომებზე, წრეებში, პოლიტსკოლებში პარტიის წევრთ უნდა შევათვისებინოთ პარტეთიკის ძირითადი პრინციპები. ამ ბოლო დროს შემჩნეულ ახალი ყოფა-ცხოვრების დამახინჯების ფორმებსაც უნდა ვებრძოლოთ არა მარტო პარტიის წევრთა რიგებში, არამედ საერთოდ მოსახლეობაშიაც.

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება ნაციონალურ უმცირესობათა შორის პარტგანმანათლებელ მუშაობის შესახებ და ამასთანავე აღნიშნავს მთელ რიგ ღონისძიებებს პარტგანმანათლებელ მუშაობის ხელმძღვანელ ორგანოების უკეთ მოწყობისათვის.

მეორე სხდომა

კამათი ამხ. გორდელაძის მოხსენების გარშემო

მეორე დღის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. გორდელაძის მოხსენების გარშემო. ორატორები ეხებოდენ პოლიტცოდნის სკოლების პროგრამას, კურს-ყრილობას და მისი შენახვის, მარქსისტულ და ლენინისტურ წრეების ორგანიზაციის, შეფობის, პოლიტლიტერატურის გამოცემის და გავრცელების, ეროვნულ უმცირესობათა შორის პოლიტმეცადინეობის წარმოების და ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

კამათში მონაწილეობა მიიღო 10-მდე ამხანაგმა.

თავის საბოლოო სიტყვაში ორატორებს პასუხი გასცა ამხ. მომხსენებელმა.

ოპონენტების მიერ დასმულ საკითხზე, უნდა განსხვავდებოდეს თუ არა სოფლის პოლიტცოდნის სკოლის პროგრამა მოძრავი პოლიტსკოლის პროგრამისაგან, მომხსენებელი უპასუხებს, რომ პროგრამა ორივესათვის ერთი და იგივე უნდა დარჩეს, მხოლოდ მოძრავი სკოლებისათვის, მათი მოკლევადიანობის გამო კურსი შემოკლებული უნდა იქნესო. არ უნდა არსებობდეს აგრეთვე განსხვავება ქალაქის და სოფლის პოლიტცოდნის სკოლების პროგრამებს შორის, მაგრამ სასოფლო სკოლებისათვის პროგრამა უნდა იქნეს უფრო პოპულიარული და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული. იმ ამხანაგების საპასუხოთ, რომელნიც სამაზრო ორგანოების უსახსრობის გამო, შეუძლებლად სცნობენ კურს-ყრილობების მოწვევას, მომხსენებელი აცხადებს, რომ კურს-ყრილობას, რომლის მნიშვნელობა არის უმთავრესად სამაზრო ცენტრებს მოშორებულ ამხანაგების პარტიულ-პოლიტიკური მომზადება, შეინახავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მაზრა იკისრებს დამატებით ხარჯების გაღებას შეძლებისდაგვარად. მომხსენებელი არ ეთანხმება ზოგიერთ ორატორის შენიშვნას იმის შესახებ, თითქოს პასუხისმგებელ ამხანაგებს დიდი დატვირთვის გამო არ შეეძლოთ პოლიტცოდნის და პარტიულ წრეებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. მომხსენებლის აზრით ამხანაგის მონდომა საკმაო არის, რომ კვირაში ორი საათით მოიცალოს ასეთი მუშაობისათვისო. იმ ამხანაგთა საგულისხმოდ, რომელნიც მიზანშეუწონლად სთვლიან მარქსისტული და ლენინისტური წრეების განცალკავებულ არსებობას, მომხსენებელი აცხადებს, რომ საჭიროა ორივე წრის განცალკევებული არსებობა იმდენად, რამდენად პირველი მათგანი (მარქსისტული წრე) მიზნად ისახავს ამხანაგთა ვიწრო წრის წმინდა თეორეტიულ მომზადებას, ხოლო მეორე კი (ლენინისტური) პარტიის ისტორიის და პარტიის უკანასკნელი პერიოდის მოღვაწეობის შესწავლას.

რაც შეეხება შეფობის საკითხს, ერთი თემის მეორე თემზე შეფობა, მომხსენებლის აზრით, უარყოფილი უნდა იქნეს, რადგან ჩვენს თემებს საამისო ძალა არ შესწევთ, სამაგიეროთ სამაზრო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ტერიტორიალური ნაწილების შეფობას ამა თუ იმ სოფელზე. ყოფა-ცხოვრების საკითხებისა და პარტიული ეთიკის შესახებ მომხსენებელი, რამოდენიმე ამხანაგის აზრის წინააღმდეგ, იცავს იმ მოსაზრებას, რომ კომუნისტი ჭირში და ლხინში გვერდში უნდა უდგეს სოფლის გლეხობას, მაგრამ არ უნდა გაითქვიფოს მასში: ამისათვის კი საჭიროა გვერდი აუხვიოს მავნე ადათ-ჩვეულებებში და ტრადიციულ დღესასწაულებში მონაწილეობას. ეს არ გამოიწვევს უკმაყოფილებას გლეხებს შორის, რადგან მათ დაახლოებით მაინც იციან კომუნისტების შეხედულება ასეთ საკითხებზე.

ამხ. გორდელაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია წარმოდგენილი თეზისების და პროგრამის დასამუშავებლად.

მოხსენებები ადგილებიდან

პირველ მომხსენებლად გამოდის ბორჩალოს მაზრის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

მომხსენებლის აზრით საგიტ.-საპროპაგანდო მუშაობას აბრკოლებს ბევრი გარემოება, რომელთა შორის აღსანიშნავია მაზრის სიჭრელე ეროვნული შემადგენლობის მხრივ და მცხოვრებთა მომთაბარეობა. უმთავრესად ორი გარემოების წყალობით მოუხერხებელი ხდება გეგმიანი მუშაობა. მთელი მაზრის მცხოვრებთა 90 პროც. წ.-კ. უცოდინარია, მეცადინეობა მიმდინარეობს ზანტად თვით პარტიულ ამხანაგების შორის, რომელთა უმრავლესობა სწავლის ჰასაკს გადაშორებულია. პოლიტწრეების მეცადინეობა სუსტი იყო, რადგან სპეციალური ხელმძღვანელები არ გვყოლია, ხოლო პასუხისმგებელი ამხანაგები საამისოდ ვერ იცლიდენ. უფრო სისტემატიური ხასიათი აქვს მუშაობას კომ. კავშირში, ხოლო უპარტიო ახალგაზრდებს შორის კი მეცადინეობას შემთხვევითი ხასიათი აქვს. ყოველ შემთხვევაში ახ. კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრდობა პოლიტიკური აქტივობის მხრივ მალე წინ გაუსწრებენ პარტიის წევრებს. ლიტერატურა მაზრაში ბლომად მოიპოვება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ძალიან ნაკლებად სომხურ და თათრულ ენებზე... საზოგადოებრივ მუშაობას მაზრა შეძლებისდაგვარად აწარმოებს: გვაქვს შემდეგი დაწესებულებანი: „რემდესს"-ი, წ. კ. უ. მებრძოლი საზ-ბა, ახალი თურქული ანბანის მეგობართა საზ-ბა, ავიაქიმი და სხვა.

მესამე სხდომა

გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან. აჭარისტანის ორგანიზაციის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იმედაძე, გორიდან—ამხ. ლომიძე და ტფილისიდან ამხ. [illegible].

ანგარიში მოთავსებული იქნება გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

ავსტრიის მუშა--ახალგ. დელეგ. საქ-ში

დელეგაცია კოჯორში

კვირას ავსტრიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია გაემგზავრა კოჯორში.

იქ დელეგატები გაიყვნენ ორ ჯგუფად და შეუდგენ საბავშვო ქალაქის დათვალიერებას. საბავშვო სახლებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ავსტრიელ ამხანაგებზე. დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ სწავლა-აღზრდის მეთოდს, რომელიც შემოღებულია საბავშვო სახლებში.

საბავშვო სახლების დათვალიერების შემდეგ დელეგატები ფეხით წავიდენ სოფელ დიღომში, სადაც საუბარი ჰქონდათ იქაურ გლეხებთან.

საუბრის დროს ავსტრიელ ამხანაგებს აინტერესებდათ საკითხები: მძიმე ხომ არ არის გლეხობისათვის გადასახადები, როგორია მათი წლევანდელი მოსავალი. დელეგატებმა წამოაყენეს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებას.

საღამოს დელეგატები ესტუმრენ საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას, რომლის სხდომაზეც მოისმინეს მოხსენება ახალგაზრდობის მოძრაობის შესახებ საქართველოში.

გუშინ დილით დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა მოსკოვში.

საუბარი ცეკაში.

გამგზავრების წინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ცაბუშთან, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— მოსკოვში ჩასვლისას ჩვენ სხდომა გვქონდა ახალგაზრდათა კომინტერნის პრეზიდიუმის წევრებთან; ამ სხდომაზე ჩვენ მიერ წამოყენებული იყო საკითხი ავსტრიის ახალგაზრდათა კომკავშირთან შეერთების შესახებ.

თბილისიდან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ალბად, შესდგება მეორე სხდომა.

ამრიგად, უკვე თითქმის გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს საკითხი ჩვენი შეერთების შესახებ ავსტრიის ახალგაზრდობის ფართო კომუნისტურ მოძრაობასთან.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ჩვენ გვიკარნახებს ის გარემოება, რომ თანდათან ძლიერდება ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ის, რაც ჩვენ ვნახეთ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს, გვაიძულებს ჩვენ მჭიდროთ დაუკავშირდეთ ავსტრიის კომუნისტურ ახალგაზრდობას, რომ შეერთებული ძალებით საბოლოოდ მოვსპოთ ის კამპანია, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დაუნდობელი ბრძოლა ხალხის მძარცველებს

რომელ დაწესებულებაშიაც არ უნდა შეიხედოთ, თითქმის ყველგან აღმოაჩენთ მითვისებისა და გაფლანგვის შემთხვევებს. იშვიათად ნახავთ ადგილკომს, ქარხკომს, ფაბკომს, კოოპერატივს და გლეხკომს, სადაც არ მომხდარიყოს ქონების მითვისება, ფულების გაფლანგვა. ეს მოვლენა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წევრთა რიცხვის შემცირებით, მათი აქტივობის მოდუნებით გვექადის.

თბილისის პრესის ცნობით, ალმასკომის საკონტროლო განყოფილებამ აღმოაჩინა ელექტრონის სადგურების სამმართველოში ბოროტმოქმედება (გაფლანგულია 25.000 მან). მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოროტების მოწყობაში მონაწილეობას იღებდნენ დახელოვნებული კომბინატორები, ქურდობა მაინც აღმოჩენილი იქნა. მაგრამ რამდენი ბოროტება რჩება გამოურკვეველი და გამოუმჟღავნებელი.

გაზეთები გადმოგვცემენ აგრეთვე ამ დღეებში, რომ ზუგდიდის ფოსტის განყოფილების გამგეს მოუპარავს 80.000 მანეთი და მიმალულა. ცნობა იყო კიდევ, რომ ბაქოში ასამართლებენ პროფკავშირის ფულების გამფლანგველებს. რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ. ზოგიერთი მეტიჩარა ამ ბოროტებას იმით ხსნის, რომ მოსამსახურეებს ჯამაგირი არ ყოფნითო. მართალია ეს? რა თქმა უნდა, არა. განა დაწესებულებებში დარაჯები, შიკრიკები, რეგისტრატორები, შემანქანეები და სხვა დაბალი მოსამსახურენი ითვისებენ სახელმწიფო ქონებას? მათ, შესაძლებელია, დიდი სურვილიც აქვთ მოპარვის, მითვისების, მაგრამ ამას ვერ შესძლებენ, რადგანაც მათ ხელში არ არის არც ქონება და არც ფულები.

მაშ ვინ ქურდობს? ცხადია, ქურდობენ და ითვისებენ ისინი, რომელთაც კარგა მოზრდილი ჯამაგირები აქვთ და სრულიადაც არ სიმშილობენ, არ ცხოვრობენ გაჭირვებით.

ეს არამზადა, თავზე ხელაღებული ხალხი ორგვარ ზარალს აყენებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს—ერთი მხრით ისინი ძარცვავენ სახელმწიფოს, ძირს უთხრიან მის ნივთიერ კეთილდღეობას, ხოლო მეორე მხრით სახელს უტეხენ, ნდობას უკარგავენ მმართველ აპარატს მშრომელ მასების თვალში. უკანასკნელი გარემოება ყველაზე უფრო საშიშია მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის. სახალხო ქონების და ფულების გამფლანგველნი მშრომელმა ხალხმა უნდა გამოაცხადოს საშიშარ მტრად, რომელსაც უნდა მოვეპყრათ ჩვენი კანონმდებლობის მთელი სისასტიკით.

ჩვენ არ შეგვიძლიან ბრალი არ დავსდოთ მსგავს შემთხვევებში თვით დაწესებულებების ხელმძღვანელთ. საქმე იმაშია, რომ დაწესებულებების ხელმძღვანელნი ხშირად გულგრილობას იჩენენ და არავითარ კონტროლს არ უწევენ თავიანთ ხელქვეით თანამშრომლებს, რომელთაც საშუალებას აძლევენ ყოველგვარი ბოროტება მოიმოქმედონ და ჩაიდინონ. ასეთ პირობებში პასუხისმგებლობა ბოროტმოქმედების ჩადენაში ნახევრად მაინც უნდა დაეკისროს თვით დაწესებულებების ხელმძღვანელთ. ვინც გაეცნო ელექტრონის სადგურების სამმართველოში ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ის უეჭველად დარწმუნდება, რომ ამ დაწესებულებაში რიგიანად და წესიერად არ ყოფილა საქმე დაყენებული, რის გამო ბაქრაძეები, ქავთარაძეები, გრიშაშვილები, დოგუნაევები და ძმანი მათნი მოხერხებულად სარგებლობდენ და ხელს ითბობდნენ სახალხო ქონებით.

პასუხისმგებლობა მომხდარ ბოროტმოქმედებებში უნდა დაეკისროს აგრეთვე იმ დაწესებულებების და ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებსაც, რომელნიც თავიანთ მოვალეობას რიგიანად და პირნათლად არ ასრულებენ, ე. ი. ფხიზლად არ დარაჯობენ ხალხის ქონებას, ავლა-დიდებას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის რბილი მოპყრობა და სასჯელი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სასამართლო ორგანოებში. ხშირად აშკარა დამნაშავეს თავდებობის ქვეშ უშვებენ, რაიც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე და სხვებსაც ათამამებს.

ჩვენი სასამართლოები პასუხისგებაში მიცემულ პირებს ფორმალურად უდგებიან. ხშირია შემთხვევა, როცა ესა თუ ის პირი სჩადის ბოროტებას, მაგრამ ამ ბოროტებას სჩადის მეტად მოხერხებულად. სასამართლო არჩევს ასეთი პირის საქმეს და ხშირად აშკარა, მაგრამ მოხერხებულ ქურდს ანთავისუფლებს.

ჩემს დაწესებულებაში მსახურობდა ბუხჰალტერი ვინმე საენკო. მას ისე უწესრიგოთ, არევ-დარეულად ჰქონდა დაყენებული ბუხჰალტერია, რომ შიგ არხი-სპეციც კისერს მოიტეხდა. ყველაფერი ეს მან განზრახ მოიმოქმედა—რომ ვერ გამოვერკვია დაწესებულების ნამდვილი მდგომარეობა. ის მე მივეცი პასუხისგებაში. საქმე იყო ძიებაში თითქმის ერთი წლის განმავლობაში. შემდეგ გამომძიებელმა მოხსნა მას ბრალდება. საენკო ისე გათავხედდა, რომ მოვიდა ჩემთან და მომთხოვა ერთი წლის ჯამაგირი, შვებულება და სხვა. ხშირია შემთხვევა აგრეთვე, როცა დამნაშავეს მიუსჯიან სასჯელს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის მაინც თავისუფლდება სხვადასხვა ამნისტიების ძალით. ყველაფერი ეს ერთად აღებული ჰქმნის ისეთ ნიადაგს, რომ ბოროტმოქმედება შეურჩებლივ იზრდება.

ზედმეტი არ იქნება, რომ ასეთ დანაშაულისათვის ზოგიერთ შემთხვევაში სასჯელის უმაღლესი ფორმა დახვრეტა იქნას დაშვებული, რათა ამით იგრძნოს ყველამ, ვისაც ფარული განზრახვა აქვს ხელი წაუპოტინოს სახალხო ქონებას, რევოლიუციონური კანონიერების სუსხი და სისასტიკე.

ერთი სიტყვით, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს სახალხო ქონების, ფულების მიმთვისებლებს და გამფლანგველებს. ამას მოითხოვენ მშრომელთა ინტერესები.

კ. ხომერიკი.

რკინის გზებზე

კაზანცევის და კუნცე-კნორრის მუხრუჭების გამოცდა

მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოხდება სერიოზული გამოცდა გერმანული ფირმის კუნცე-კნორრის სისტემის და რუს გამომგონებლის კაზანცევის სისტემის მუხრუჭების. პირველი გამოცდა მოხდება მოსკოვის კვანძის გზებზე, შემდეგ კი ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე. საცდელი მატარებელი შედგენილი იქნება 100 საბარგო ვაგონიდან. ვაგონების ნაწილს ექნება კაზანცევის, მეორე ნაწილს კი გერმანული სისტემის მუხრუჭები (თანრიგით).

მუხრუჭების მუშაობის სრული და ნათელი სურათის მისაღებად ცდის დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის ვაგონები. ყაზანისა და კურსკის რკინისგზის სახელოსნოებში ამზადებენ გამოცდისათვის ორღერძიან ვაგონებს, თბილისში კი ცდების დროს ისარგებლებენ როგორც ორღერძიან, ისე ოთხღერძიან ცისტერნებით. ეს შესაძლებლობას გახდის მუხრუჭების გამოცდას სხვადასხვა პირობებში და გამოარკვევს, თუ როგორ უნდა იყონ დალაგებული სხვადასხვა ტიპის ვაგონები მატარებლის შედგენის დროს.

ამ ცდებით დიდათ არიან დაინტერესებული არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიაც და კერძოდ გერმანიაში. გერმანია გზავნის ამ გამოცდებზე რკინისგზების მთავარ სამმართველოს 5 თანამშრომელს. გარდა ამისა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის მოწვევით გამოცდას დაესწრებიან გერმანიის რკინისგზების გამოჩენილი სპეციალისტები და აგრეთვე გერმანიის რკინისგზების მთავარი სამმართველოს უფროსი ინჟინერი ხამმერი.

სვანეთის მთებში

ქვემო სვანეთი

5 სექტემბერს დილით გამოვეცალეთ ცხენები და გაუდექით გზას.

მივდივართ ცხენისწყალის მარჯვენა მხარეს. გავსცდით თუ არა რკინის ხიდს, წინამძღოლმა მაშინათვე გასცა განკარგულება:

— ცხენებიდან ჩამოდით, აქ სახიფათო ადგილიაო!

სიცოცხლე გვქონდეთ, ჩვენც უსიტყვოთ ვემორჩილებით მის განკარგულებას.

ასასვლელია კარგა მაღლა—ერთი ადლის სიგანე, არ ვიცი რა დავარქვა, გზა, ბილიკი თუ სხვა რამ. უზარმაზარ პიტალო კლდისთვის [illegible] გამოუნგრევიათ გვერდი და ჩვენც აქ უნდა გავიაროთ.

ეხლა წარმოვიდგინე პირველად სვანეთის ნამდვილი სახე და გავიფიქრე.

— მაშ ეს არის სვანეთის გზები! კიდევ უნდა ვიაროთ რამდენიმე ათეული ვერსი!

ვედით ფეხით. ადგილი მართლა ძალიან ხიფათიანია. ცხენს სულ ადვილად შეუძლიან წაიფორხილოს კლდის ნაპრალებზე ან გაულიპდეს ფეხი და მაშინ— „მშვიდობით ცოლო და შვილო"! ვინ იცის რამდენი ფეხმოცდარი უნაცვალებია ამ გზაზე ცხენის წყალის მქუხარე ტალღებს!

ცოტა სამშვიდობოზე რომ გავედით, ისევ მოვაჯექით ჩვენს ბედაურებს.

რამდენჯერ გვიხდება ჩამოსვლა ხან აღმართში, ხან დაღმართში, ხან გადასახტომზე ან ჩანგრეულ, ჩამოხრეულ ხიდზე გასასვლელად—ვინ დაითვალოს.

თხუთმეტ ვერსამდის ჩვენი გზა მიდის პირდაპირ ჩრდილოეთით. მარჯვნივ დაჭედილი რაშივით მოჰქუხს ცხენისწყალი, მარცხნივ კი მოდიდებულან ხან გვერდჩამოხლეჩილი კლდეები, ხან მწვანე ტყეებით დაბურული მთები.

გზა ისეთია, რომ ორი ცხენი ერთად ვერ გაივლის. მივსდევთ ერთმანეთს წეროებივით.

ქვემო-სვანეთი შესდგება სამი თემისაგან: ლენტეხისა, ჩოლურისა და ლაშხეთისა. ჩვენ ვიმყოფებით ლენტეხის თემში.

ჩვენ გზაზე პირველი სვანური სოფელი არის რცხმელური.

ფილიპე დაინტერესდა სვანური სახლის მოწყობილობით და შევედით ერთ ოჯახში. მე აქ არ აგიწერ სვანურ სახლს, რადგან ის უფრო კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, ალბათ ცაგერის სიახლოვის გამო. მას გაგაცნობთ შემდეგში, როცა უფრო ღრმათ შევალთ სვანეთის გულში და სახლებიც თითქმის ყველასი სულ ერთნაირია.

აქ ადგილის სივიწროვე დიდია, მაგრამ მოსავალი მაინც საუცხოვო არის. ქერის გარდა პურიც კარგათ მოდის და სიმინდიც. ხილეულობაც გვარიანათ ხარობს. ვაზს ხომ ნულარ იტყვით! ისეა გახალისებული და ისე დიდებულათ ასხია, რომ კაცის თვალსაც კი შეეხარბება. გარდა ამისა საუცხოვო თუთუნის პლანტაციებიც ბლომათ გვხვდება.

მთები საერთოდ დიდ საიდუმლოებას წარმოადგენენ თავიანთი სიმაღლით, სიშორით. ასეთივე საიდუმლოებით გარემოცულია მათი ჰავაც. უამისოდ ასეთ მაღალ და ცივ ადგილებში როგორ აიხსნება ვაზისა და თუთუნის ასე სანატრელათ გახარება? აქ ვაზი ისე არის გათამამებული, რომ დამარხვაც კი არა სჭირდება. ხიდან-ხეზე გადაკლაკნილან დიდრონი მტევნებით დატვირთული ჭიგოები.

ცაგერის აქეთ უკვე აღარაფერი გვაგონებს თანამედროვე განათლებისა და ტექნიკას. რკინის გზებზე და ავტომობილებზე ვილა ფიქრობს! მაგრამ აქ აღარც ფოსტაა, არც ტელეგრაფი, არც ტელეფონი. აქაური რადიო ისევ წლობ-დაცვეთილი ცხენებით მიჩაქჩაქებს ერთი ადგილიდან მეორეში. აქ არავის აუშლელია ძარღვები თანამედროვე ხისწრაფით და ახალი ამბებით. ამ მხრივ სვანეთს თავი ისევ საშუალო საუკუნოების კალთაში უძევს და მშვიდი გუნებით მისჩერებია გარშემორტყმულ მთების უძრავ სიმაღლეთ.

ამინდი საგანგებოთ გვიწყობს ხელს. ზაფხულის მზე მაღალ მწვერვალებზე მოცლენილ სიცხეს უფრო გაორკეცებით გვიგზავნის დაბლობში მყოფთ და ჩვენც თითქოს ტფილისზე უფრო მეტათა ვგრძნობთ იმის მწველობას.

ცივი წყაროები, უკვდავების წყაროები ყოველ ნაბიჯზე, და ჩვენ გახურებულ გუნებასაც სხვა რაღა უნდა ნუგეშათ ამაზე კარგი?!

აგერ ერთ ადგილას ჩვენ თვალ წინ პატარა და ლამაზი მინდორი გადაიშალა. ფერდობიდან გადმოსჩქეფს ზრიალის ნაკადი. იმის წინ კი ორი ადლის სიგანეზე შემოვლებულია ქვის ღობე. შუა გულში არის დიდი ბრტყელი ქვა, რომელზედაც მოსჩანს კარგათ ამოღრუტნული ფეხის ნიშანი.

ამას ეძახიან „ქრისტეს ფეხის ნაბიჯს". ამის შესახებ შემდეგ ლეგენდას გადმოგვცემენ:

ამ ადგილამდის თურმე მისულა ქრისტე. აქ ჩამომხტარა ცხენიდან და ეს ფეხის კვალი დაუჩნევია. ცოტა ხანს შესვენებია, დაულევია ეს წყარო, თავისი უხვი კალთა დაუბერტყია აქ და ისი დაბრუნებულა უკან.

რომ უხვი კალთა აქ დაუბერტყია, ამის საბუთად ასახელებენ შემდეგს: ამ ადგილამდის ყოველგვარი ჭირნახული და ხილეულობა უხვად მოდის. ამ ადგილს ზევით კი ხუნდება [illegible] და უფრო მწირი ხდება და მოსავალიც უვარგისია.

მართლადაც, იმას ზევით აღარც ბაღებსა ვხვდებით, არც ვენახებს, არც თუთუნს. არის მხოლოდ ქერი და კართოფილი.

შუადღე იქნებოდა სწორეთ, როცა მივედით ლენტეხის სათემო სოფელ ლექსურში.

აქ არის სკოლა. კოოპერატივი საზრალოთ შეკუჭულა ერთ ფიცრულ ქოხში და როგორც იტყვიან— მისი ავლა-დიდება [illegible]. არც ნავთი იყო, არც შაქარი, არც მარილი. ფართალი კი მოიძებნებოდა ცოტაოდენი.

ყველაფერს ეზიდებიან ცხენით იმავე გზით და ისევე წვალებით, როგორც ჩვენ მოვედით. ვერ წარმომიდგენია ამგვარათ მოტანილი შაქარი რა ყელში უნდა ჩავიდეს ტკბილათ.

ჩვენ ყველანი კი მადიანათ ვართ, მაგრამ შესაჭმევარი კი დიდი არაფერი მოგვეპოვება. იქვე ერთი გაქუცული სამიკიტნოა. წარმოიდგინეთ —ორი კონსერვი აღმოაჩნდა. ღვინოც კი ჰქონდა. თუ რა ვემოსი იყო —ეს, დეე, ჩვენ შორის დარჩეს.

მიკიტანი სვანია. ისე ზანტათ ირჯება, რომ ღვთისნიერ კაცსაც კი მოთმინებიდან გამოიყვანს. პურის დათლაც ეზარება, ხორცის მოწოდებაც. კონსერვები ხომ რაღა სათქმელია?

— მიუთ და გახსენით! მე დაღალული ვარო!

თუ ყველა სვანები ამისთანა თავაზიანები არიან, მაშ კი შთაბეჭდილებას წამოვიღებთ იქიდანა!

—

სხვათა შორის, აქ რამდენიმე დღის წინეთ სისხლის აღებით მოუკლავთ ერთი კაცი. ჩვენ ეს ამბავი პირველათ ყველას გაგვაკვირვა: ნუ თუ სისხლის აღება კიდევ არსებობსო. შემდეგ კი დავრწმუნდით, რომ ეს ჯერ ისევ ჩვეულებრივ მოვლენათ არის გადაქცეული და დიდი ბრძოლა არის საჭირო მის აღმოსაფხვრე-

მდ. ხელედურის გაყოლებით ბავარის ქედზე სცხოვრობს თურმე დიდი ონავარი ხალხი ცალანები და არღვლიანები. მათი მოთრგუნვა აქამდისაც ვერ მოხერხებულა. ეხლაც იმათ აუღიათ სისხლი.

ლენტეხის თემში ითვლება 300 კომლამდის. ცხოვრობენ მესაქონლეობით და შეშაზე მუშაობით, რომელსაც აწარმოებს ცაგერის ალმასკომი...

დაყოვნება აღარა ღირს. გადაწყვეტილი გვაქვს, დღეს უეჭველად ავიდეთ ლიშხეთში. უამისოდ ღამის გასათევი არსად არ გვეგულება.

გბლა შემოვტრიალდით აღმოსავლეთისაკენ ისევ ცხენისწყალის გაყოლებით.

გზა თითქოს ცოტა უკეთესია, ვიდრე აქამდის, მაგრამ კისრის მოტეხა და კლდიდან გადაჩეხვა ისევე ადვილად შეიძლება, როგორც აქამდის. ყოველ სახიფათო ადგილას ცხენიდან ჩამოხტომით [illegible]. მამშე კი დაუზოგავად გვტუქსავს ყველას, რომ არ გვავიწყდეთ, ან არ დავეზაროთ და საეჭვო ადგილას ცხენით არ გავიაროთ. ასეთ სიფრთხილის მაგალითს პირველი თვითონ იძლევა ხოლმე.

მთები სულ ტყიანია. უმეტეს ნაწილად წიფელა, რცხილა, თელა და ნეკერჩხალი. იშვიათია ნაძვნარი და ფიჭვნარი.

გზა ისევ ვიწროა და აღმართ-დაღმართიანი. მაგრამ ტყეების სილამაზე, მთების სიმაღლე და ყოველ მოხვევაზე ახალ-ახალი სურათის გადაშლა გულს გვიხალისებს და გზების სიძნელეს გვავიწყებს.

ყოველი კუთხე ღირს შეჩერებათ და აღწერათ, მაგრამ შემდეგ ნახულმა ადგილებმა ისე დაჩრდილეს ყველაფერი ეს თავიანთი სილამაზითა და სიდიადით, რომ აქ სიტყვის ვამჯობინებ, სანამ მივაღწევდეთ უფრო თვალწარმტაც ადგილამდის.

ლევ. მეტრეველი.

„რემედასს"-ის აღმასკომის წევრი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა „რემედასს"-ის აღმასკომის წევრი იტალიელი კომუნისტი მარაბინი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის—კოლონიის მოწყობა ა.-კავკასიაში 300 იტალიელი პოლიტემიგრანტისათვის.

ა.-კავკასიის კოლონია მოწყობილი იქნება იმ თანხებით, რომელსაც აიღებს იტალიელი პოლიტემიგრანტების კოოპერატივი მოსკოვში იტალიიდან საბჭოთა კავშირში ლიმონების შემოტანის ოპერაციებიდან; ამ კოლონიის მოწყობას მოხმარდება აგრეთვე ის თანხები, რომლებიც აღებული იქნება საბჭოთა კავშირიდან იტალიაში ბეწვეულის გატანის ოპერაციებიდან.

მარაბინთან ერთად ტფილისში ჩამოვიდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი აგრონომი გუცინი. კოლონიის მოსაწყობად კლიმატიური და ნიადაგის პირობების მიხედვით საუკეთესო ადგილად მიჩნეულია ზღვის სანაპირო რაიონი ტუაპსეს ახლოს.

კოლონია-კოპერატივი მოწყობილი იქნება სასოფლო-მეურნეობის უკანასკნელი მიღწევების თანახმად. კოლონია დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობასაც განზრახულია ფაბრიკის გახსნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლათ. თავის მუშაობას მარაბინი შეუთანხმებს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობას.

მარაბინთან და გუცინისთან ერთად ტფილისში ჩამოვიდა იტალიის სოციალისტური პარტიის წევრები.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა

აგვისტოში

(საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მასალების მიხედვით)

ამინდის დახასიათება

აგვისტოში საერთოდ მთელს საქართველოში იყო ცხელი და მშრალი ამინდი, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი მაზრები, როგორც მაგალითად: ოზურგეთის, სენაკის მაზრები და აჭარა. თვის პირველ ნახევარს წვიმა გრძელდებოდა: სენაკის მაზრაში 8 დღეს, ოზურგეთის 10 და ქუთაისის მხოლოდ 2 დღეს; თვის მეორე ნახევარში კი წვიმა იყო ოზურგეთის მაზრაში 8 დღეს, სენაკის და ქუთაისის 2 დღეს, აღმოსავლეთ საქართველოში წვიმა იყო მთელ თვეს, გორის მაზრაში 6 დღეს, ბორჩალოს—3, და თელავის—2, ისიც უმნიშვნელო. აქ ნაჩვენებ ნალექთა რაოდენობა სრულებით არ იყო საკმარისი, გვალვისგან შევიწროებულ ნათესების მდგომარეობის შესამსუბუქებლათ გვალვა მთელი თავისი სიმძიმით დაეწვა აღმოსავლეთ საქართველოს, სამხრეთ ოსეთს, ლეჩხუმის და შორაპნის მაზრებს, რომელიც უარყოფითი გავლენას ახდენს ნათესებზე. ზოგიერთ შემთხვევაში გვალვისგან სულ იღუპება ასეული დესეტინა. სტიქიურ მოვლენებიდან ყველაზე საგრძნობი იყო აღმოსავლ. საქ. სეტყვა და ქარები. დასეტყვის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ახალციხის, სიღნაღის, თელავის მაზრებში, სამხ.-ოსეთში და ლეჩხუმში. სიღნაღის მაზრაში მან სავსებით გაანადგურა 500 დეს. ბამბის ნათესები და ვენახების საგრძნობი ნაწილი.

ნათესების მდგომარეობა

შემოდგომის ხორბლეულის აკრეფა ყველგან დამთავრდა თავის დროზე აგვისტოს მიწურულში, გამონაკლისს შეადგენს ახალციხის, ახალქალაქის და ლეჩხუმის მაზრები. მოსავლის აკრეფის დროს ამინდი ხელშემწყობი იყო, საშუალოზე კარგ მოსავალს გვიჩვენებს მაგ. ახალციხის და ბორჩალოს მაზრები საშუალზე მდარეს ზუგდიდის მაზრა, სხვაგან კი საშუალოა. მარცვლის ღირსებაც საერთოდ საშუალო ან საშუალზე კარგ შედეგებს გვიჩვენებს. ყველაზე უკეთეს მოსავლიანობას გვიჩვენებს ბორჩალო, შემდეგ თბილისის მაზრა. ყველაზე უმცირესს კი იძლევა სამხ.-ოსეთი, სადაც წელს გვალვამ და სხვა სტიქიურმა მოვლენებმა მოსავალი ძალზე შეამცირა.

სიმინდის ნათესები კარგ ნიშნით ხასიათდება სენაკის მაზრაში, საშუალზე კარგით: ქუთაისის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში. დანარჩენი რაიონები კი საშუალოთი. სიმინდის ნათესებს წელს საერთოდ საშუალო ან საშუალზე კარგი პირი უჩანს, სამხ.-ოსეთი, ოზურგეთი და შორაპნის მაზრების გამოკლებით.

ვენახები

1 სექტემბრისთვის კარგ მდგომარეობაში იყო ვენახები შორაპნის და ოზურგეთის მაზრებში, საშუალოზე კარგს, სიღნაღის და თბილისის მაზრები, სხვაგან მდგომარ. საშუალოა. ვენახებზე მუშაობა უკვე დამთავრდა, მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში მორწყვა და გათოხნა გაგრძელდებოდა. დამთავრდა აგრეთვე წამვლაც, საწამლი მასალის სიმცირე მხოლოდ გორის და ქუთაისის მაზრას დაეტყო. ავადმყოფობა და მავნებლებისგან მხოლოდ უმნიშვნელოდ დაზიანდა ვენახები. სტიქიურ მოვლენებისაგან საშუალოდ დაზიანდა ვენახები 221 დეს. სიღნაღის და 380 დეს. თელავის მაზრებში. საერთოდ ამინდი ყურძნის დამწიფებას ხელს უწყობდა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში მოსამზადებელი მუშაობა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ყველა საგადასახადო ობიექტების აღსარიცხად, მიღებული მასალის წესრიგში მოყვანა და შემოწმება უკვე დამთავრებულია.

ა.-კავკასიის სამივე რესპუბლიკაში დამთავრებულია აგრეთვე იმ გადასახადების გამოანგარიშება, რომელიც შეწერილია ცალკე მეურნეობებზე, ამჟამად მიმდინარეობს საგადასახადო ფურცლების დარიგება.

რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, აქ უკვე დაწყებულია გადასახადის აკრეფა, თუმც ა-კავკასიის რესპუბლიკებისათვის გადასახადის შეკრეფის ვადათ დაწესებულია მიმდინარე წლის 1 ნოემბერი. მიღებული ცნობების თანახმად საქართველოს ზოგიერთი მაზრების გლეხობამ სურვილი განაცხადა გადაიხადოს მთელი გადასახადი არა სამ ვადაზე, არამედ ერთბაშად.

ამგვარად, როგორც ფინანს. სახ. კომის. გადმოგვცემს, განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, მიმდინარე წელს, მოსალოდნელია, რომ გლეხობა თავის საგადასახადო ვალდებულებას შეასრულებს დაწესებულ ვადაზე უფრო ადრე.

გლეხობის ნივთიერი მდგომარეობის საერთო გაუმჯობესება, გადასახადის ნორმის საგრძნობი შემცირება, ამასთანავე წლევანდელი კარგი მოსავალი, საკმაო საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოტანა იწარმოებს დაუბრკოლებლად,—ასე რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთლიანად იქნება შემოტანილი.

ბორჯომის კომბინატი

მოთხოვნილება ბორჯომის წყალზე თანდათან იზრდება—წელს გასაღებული იქნება 3.500.000 ბოთლი წყალი.—ხუთი წლის განმავლობაში წყალის ჩასხმა 6.000.000 ბოთლიდან გაიზრდება—146.00.000 ბოთლამდე წელიწადში.—წარმოება გადააჭარბებს ომის წინახანების წარმოებას 60 პროცენტით.—ხელფასი გაიზრდება 21 პროც.-ით.

ბორჯომის კომბინატის მთავარი წარმოებაა „ეკატერინეს" წყარო, რომელიც დღე-ღამეში იძლევა 72.000 ლიტრა წყალს.

წყალის ჩასხმის მაქსიმალური რაოდენობას იძლევა 1913 წელი—9.000.000 ბოთლი. ამის შემდეგ ჩასხმის განვითარებას ხელი შეუშალა ომმა, რომელმაც დაშალა ბორჯომის წყალის ბაზარი. წყალის გასაღების საქმე განსაკუთრებით საგრძნობლად დაეცა 1921 წელში, როდესაც ჩასხმულ იქნა მხოლოდ 92.000 ბოთლი.

ამჟამათ ბორჯომის წყალის ექსპლოატაცია სწრაფათ იზრდება, რასაც ხელს უწყობს მოთხოვნილების გადიდება მასზე. გასულ წელს გასაღებულ იქნა 1.900.000 ბოთლი წყალი, მაგრამ მოთხოვნილება მაინც სავსებით დაკმაყოფილებული არ ყოფილა. ასეთივე მდგომარეობაა წელსაც, როდესაც შესაძლებელი გახდება 3.500.000 ბოთლის გასაღება, იმ დროს როდესაც მოთხოვნილება ფაქტიურად აღემატება ამ რაოდენობას. მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას ხელს უშლის ტეხნიკური მოუმზადებლობა ე. ი. ის რომ შუშის ქარხანა ვერ ამზადებს ბოთლების საჭირო რაოდენობას.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის თანახმად, 1925—26 წელს ჩასხმული იქნება 6.600.000 ბოთლი ბორჯომის წყალი; 1926—27 წელს—10.000.000 ბოთლი; 1927—28 წელს—11.400.000 ბოთლი; 1928—29 წელს—14.600.000 ბოთლი და ამდენივე 1929—30 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში წყალის ჩასხმა იწარმოებს სამი მეოთხედი ლიტრის მოცულობის ბოთლებში, ნაცვლად ეხლანდელი ერთი ლიტრის მოცულობის ბოთლებისა. ამასთანავე განზრახულია ბოთლის საცობების შეცვლა ლითონის საცობებით.

წყლის ჩასხმის გადიდებასთან ერთად გაფართოვდება ბოთლების დამზადება და ნახშირმჟავას გამომუშავება.

ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ბორჯომის წყალის ექსპლუატაცია გადააჭარბებს ომის წინა ხანების წარმოებას 60 პროცენტით. ქარხნებში შრომის ხელფასი გაიზრდება საშუალოდ 21 პროცენტით. ამასთანავე თვით ღირებულება შემცირდება: მინერალური წყალის ქარხანაში—29,5 პროცენტით, შუშის ქარხანაში—39,8 პროცენტით და ნახშირმჟავას ქარხანაში 25 პროცენტით.

ეკონომიური ქრონიკა

უცხოეთის საქონელი

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სახელზე ავსტრიიდან მიღებულია ცენტრმსრბოლი ტურბინები, მაღალი წნევის პლუნჟერის საქაჩავები, ცელები—30 ათასი ცალი, ხერხები, ხორცის საჭრელი იარაღები და სხვა.

უცხოეთიდან მიღებულია აგრეთვე ქიმიური საქონელი—ლუდის ფისი—5000 კილოგრამი, ხელოვნური კორუნტი—7,500 კილოგრამი და სხვა.

პურის შემოზიდვა

უკანასკნელ ხანებში პურის ტვირთების მოტანას ბაქოდან თბილისში აგვიანდება 10 დღით. შინა-ვაჭრობის სახ. კ-რის შუამდგომლობის თანახმად რკინის გზის სამმართველოს მიერ გაცემულია განკარგულება პურით დატვირთულ ვაგონების სასწრაფოდ გამოგზავნის შესახებ.

ამ მოკლე ხანში გატარდება ცხოვრებაში ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილება სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების მიერ სავაჭრო წიგნების სავალდებულო წარმოების შესახებ.

წითელ ჯარში

შვებულ წითელარმიელთა საზეიმო გაცილება

პირველი ქართული დივიზიის პირველ საარტილერიო ლეგიონში გუშინ, 21 სექტემბერს, გაიმართა ზეიმი უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა საპატივცემულოდ.

ლეგიონის კლუბის დიდი დარბაზი სავსეა შვებულ და ახალწვეულ არმიელებით.

იხდება ფარდა და ლეგიონის ბიურო-კოლექტივის მდივანი ამხ. დემეტრაშვილი საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს; ის თავის მისასალმებელ სიტყვაში აცნობს შვებულთ იმ მოვალეობას, რომელიც მათ ეკისრებათ შინ მისვლისას, გლეხთაშორის.

ასეთივე სიტყვებით მიმართეს მათ: ლეგიონის შეფების წარმომადგენლებმა—მუშებმა და მოსამსახურეებმა, ლეგიონის მეთაურთა წარმომადგენელმა ლეგიონის სამხედრო კომისარმა ამხ. ფოფხაძემ, რომელთაც უსურვეს მათ წარმატებითი მუშაობა სოფლად და კავშირის განმტკიცება ქალაქსა და სოფელს შორის.

თავის საპასუხო სიტყვებში წითელარმიელებმა ამხ. ლეჟავამ და გვენცაძემ მიიღეს ეს დავალება და თავის მხრივაც მოუწოდეს ამხანაგებს, რომ გაამართლონ ის იმედები, რომელსაც ამყარებს მათზე ხელისუფლება.

მოხსენებების შესახებ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. შემდეგ კი შვებულთ დაურიგდათ საჩუქრად სხვადასხვაგვარი ლიტერატურა.

ზეიმი დამთავრდა წარმოდგენით; გათამაშებული იქნა პიესა „არსენ ჯორჯიაშვილი".

საბჭოთა აღმშენებლობა

ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილი

მიმდინარე ზაფხულის დამდეგს დაიწყეს გზატკეცილის გაყვანა ქუთაის-წყალტუბოს შუა. ამ ჟამად უკვე გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. ქუთაისიდან პირველი ვერსი უკვე მოფენილია დამტვრეული ლორღით და ახლა სწარმოებს მისი მოტკეპნა ორთქლის სატკეპნი მანქანით. უკანასკნელი ორი ვერსი კურორტთან და აგრეთვე თვით კურორტის გზაც გამზადებულია ლორღის მოსაყრელად. გზის მთელ სიგრძეზე სწარმოებს მიწის სათხრელი და კლდის სამტვრევი სამუშაოები. გზატკეცილის დამთავრება მოხდება ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში. მომავალ საკურორტო სეზონიდან წყალტუბოს კურორტს ექნება კარგი გზატკეცილი.

დასასვენებელი სახლების აგება ბახმაროზე

აჭარისტანის დამზღვევმა კომიტეტმა გადასწყვიტა ააგოს აგარაკ ბახმაროს რაიონში რამდენიმე დასასვენებელი სახლი აჭარისტანის მუშა-მოსამსახურეებისათვის. სახლების აგება დაიწყება წელსვე იმ ანგარიშით, რომ მომავალ სააგარაკო წლიდან სახლებმა უკვე მიიღონ დასასვენებლად გაგზავნილნი.

ახალი ელექტრო-სადგური ფოთში

ფოთის ქალაქის აღმასკომმა ლენინგრადიდან მიიღო ელექტრო-იარაღები 200 ძალიანი ელექტრო-სადგურის დასადგმელად. ახალი დიზელის დადგმის შემდეგ დამთავრდება ფოთის ყველა ქუჩების ელექტროფიკაცია. ამუშავებული იქნებიან აგრეთვე ფოთის კინო-თეატრები, რომელნიც ელექტრონის სინათლის უქონლობის გამო გაუქმებული იყვნენ.

ცხენიანი ტრამვაის ახალი ხაზი ფოთში

დამთავრდება გაყვანა ცხენიანი ტრამვაის ახალ ხაზისა, რომელიც ქალაქის ცენტრ. ადგილებს უერთებს ქალაქის განაპირა მიდამოებს ამ მოკლე ხანში ფოთში მოელიან რუსეთში კონკისათვის შეძენილ ცხენებს.

საამშენებლო მასალების დამზადება

ამ უკანასკნელ ხანებში სახლების საამშენებლო მუშაობის გაცხოველების გამო, ტფილისის აღმასკომის საამშენებლო მასალის ქარხნებმა გაადიდეს საამშენებლო მასალის წარმოება. ამას წინად საამშენებლო - სააქციონერო საზოგადოებამ „სამშენ"-მა ტფილისის აგურის ქარხნებს დაუკვეთა 1.900.000 ცალი აგური, რომელიც უნდა მოხმარდეს მუშათა სახლების აგებას მუშათა უბანში. ტფილისის აღმასკომის საგურო ქარხნების სამმართველომ დაამზადა 400.000 ცალი აგური ზემოხსენებული საზოგადოების საჭიროებისათვის.

საგურო ქარხნების სამმართველომ შეკვეთა მიიღო კიდევ ა | კ. რკინის გზათა სამმართველოსაგან, რომელსაც უნდა დაუმზადოს ამ მოკლე ხანში—340 ათასი ცალი აგური

ამავე ქარხნებმა შეკვეთის თანახმად უნდა დაამზადონ აეროდრომისათვის—200 ათასი ცალი აგური, ამდენივე რადიოსადგურისათვის, ხოლო ტრამვაისათვის—200 ათასი ცალი

ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურისაგან მიღებულია აგრეთვე შეკვეთა 535 ათასს ცალ აგურზე.

თბილისის აღმასკომის საგურო ქარხნების სამმართველოს უწყების ქვეშ ამჟამად იმყოფება 5 საგურო ქარხანა. ყველა ამ ქარხნების ყოველდღიური დამუშავება 60 ათას ცალ აგურს აღემატება.

ქარხნები ვერ აკმაყოფილებენ ბაზრის მოთხოვნილებას. ამჟამად სწარმოებს მე-6-ე ქარხნის მოწყობა; ა | წ. პირველი ოქტომბრისათვის ქარხანა ამუშავებული იქნება.

პატარა ფელეტონი

ბიბლიოთეკა

მჭადის „იმპერიალიზმი"

„ყველასათვის გათენდა, მაგრამ სამეგრელოსთვის ჯერაც ბნელი ღამეა. მას ხშავს და სულს უხუთავს ქართული იმპერიალიზმი".

(ჯაღიან-ბუკია-ბესელიას პეტიციიდან)

მჭადმა სთქვა: მივალ ზუგდიდში
ახალსენაკის გზითაო,
პურო! შენ გზა დამიცალე
შენი საბძლით და ბზითაო.
მოდიხარ ცივ რუსეთიდან
ბაქოს გზით, ანუ ფოთითა
და ცნობილი ხარ შენს დღეში
თვითმპყრობელური შფოთითა.
შესდექი ლიხის მთის იქით,
არ გადმოლახო რიონი,
ნაცარ-ქექიებს რომ გიგავს
ტომრეზის ბათალიონი!..
იმპერიალიზმს იჩემებ
და არ გაქვს მაგის უნარი,
ან მე ვითამ ეგ საქმე
რაა აქ დასაწუნარი?!.
თუ „კუკურუზნი"-ს კი [illegible]
რესპუბლიკას და მთავრობას,
მაშ, მე, მჭადს, ვინღა დამიშლის
ჩემს თვითმპყრობელურს მგზავრობას?!
გადავალ ცხენისწყალზე, რომ
ხელში ჩავიგდო ოდიში!
იქ ფქვილის ღომი თუმც მევობს,
არც კი ღირს მასთან ბოდიში.
რბილი არის და ფაფუკი,
სულ არ შეშვენის მეფობა,
როცა გვაქვს აქ ქალაქები,
მითი სოფლებზე შეფობა.
ტფილისით, ფოთით, ბათომით,
ოზურგეთ-ქუთაისითა
მოვათრევ იმპერიალიზმს
პორთფელითა და ქისითა.
გახიკინებულ ქერქებით
ფქვილის ღომს დავეძგერები,
რომ აქეთ „ურთა" შეძრწუნდეს,
იქით—„კორცხელის სერები"!..
ცოტა სულგუნის ხათრი მაქვს
და მენანება ელარჯი,
მაგრამ რა ვუყო? ორივეს
ჰვისტარით გადაველაჯვი!..
არც ჩხოუშიას დავინდობ
თავისი წისქვილებითა,
აქეთ ცხენისწყალს, იქ—ენგურს
არხს ამოვუვსებ ქვებითა,
რომ საზღვრას ნასახ-ნუსახი
არსად არ დარჩეს მთხრობლადა,
არც სოფლად გლეხთა ქოხები
მჭადების დაუცხობლადა!..

ონისიმე.

კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ ა | კ. საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის გაღებულია 2 მილიონ მანეთზე მეტი კრედიტი.—მომავალ საბიუჯეტო წლიდან ა | კ. ქალაქები მოითხოვენ 8 მილიონ მანეთ სესხს იმავე საჭიროებისათვის.

მოსკოვის ცენტრალური კომუნალური ბანკი აძლევს სესხს ა | კავკასიის მთავარ ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტებს საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად.

წინასწარ გამოკვლეული იქნება ა | კავკასიის მთავარი ქალაქების საბინაო მშენებლობა და კომუნალური მეურნეობანი.

ჯერ-ჯერობით მოსკოვის ცენტრ. კომუნალურმა ბანკმა სესხი მისცა ტფილისს, ბაქოს და ერევანს. ტფილისმა და ერევანმა მიიღო ოთხას-ოთხასი ათასი მანეთი, ხოლო ბაქომ ნახევარი მილიონი. ეს თანხები უნდა მოხმარდეს მუშათა საბინაო მშენებლობას. გარდა ამისა იმავე ბანკმა მისცა ტფილისის აღმასკომს 600 ათასი მანეთი სესხი იმ მიზნით, რომ ეს ფული მოხმარდეს „ზაჰესის" ელექტრო ენერგიის მიმღებ ელექტრონული ქსელის გადაკეთებას ახალი გეგმის მიხედვით. გაღებულია 100 ათასი მანეთი აგრეთვე განჯის ელექტროსადგურის გასაკეთებლად. ამდენივე თანხა გაიღო მოსკოვის ბანკმა სალიანში წყალსადენის მოსაწყობად, ხოლო 35 ათასი მანეთი აბანოს ასაგებად შემახაში.

ამ კრედიტებს გარდა ბანკმა გაიღო 200 ათასი მანეთი ბაქოში დიდი მუშათა სახლის ასაგებად.

საბინაო მშენებლობის გამოსაკვლევად ა | კ. ქალაქებში ჩამოსულია მოსკოვის კომ. ბანკის გამგეობის წევრი ამხ. ტაგიევი, რომელმაც უკვე გამოიკვლია საბინაო მშენებლობა ბაქოს და ტფილისში. გამოკვლევის თანახმად, ბაქოში ამ ჟამად შენდება 150 ერთსართულიანი 2 ბინიანი სახლი, რომელთა აგება დასრულდება 1926 წლის პირველ იანვრისთვის. განჯის ელექტროსადგური ამუშავებული იქნება ა | წ. 1 ნოემბრისათვის, ხოლო წყალსადენის აგება სალიანში დამთავრდება ნოემბრის შუა რიცხვებში.

მიღებული 400 ათასი მანეთით ტფილისის აღმასკომი აშენებს 3 სართულიან სახლს 200 ოთახით, სადაც იქნება 90 ბინა.

ერევანიც აშენებს 3 სართულიან სახლს, სადაც იქნება 12[illegible] ბინა.

1925—26 წლისათვის ცენტრ. კომუნ. ბანკმა მიიღო ამ.-კავკ. რესპუბლიკების ქალაქებიდან განცხადება 5 მილიონი მანეთის სესხის გამოთხოვის შესახებ მუშათა საბინაო მშენებლობისათვის და 4 მილიონი მანეთის გამოთხოვის შესახებ კომუნალური საჭიროებებისთვის.

საქართველოს გეოგრ. საზოგადოების ექსპედიცია სვანეთში

(შთაბეჭდილებანი)

სამრად გამზადებულ, შავჩოხიან, ბროლის ჩიჩქანით დამშვენებულ სვანსა ჰგავს მრისხანე უშბა; ლამაზია მისი მოღუშვა, შიშის აღმძვრელიც, მაგრამ ექსპედიციის წევრნი ალსავსე იყვნენ სურვილით მათი ფეხი შეხებოდა მის მკერდს და თუ წელს მის მწვერვალს ვერ შეამკობდნენ თავისი გამბედაობით, ახლოდან მაინც მიეძღვნათ სალამი...

და სვანეთში გადმოსვლის პირველი გეზი უშბისკენ იყო.

დღემდე ბრწყინვალე ცხრათვალა მზე, რომელიც ასეთი ტკბილი ალერსით დახვდა ექსპედიციას, ცოტა შეიშმუშნა, რაღაც არ ესიამოვნა. იქნებ მისი რჩეულის ქალმერთ დალის სამყოფელისკენ ჩვენი გამგზავრება ეწყინა კიდეც, მაგრამ მთასვლელი რის მთასვლელია, რომ ასე სწრაფად უკან დაიხიოს, და ამინდი თუმც შეიცვალა, მაგრამ ექსპედიციამ შეახო თავისი გამოკაფული ფეხი უშბას მკერდს.

ბილიკი სახიფათო, ადგილ-ადგილ სიკვდილის ფრთების შრიალიც ისმის, რომელიც უცბად მრისხანებათაც გადაიქცა: „დოლის" მყინვარის წვერიდან მოსკდა კლდე და ჭექა-ქუხილით გამოექანა იქით, საითაც მიდიოდა ხუთი წევრი ექსპედიციის, გზას ვერ აუქცევენ, წასასვლელი არსად არის.

გამოცდილმა, გულგაკაჟებულმა გამყოლმა იაგორ კაზალიკაშვილმა თვალი დახუჭა და მიბრუნდა:

„არ მინდოდა ხუთი ცხედარი, ცოდო, უბედურება მენახა"...

მაგრამ კლდე შეხტა უცბად მაღლა და სიპზე გაკრულ მეგობრებს თავზე გადაურბინა.—დაიღუპა, დაიღუპა,—ამბობს ყველას გული, მაგრამ მათი ხმა გვახედებს იქით, ყველა ცოცხალია, სიხარული ავსებს გულს.

ფერწასული გიორგი მხოლოდ ილიმება და მისი სახე ნათდება.

გადავრჩით... ვათვალიერებთ დოლის მყინვარს, ვეხალისებით უშბას [illegible] ხედს.

იკრიბება მასალა: მაღალ მთის მცენარეულობა, მინერალოგია, პეტროგრაფია, და დაღლილები და სიხარულით ალსავსენი ვბრუნდებით სოფ. მაზერში, საიდანაც მივემგზავრებით მესტიაში.

მესტია სვანეთის გულია და დახვდრაც სვანური, ისე ვით ძმა ძმას შეხვდება. აქაური ხელისუფლება—აღმასკომის თავმჯ. პიმენ დვალი, მისი თანაშემწე სილ. ნავერიანი ყოველგვარ დახმარებას, რაც კი შესაძლებელია ამ ჩვენს ულამაზეს კუთხე სვანეთში, არ იშურებენ.

იალბუზიდან დაბრუნებულთ ასეთი თბილი შეხვედრა, ყურადღება და სიყვარული ძალას და მუშაობის ენერგიას გვმატებს. ექსპედიციის სექციები დაუცხრომლივ მუშაობენ: რიგი ყანებს შეჰსევია და იკვლევს კულტურებს და მეურნეობის მეთოდებს, რიგი მიდის იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა რწმენით მადნებია, იღებს ნიმუშებს ანალიზისთვის. რიგი მცენარეულობის ავადმყოფებს ჰკრეფს, ეტნოგრაფიულ მასალას, თქმულებას, ჩვეულებას:

ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ, ყოველმხრივი მასალა უნდა შეიკრიბოს.

მხოლოდ მაშინ გაადვილდება აქ იმ იდეების და კულტურის დანერგვა, რომლისთვისაც იღწვის დღევანდელი საქართველო.

მესტიიდან ექსპედიცია მიემგზავრება ლეხზირის ყინვარზე; მათთან ერთად ამხ. პ. დვალი, სილიბისტრო ნავერიანი, „მეჟრაბპომ რუსის" კინოოპერატორი.

ლეხზირის ყინვარი! ეს მკერდგანიერი გოლიათი კავკასიონის, ბარაქიანი და დოვლათიანი, მარად მრავალი წყლით ჰკვებავს მოუსვენარ ენგურს, საჭიროა მისი გამოკვლევა, როდემდის შეუძლია ასე უხვად აწოვოს ენგურს დედის ძუძუსავით.

მზე გადაჭრილია, როდესაც მის ძირს, 2100 მეტრის სიმაღლეზე, მივაღწიეთ:

დღესვე უნდა მოხდეს გლასიოლოგიური აღნიშვნანი, ხვალ დრო აღარ დაგვრჩება, მყინვარის სათავისკენ წავალთ.

ნაწილი ამხანაგების მიდის ზევით დასაბინავებლად, გ. ნიკოლაძე, ნ. კეცხოველი, ჯაფარიძე და მიქელაძე გადადიან მრისხანე ყინვარის ნაკადულს, რომელიც მოიქანებს კლდეთა ნამტვრევებს და ყინვართან ახდენენ აღნიშვნებს „23 აგვისტო, 1925 წელი, საქ. გეოგრ. საზოგადოება".

პირველად დაიწერა ყინვართან ქართულ სამეცნიერო საზოგადოების სახელი—გული ჩემი სიხარულით ივსება—იყვეს პირველი და შემდეგში მრავალი...

მეორე დღეს ექსპედიციამ განვლო მთელი ყინვარი, დაათვალიერა მისი შენაერთი სხვა ყინვარები. გზადგზა კინოაპარატი და ფოტოგრაფიული აპარატი იღებდნენ ილებდნენ სურათს.

შეიკრიბა მასალა ყინვარის შესწავლისათვის და უკვე ბინდი კვრის მიწას, რომ საშინელი კლდოვანი გზით ვბრუნდებით ბინისკენ. სიბნელეში მოსჩანს ცეცხლი, ჩვენებს დაუნთიათ, გველიან; დაღლილ-დაქანცულნი, რომელნიც ძლივს აღგამენ ფეხებს, აღფრთოვანდებიან და მთელი შემადგენლობით მივდივართ ბინაზე.

ლეხზირის ყინვარის დათვალიერების შემდეგ მესტიიდან ილ. ნავერიანის წინამძღოლობით მიდის ექსპედიცია კალის, იფარის, უშკულის თემების დასათვალიერებლად.

ექსპედიციას კალში გული აკლდება, ცოტა ნაწყენია, 11 წევრი ტფილისში მიდის, ვრჩებით ცხრა-ლა, მაგრამ მაინც უნდა განვაგრძოთ მუშაობა.

14 თემია ზემო-სვანეთში, ყოველი თემი განსაკუთრებულ კუთხეს წარმოადგენს,—თავისი სპეციფიური ბუნება, ადათი, ჩვეულება, ზნე... თითქოს სხვაგან იყვე ერთ თემიდან რომ მეორეში გადადიხარ, მაგრამ ამავე დროს გრძნობ, რომ თოთხმეტივე თემი განუყრელი ოჯახია და ერთი სისხლის ძმანი.

კალის თემის „კვირიკეს და ივლიტეს" ტაძარი,—მასში მოსულს არ შეუშვებს სვანი—ეს მისი წმიდათა-წმიდაა,—მაგრამ გულმა გული იგრძნო და „თუ საქართველოს ისტორიისთვის გინდათ, მობრძანდით, გაგიღებთ კარებს" და სამი მუდმივი დარაჯი, თემის წარმომადგენელთა თანდასწრებით გვიღებს კარს ტაძრისას და გვაძლევს საშუალებას გადავიღოთ სურათები ისეთი ხელოვნების ნიმუშებიდან, რომელნიც დღემდე უცნობია; ასეთი კი მრავალია. ავიღეთ ზომა და აღვწერეთ.



გ. ნიკოლაძე

საქ. გეოგრ. საზ-ბის ექსპედიციის ხელმძღვანელი

საქართველოს წარსული ხელოვნება სვანეთში დღეს შენახული, დღესაც თემი სდარაჯობს მას—და არ დაანებებს არავის.

უშკულში ვართ, ცალკე სვანეთი, შავი კოშკები, ეს ის უშკულია, რომელმაც ყვარყვარე და ფუთა დადეშქელიანი დაამხო მაშინ, როდესაც მათ მოინდომეს მონობას უღლის დადგმა:

„ჩვენ ორასი წლის წინადაც რევოლუციონერები ვიყავით"—გვეუბნება სვანი, როდესაც მოკლულ დადეშქელიანის ტანისამოსს გვიჩვენებს.

მართლაც გრძნობ, რომ უბატონო სვანეთი აფასებს თავისუფლებას.

ის ადგილი, სადაც ეს, უშკულმა ბატონობის მოსურნე მოიკლა, დღესაც წმინდა ადგილათ ითვლება.

უშკულიდან ექსპედიცია ადის მაღალ მთა კარეტზე, საიდანაც გადილო კავკასიონის ქედი: ულამაზესი, სვანეთის პატარძალი „თეთნულდი", მკლავგანიერი „შხარა", კოპწია „გისტოლა" და სხვა მრავალი, საიდანაც ვეშვებით ხალდეს და ალშის ყინვარებთან დაკვირვებათა საწარმოებლად.

და ალშის გავლის შემდეგ ებრუნდებით მესტიაში. ყოველი ნაბიჯი: ახალი შთაბეჭდილება, ძვირფასი მასალა მცენარეთა კულტურაში, მეურნეობის მეთოდებში; დიახ ამ „მიყრუებულ" სვანეთში ბევრი რამის სწავლება შეიძლება, ბევრი ჩვენი ნასწავლი მეურნე ბევრს ახალს გაიგებს.

აუარებელი არქეოლოგიური მასალა, ჩვენი წარსული ხელოვნებისა და ისტორიისათვის ძვირფასი მასალა.

ყოველივე ამ მასალას ვკრეფთ, გვინდა რაც შეიძლება მეტი იყვეს ეს მასალა.

ბევრია ძვირფასი მასალა, მაგრამ ბევრია ამასთანავე მუდარაც, ყოველ სოფელში, ყოველ თემში, ყოველ „სვანისგან": „მოგვეცით გზა, გზა გაგვიყვანეთ და მაშინ ნახავთ როგორ იცის დაფასება სვანმა"...

და გვწამს, რომ სვანეთი დააფასებს.

მივდივართ ლაბსყალდში, რომ გადვიღოთ მთავარ ანგელოზის არქეოლოგიური და მხატვრული ძეგლები.

არ შეგვიშვეს, არ გასჭრა არაფერმა, არც მუდარამ, არც მიწერილობამ.

გვწყინს, თან გვაიმედებს, რომ ასეთი კერპობით შესძლეს შეენახათ ეს დიდი საგანძური, მრავალმა საუკუნემ გადაიარა და ის კი ისევ ისეა ხელუხლებელი.

მესტიიდან სამი დღის მგზავრობა. ახალი სვანეთი „ჭუბერი". აქ 50 წლის წინად დასახლდა სვანი. არც ერთი სახლი კოშკით, ყველა ხის სახლი.

ვრჩებით ორი დღე. უძველესი კულტურის ნაშთები, მეტალურგიულ ქარხნის ნანგრევები.

მიყრუებულ მთებში, კავკასიონის კალთებზე მიწაში პოულობენ ალექსანდრე მაკედონელის ფულებს.

დევდარიანს უპოვნია, გზაში შეგვხვდა, ზუგდიდიდან მოდიოდა, გასაყიდათ წაიღო: ძვირი დაგვიფასა, მაგრამ შევიძინეთ, შეგვეშინდა არ დაკარგულიყო ეს ძვირფასი ნაშთი დიდი საბერძნეთის კავშირისა საქართველოსთან.

12-ს დავტოვეთ სვანეთი და გადმოვედით ხიდის გადმოსავლით საფხაზოში.

კოდორი და მისი ხეობა—უმშვენიერესი მდინარე მთელ კავკასიაში.

15-ს სოხუმი, იქაურთა თბილი დახვედრა და სიხარული, მიწვევა ნადიმზე, რომელზედაც დაესწრო აფხაზეთის მთავ. თავმჯდომარე ა. ლაკობა.

20-ს უკვე ტფილისი, ძველი ჩვენი ნაცნობი, რომელზედაც 2 თვე კავკასიონის მთის ორწოხებში ვფიქრობდით.

ვეწვიეთ ტფილისს მასალით დატვირთული და სავსე გულით.

ნ. კეცხოველი.

გამყოლები

ბახა წიკლაური და იაგორ კაზალიკაშვილი

ეს ორი გვარი უცნობია ფართე საზოგადოებისთვის, მაგრამ კარგათ ცნობილი რუსეთის და უცხოეთის იმ ლპინისტ - მოგზაურებისათვის, რომელთაც მოუწადინებიათ ასვლა კავკასიონის ქედის უმაღლეს მწვერვალებზე.



ბახა წიკლაური

ქართველი მთიელები ყაზბეგის მხრიდან—ბახა წიკლაური და იაგორ კაზალიკაშვილი—არიან მეცნიერების ზუმი მოღვაწენი ანუ, როგორც მეგობრული ხუმრობით უწოდებენ მათ, მყინვარის უბადლო პროფესორები რომელთაც აუცილებლად მიუძღვით ღვაწლი მეცნიერების წინაშე.

ეს ორი შეუპოვარი მოხევე არის მუდმივი გამყოლ-წინამძღოლნი ჩვენებურ და უცხოელ მეცნიერთა, მათ ჩინებულად აქვთ შესწავლილი კავკასიონის მწვერვალებზე მიმავალი გზა-ბილიკები. ზედმიწევნით იცნობენ მიუვალი მთების ხასიათსა და ზნეს, მათ ქედმოუხრელ ზვიადობას და მკაცრ ბუნებას.

კავკასიონის მთის მწვერვალები მათი ძველი ნაცნობნი და მეგობრები არიან.

მთელს თავის სიცოცხლეში მოხუცი ბახა წიკლაური 16 ჯერ ასულა მყინვარის მწვერვალზე, იგი თქვენ დაგისახელებთ ცნობილი მეცნიერების გვარებს, რომელთათვის მას დაუფასებელი სამსახური გაუწევია. ბახა უკვე 55 წლის კაცია, მაგრამ მის გამომეტყველებას და მუდამ სრულიად არ ეტყობა სიბერე; მხნედი, უშიშარი და შეუპოვარი ბახა ზღაპრულ ჭაბუკსა ჰგავს.

იაგორ კაზალიკაშვილი შუა-ხნის ვაჟკაცია, ბახასთან შედარებით მას ნაკლები გამოცდილება აქვს, მაგრამ ნაკლებ დახელოვნებული არ არის მწვერვალებზე ასვლაში. გამძლეობის და შეუპოვრობის დაღი აზის მის რკინისებური სახის მეტყველებას ჯერ-ჯერობით იგი 8 ჯერ ასულა მყინვარზე. გარდა ამისა იაგორი მთაში ცნობილია, როგორც საუკეთესო მონადირე.

წელსაც მთის ეს ორი კაცი იყო გამყოლი და წინამძღოლი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციისა, რომელიც მათთან ერთად ავიდა იალბუზის მწვერვალზე. გუშინწინ ამხ. ბახა და იაგორი სვანეთიდან დაბრუნებულ ექსპედიციის ზოგიერთ მონაწილეებთან ერთად ეწვიენ ჩვენს რედაქციას.



იაგორ კაზალიკაშვილი

გ. ფ.

ქრონიკა

ამხ. ს. ჯუღელის დაბრუნება

— საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. ჯუღელი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თვის მოვალეობის ასრულებას სექტემბრის 21-დან.

დამზღვევ სალაროში

— **დაზღვეულთა რიცხვი.** კერძო და იჯარით გაცემულ წარმოებებში მომუშავე დაზღვეულთა რიცხვი ამჟამად აღწევს 12 ათასამდე.

— **რესპ. დამზღვევი სალაროები** ამ ხანად მუდმივ დახმარებას აძლევენ შრომით დასახიჩრებულ 32 მუშა-ქალს.

— **მშობიარეთ** აგვისტოს განმავლობაში თბ. დამზღვევმა სალარომ აუნაზღაურა მშობიარობის გამო გაცდენილი 2,495 დღე.

— **უმუშევართა დაზღვევა.** 25 სექტემბრიდან უმუშევართა დამზღვევი განყოფილება დაიწყებს სექტემბრის დახმარების გაცემას.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში

— **საექიმო ტექნიკუმში** მოწაფეთა მიღება უკვე დაამთავრა ჯანსახკომმა.

— **საექიმო დახმარება მოჯამაგირეებს.** ჯანმრ. სახ. კომისარიატი იმუშავებს სახელმძღვანელო დებულებას მოჯამაგირეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

რემედასში

— **რემედასის საქ.** ცეკამ გადასწყვიტა გამოსცეს ღია ბარათები კომპარტიის ბელადთა სურათებით.

— **საერთაშორისო რევოლიუციისათვის** მებრძოლთა დასახმარებლად რემედასის საქ. ცეკამ გადასდო 22,474 მან.

წითელ ჯვარში

— **„წითელი ჯვარის“** ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი შესდგება 4 ოქტომბერს.

— **საექიმო პუნქტი.** „წითელმა ჯვარმა“ შორაპნის მაზრაში გახსნა საექიმო პუნქტი.

სხვადასხვა

— **ქალაქის აბანოებით** გასულ ში ისარგებლა 77,476 მოქალა-

— **თბ. ელსადგურებმა.** აგვისტოში გამოიმუშავეს 214,600 კილოუატი-საათი ელექტრონის ძალა, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან აგვისტოში.

— **თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.** კურსიდან-კურსზე გადასასვლელი გამოცდები იწარმოებს 1-დან 15 ოქტომბრამდე. ლექციების კითხვა კი დაიწყება თექვსმეტ ოქტომბერს.

— **მიწა-ტყის კავშირი** შეუდგა ლეჩხუმის მაზრაში მომუშავეთა ხისმჭრელთა და მეტივეთა ხელფასის გამომუშავებას.

— **სატყეო ტრესტმა** რევოლიუციის მუზეუმს უფასოთ გადასცა 300 მან. ხეტყე.

— **ჭლექის წინააღმდეგ.** 22 ოქტ. კამოს ქ. № 103 გაიხსნება თბილისში პირველი ტუბერკულოზის დისპანსერი.

— **ტყავის ტრესტმა** გერმანიიდან გამოიწერა მანქანები ფეხსაცმელების საკერავ ქარხნის საჭიროებისათვის.

— **ზარალისა და დავალიანების** გამო წუმწუმის ქარხანა № 1 დაიხურება 1 ოქტომბრიდან.

— **ნედლი მასალა.** ტყავტრესტი შეუდგა ა-კავკასიაში ნედლი მასალის დამზადებას და ზამთრის სეზონის ფეხსაცმელებისა და ტყავის სამოსის დამზადებას.

— **სპეცტანისამოსი რკინისგზელებისათვის.** ა.-კ. რკ. გზის სამმართველომ „გრუზშვეიპრომს“ შეუკვეთა 325,000 მან. სპეცტანისამოსი.

— **1905 წ. რევოლიუციის იუბილესათვის** რევოლიუციის მუზეუმი შეუდგა დიდი მუდმივი გამოფენის მოწყობას.

მოგებათა ტირაჟის გამო.

— ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოგებათა ოფიციალურ ცხრილში ორი ობლიგაციის სერიის ნომერი გარკვევით არ დაიბეჭდა. ვათავსებთ ხელმეორეთ: ათას მანეთიანი მოგების № 0.372.317 ობლიგაციის სერიის ნომერი არის 15; ხუთი ათას მანეთიან მოგების № 0.579.004 ობლიგაციის სერიის № კი 6.

ხელოვნება

პროფ. ე. რიადნოვის გარდაცვალება

19 სექტემბერს დღის 3 საათზე გარდაიცვალა სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ კლასის ხელმძღვანელი, დამსახურებული პროფესორი ევგენი კარლოს ძე რიადნოვი.

— **სახელმწიფო კონსერვატორიაში** მეცადინეობა დაიწყება დღეიდან.

— **სამხატვრო აკადემიაში** კვირას, 20 სექტემბერს, გაიხსნა აკადემიის სტუდენტების და თავისუფალ მსმენელების საანგარიშო გამოფენა.

— **კულტურულ განათლებისათვის.** ამ დღეებში ბალ „არტო“-ში ტფ. გამასწორებელ სახლების კულტკომისიების ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება დიდი კონცერტი-კაბარე.

— **ავლაბრის სახელმწიფო მე-8 დრ.-მუსიკალურ სკოლაში** სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. შესასვლელი განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველ დღე.

— **ი. გრიშაშვილმა** დასწერა ახალი პოემა „ალამაზმადხანი“.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში

— **მუშა-მწერალთა** აღრიცხვის ვადა გაგრძელებულია ამა თვის დამლევამდე. აღრიცხვა სწარმოებს ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქუჩა, № 13) ასოციაციის ოთახში. მსურველებს აღრიცხვის შესახებ ცნობების მიღება შეუძლიათ სამშაბათს და ხუთშაბათს 5—7 საათამდე.

ე. კ. რიადნოვის ხსოვნას



19 სექტემბერს დღის სამ საათზე გარდაიცვალა დამსახურებული პროფესორი ევგენი კარლოსის ძე შულც-რიადნოვი. ვინ არ იცნობდა მას, როგორც დიდებულ ვოკალისტს და საუკეთესო ხელოვანს? ყველა, ვისაც კი საოპერო ხელოვნებასთან ჰქონია საქმე. მაგრამ მას ნაკლებად იცნობდნენ, როგორც საუცხოვო პედაგოგს და როგორც ადამიანს. როგორც პედაგოგი იგი არაჩვეულებრივი ზრუნველობით ეპყრობოდა ყველა მოწაფეებს; მისთვის არ არსებობდა კარგები და ცუდები, მას ყველას ფსიქოლოგია შესწავლილი ჰქონდა და ამისდამიხედვით იგი უდგებოდა მოწაფეს და აძლევდა შესაფერის რჩევა-დარიგებას. ევგენი რიადნოვი, როგორც ადამიანი, კერძო ცხოვრებაში ხომ შეუდარებელი იყო.

მისთვის არ არსებობდა ქართველი, რუსი, სომეხი. ის ყველასთან ერთი იყო. იგი ჩვენთვის, ქართველებისათვის უფრო ძვირფასია, რადგან მან ჩვენს, საოპერო სცენას, მისცა რამოდენიმე გამოჩენილი მომღერალი. ჩვენ, მის მოწაფეებს, გვმართებს მის მიერ ნაჩვენები გზით ვიაროთ და ამით მაინც უკვდავვყოთ მისი სახელი.

გაძლევთ სიტყვას, ძვირფასო მასწავლებელო, თაობიდან თაობას გადავსცეთ შენი ანდერძი.

მშვიდობით, ძვირფასო მასწავლებელო!

ნ. ქ.

შემთხვევები

— **გაძარცვა.** 19 სექტემბერს, სოფ. სოღანლუღში, სამმა შეიარაღებულმა ყაჩაღმა გაძარცვა მოქ. ახმედ-ოღლი. ერთი მძარცველთაგანი, ახმედ-სიიდ-ოღლი შეიპყრეს.

— **დაშავება.** 17 სექტემბერს, პასკევიჩის ქ. № 17, მეორე სართულიდან გადმოვარდა მოქ. თალიკო არაჯევისა, რომელიც დაშავდა სასიკვდილოთ.

— **ფასიანი ქაღალდები.** 10 სექტემბერს, იურიევის ქუჩაზე, მოქ. ანდრია მჭედლიშვილს მოპარეს 19 ცალი ფასიანი ქაღალდი.

— **გადმოვარდნა.** 19 სექტემბერს, კირკის, ქ. № 57, მეორე სართულიდან გადმოვარდა ელენე მზარეულიშვილი და საგრძნობლათ დაშავდა.

— **შეპყრობა.** 19 სექტემბერს მეორე სამილიციო რაიონში შეიპყრეს ჯიბგირი რუბენ ყაზარიანი, რომელმაც მოქ. სონა ქაჯაიას ამოართვა ფული.

— **ქურდობა.** 19 სექტემბერს, ელისაბედის ქ. № 1, მოქ. ფლორა ლიმანოვის ბინიდან წაიღეს 100 მანეთის ნივთები

მუშათა ცხოვრება

როგორ გაიგო ქალთა უფლებები

(მუშის შენიშვნა)

ქარხნის მუშა პეტრეს ცოლი წინა დღეს შემთხვევით ერთ უბანში კრებას დაესწრო, სადაც სხვათა შორის ქალთა უფლებაზედაც იყო ლაპარაკი და როდესაც ნაშუადღევს პეტრე სამუშაოდან დაბრუნდა, მაშინათვე მას ცოლმა უამბო, რომ ის კრებაზე იყო და იქ ბევრი საყურადღებო რამ გაიგონა.

—მაინც რა გაიგე იქ, რა ისწავლე?—შეეკითხა პეტრე.

— მე იქ გავიგონე, რომ ჩვენ, ქალებსაც, ისეთივე უფლება გვაქვს, როგორიც მამაკაცებს; ეხლა ჩვენ თქვენი მონა-მორჩილები აღარა ვართ. ჩვენ თქვენთან თანასწორი უფლება გვაქვს: სახლშიაც, კარშიაც, შრომაშიაც და ოჯახურ მოვალეობაშიაც. ერთი სიტყვით, რასაც ცხოვრებაში თქვენ გააკეთებთ, ჩვენცა გვაქვს იმის გაკეთების უფლება და თქვენ კი ნება აღარა გაქვთ ჩვენ დაგვიშალოთ.

— სასიამოვნოა, მაგრამ ეგ უფლება ბოროტად არ უნდა მოიხმაროთ. უნდა გამოიყენოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს პატიოსანი საქმიანობა.

— მე ძალიან კარგად გავიგე ყველაფერი და შენი დარიგება მე აღარ მინდა,—უპასუხა ამაყად დიასახლისმა.

პეტრემ ჩაიცინა ნელა და ცოლს ახარ შეეკამათა.

მეორე დილას პეტრემ სამუშაოზე წასვლის დროს ცოლს ფული დაუტოვა და უთხრა:—დღეს სადილს მოამზადებ დროზე, რომ მოვალ თუ არა, უნდა ვისადილო და ჩქარა წავიდე ერთ საყურადღებო კრებაზე.

ცოლმა არაფერი უპასუხა.

პეტრე სამუშაოდან დაბრუნდა მშიერი. შევიდა სახლში და გაუკვირდა, რომ სახლი დაულაგებელი, ბავშვები მოუვლელი დახვდენ და სადილიც არა სჩანდა.

ამ დღეს პეტრეს ცოლს 11 საათამდის ეძინა, შემდეგ ჩაიცვა და მეზობელ ქალებთან ქალთა თავისუფლებაზე ლაპარაკობდა.

პეტრე შეეკითხა ცოლს:—სად იყავი, ან რატომ სახლი არ დაგილაგებია? სადილი მზათ არის თუ არა?

— ნურას უკაცრავად, ეხლა მე შენი მონა არა ვარ, რომ ყველა შენი ბრძანება უსიტყვოდ ავასრულო.—უპასუხა გაჯავრებულმა ცოლმა.—სახლის დალაგებას მე მოვასწრებ. ჯერ კიდევ ადრეა. რაც შეეხება სადილის დამზადებას, ეგ ჩემი ვალი არ არის. მე რაც მინდოდა, მოვიმზადე და შენ კი შეგიძლიან შენთვის იზრუნო. რაც შენა ხარ, მეც ისა ვარ. ჩემი მოვალეობაა მარტო ბავშვებს მოუარო და ალვზარდო, შენ კი მოვალე ხარ საზრდო მოგვაწოდო, რადგან ბავშვები მარტო მე არ მეკუთვნიან.

— განა კრებაზე გითხრეს ქმარს სადილი არ მოუმზადოო?

— თუმცა მაგ სიტყვებით არ უთქვამთ, მაგრამ მე ხომ სულელი არა ვარ, ნათქვამის აზრი ვერ გავიგო. ჩემი უფლებები მე კარგად გავიგე.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

50 მუშა ვრჩებით უსაქმოდ

15 სექტემბერს წუმწუმის ქარხანაში ადმინისტრაციამ გამოგვიცხადა, რომ პირველ ოქტომბრიდან უნდა დაიკეტოს ჩვენი ქარხანაო.

რაშია საქმე? თუ იცოდნენ, რომ ქარხანა დაიკეტებოდა ადრე თუ გვიან, რატომ დახარჯეს აუარებელი ფული: მაგალითად ქარხანაში შეაკეთეს მეტი ნაწილი მანქანებისა, შეაკეთეს ერთი ოთახი კოლოფების გასახმობად; იქნა მიღებული რუსეთიდან ერთი ვაგონი ქაღალდი წუმწუმის კოლოფებისთვის; იქნა მიღებული ქარხანაში 3 ვაგონი ხე—წუმწუმის კოლოფებისთვის. საწყობი არის სრულიად უზრუნველყოფილი ყველა ნედლი მასალით და სხვა.

მუშები ძალიან ენერგიულად ეკიდებოდნენ წარმოებას და მუშაობდნენ კეთილსინდისიერად.

სხვათა შორის აქ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რადგან ჩვენი კოლოფები გარედან არ იყო ლამაზი, გამოეწერათ გერმანიიდან 8 ახალი მანქანა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ წარმოება აიწევდა თავის დონეზე, მუშებსაც სამუშაო გვექნებოდა, და ეხლა კი ერთბაშად ქარხანა იკეტებაო და პირველ ოქტომბრიდან უნდა გაგვიშვან ქუჩებში უსაქმოდ და მშიერნიც.

ვინ შემოიხედავს ჩვენ მხარეს და ვინ გაარჩევს ჩვენი ქარხნის „საქმეებს“?

მუშკ. გაზელი.

საზღვარი დაუდეთ ამ „ქალბატონის“ თავხედობას

ბოლაჯარის ქუჩაზე სახლი № 10-ში ცხოვრობს ცოლშვილით თამბაქოს ქარხნის მუშა ვინმე ლაზარე მამუკოვი.

ხსენებული სახლის პატრონი შუშანიკა არუთინოვისა ყოველ დღე სისტემატიურად მამუკოვის ოჯახის წევრებს მაღლიდან ხან ნაგავს და ხან ათასგვარ სიბინძურეს ყრის და ასხავს თავზე. შეკითხვაზე—რატომ გვაწუხებთ?,—არ მომწონთ გადით აქედან,—არის პასუხი მეტიჩარა და თავხედ „ხაზეიკისა“.

როგორც სჩანს სახლის პატრონს განზრახული აქვს ასეთი ხერხით აიძულოს მამუკოვი დააცლევინოს ოთახი, ვინაიდან მამუკოვი ქირას იხდის, როგორც კავშირის წევრი.

მილიციავ, შენი ვალია მოაჭკუიანო ეს თავხედი და კუდაბზიკა „ქალბატონი“.

ზღვისპირელი.

უნდა დაისაჯოს ღირსეულად

ა | წ. 11 სექტემბერს ნაშუადღევს ბელინსკის ქუჩაზე № 59-ში ეზოში იდგა ახალგაზრდათა კომკავშირის წევრი—მოწაფე მიხეილ პავლესძე გოლიაძე და წიგნს კითხულობდა; ამ დროს ამავე ეზოში მცხოვრების დავით კიკაჩეიშვილს ბავშვებმა ზემო სართულიდან აიღეს იატაკის საწმენდი ჩვარი და თავზე გადმოაფერთხეს გოლიაძეს და თვალები მტვერით ავუსეს.

გოლიაძე ამ საქციელისთვის ბავშვებს გაუწყრა. ბავშვებმა დაუძახეს მამას; გამოვარდა მამა დავით კიკაჩეიშვილი, მივარდა გოლიაძეს და მხეცურად, ყოვლად უმიზეზოდ ცხვირ-პირში სცემა და სულ სისხლი ადინა.

ამხ. გოლიაძე ამ მხეცის კლანჭებიდან გადარჩენილი თბილისის მთავარ საავადმყოფოში წავიდა სამედიცინო დახმარებისათვის.

დავით კიკაჩეიშვილი ცნობილია თავისი ბოროტმოქმედებებით და სამსახურისადმი სიყალბის ჩადენით. ამჟამადაც პასუხისგებაშია მიცემული სამსახურში ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, რისთვისაც დაპატიმრებული იყო და რამოდენიმე დღეა, რაც ის გაანთავისუფლეს თავდებით.

ამოსდევით ლაგამი ამ გაბოროტებულ ადამიანს.

ხადვახი.

„მონადირე“-დირექტორი

ორი დღის განმავლობაში „არაზინდო“-ს სანატორიუმს შეუწყდა წყლის მიწოდება. როგორც ავადმყოფთა ბინები, ისე სანატორიუმის სამეურნეო ნაწილები განიცდიდენ ანტისანიტარულ მდგომარეობას. გამოირკვა, რომ სანატორიუმის დირექტორი ამხ. სერედა სანადიროთ წასული იყო და თან წაეყვანა წყალსადენის მემანქანე, რის გამოც წყლის მიმწოდებელი სადგურის მუშაობა სრულიად შეწყვეტილი იქნა.

ასეთი მოვლენა არ უნდა განმეორდეს და ამხ. სერედას პასუხიც უნდა მოსთხოვოთ.

ოცხანელი სანდრო.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ვაგონი საცხოვრებლად.** სადგ. ვაზიანის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიმართა ტფილისის საუბნო პროფკავშირს იშუამდგომლოს სამმართველოს წინაშე, რათა ვაზიანის მუშებს მიეცეთ ერთი ვაგონი საცხოვრებელ ბინათ.

— **ავირჩიეთ დელეგატები.** ა.-კ. რკ.-გზ. სამართველოს მოსამსახურე ქალთა საერთო კრებამ უპარტიო ქალთა კონფერენციის დელეგატებათ აირჩია 18 ქალი.

— **ლიბანში.** ა.-კ. რკ.-გზ. დამზღვევ სალარომ მიმართა „ზაკტპოს“ მიაწოდოს ლიბანის სანატორიუმის მუშებს კარგი გამომცხვარი პური.

— **ამ საქმესაც მოვაგვარებთ.** ა.-კავ. რკ.-გზ. დამზღვევ სალარომ მიმართა ბაქოს საუბნო სალაროს მოაწესრიგოს ავადმყოფების გაგზავნის საქმე შოველიანის დასასვენებელ სახლში; კერძოთ აღმოფხვრას ზედმეტ მუშების გაგზავნა შოველიანში, რადგან აქამდე ხშირია შემთხვევები, რომ ას კაცის მაგიერად იგზავნება 78 კაცი და უფრო მეტიც.

— **გვექნება კარგი პური.** ამ.-კ. რკ.-გზ. დამზღვევ სალარომ მიმართა ბაქოს საუბნო კომიტეტს მოაგვაროს შოველიანში კარგი პურის გამოცხობის საქმე.

— **ახალი ამბულატორია.** ამ.-კავ. რკ.-გზ. დამზღვევ სალარომ მიმართა სალიანდაგო სამსახურს ააგოს ბაქოში ამბულატორია რკინისგზელთათვის.

— **საავადმყოფოს წესრიგში მოყვანა.** ა.-კავ. რკ.-გზ. ჯანმრთელობის სამმართველომ მიმართა განჯის საუბნო კომიტეტს მოიყვანოს წესრიგში განჯის რკ.-გზ. საავადმყოფო, სხვათა შორის შენობა საჭიროებს შეკეთებას.

წერილები პროვინციიდან

ორი საზარალო წელი

1924 წელში ქიზიყში დაარსდა მებამბეთა ამხანაგობა და თავის არსებობის პირველი წლიდანვე დათესა წევრების საშუალებით 500 დეს. ბამბა.

როგორც გლეხები, ისე სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი, „წარმოკავშირი“ დიდ იმედებს ამყარებდა ამ ამხანაგობაზე და ელოდდა 30.000 ფუთი ბამბის მიღებას, მაგრამ მებამბე გლეხი საშინელი გვალვის მსხვერპლი შეიქნა,—ვერც ბამბა მოიყვანა და ვერც მთავრობის ავანსი გაამართლა.

გლეხებმა გული არ გაიტეხეს და 1925 წ. კვლავ დათესეს 500 დეს-დე ბამბა, მაგრამ წელსაც უარესი ბედი ეწვია ჩვენ მებამბეობას. მთელ სამოქმედო რაიონში 500 დესეტინაზე არ მოგროვდება 2,000 ფუთი ნაცვლად 30.000 ფუთი ბამბისა, ისიც ისეთ ადგილებში, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ირწყვებოდა.

საერთოდ ქიზიყი უწყლო კუთხეა, არამც თუ სარწყავად, ზოგიერთ სოფლებს სასმელი წყალიც არ მოეპოვებათ. ბამბის მოსაყვანად კი გვალვიან წლებში საჭიროა მორწყვა, რის საშუალებაც ქიზიყელ გლეხს მოსპობილი აქვს.

დიდ იმედებს ამყარებს ჩვენი გლეხობა ალაზნის არხზე, რომელიც გრძელდება მხოლოდ შირაქამდე.

ივრის ველი, სადაც საუკეთესო ნიადაგი და კლიმატიური პირობებია ბამბის კულტურისათვის და ხელსაყრელია, ისევ უწყლოთ რჩება.

იქ არსებულ საწისქვილე არხის შეკეთება სულ უბრალო საქმეა, მხოლოდ საჭიროა საქართველოს წყალთა სამმართველომ და მებამბეთა კომიტეტმა მიაქციონ ეხლავე სათანადო ყურადღება და მისცენ საშუალება ისედაც ჩამორჩენილ გლეხობას წელსვე ძვირფასი მცენარეების მოყვანისა.

თუ გადავხედავთ ინჟენერ-გიდრავლიკ ბოჭორიძეს მიერ შედგენილ სქემატიურ გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას, მცირეოდენი თანხა იქნება საჭირო, სარგებლიანობა კი დაუფასებელი. 6,000 მანეთის დახარჯვით მოირწყვება 500—800 დესეტინამდე საბამბე მიწა ივრის მარცხენა მხარეზე.

არა ნაკლები ყურადღება მართებს ამ მიზნის მისაღწევად „წარმოკავშირს“, რომელმაც უნდა იკისროს ამ დიადი საქმის დაწყება-დაბოლოება.

ქ. მი—გი.

თავგასული აბაშიძეები

სემია აბაშიძე სახელგანთქმული კაცია. რა უყოთ, რომ სიმონის მაგიერ მას სემიას უწოდებენ. ეს მხოლოდ არისტოკრატობის და გვარიშვილობის ნიშანია.

სემიას უსაზღვროთ უყვარს თავისი სამშობლო. განსაკუთრებით სულს ანაცვალებს ის კახურ ვენახის საამურ ცრემლებს. აქ ის მამულის ღირსეული შვილია.

ამას წინათ ჩადუნიანის იარმუკის დუქანში მან თავის ამქრებით დღე და ღამე იქეიფა. და მერე როგორ! ჯერ წარმოსთქვამდა მამა-პაპურ, თავადიშვილურ სადღეგრძელოს, მერე სადღეგრძელოს დასამშვენებლათ დასცლიდა თოფს და შემდეგ ყლაპს უზამდა ღვინით სავსე ჩაის ჭიქებს.

მაგრამ სემია რა უნდა იყოს გრიშა აბაშიძესთან. გრიშა არა თუ წარსულში, დღესაც აბაშიძეობს. ის ფეხს არ გაადგამს უავტომობილოთ, მას შეიარაღებული ამალაც თან ახლავს, ხუთ სექტემბერს გრიშამ ამალით ჩამოიარა იმ დუქანთან, სადაც წინათ სემია „იქლავდა“ გულის ჯავრს.

დააყენა ავტომობილი, მივიდა და ტკბილი დუდუკის ხმაზე ერთი თავმომწონეთ ჩემოუარა. შემდეგ დესერტათ თოფებმა და რევოლვერებმა შექმნეს გრიალი. ღამის 10 საათი იქნებოდა. სოფელს უკვე ეძინა. დიდი და პატარა სროლის ხმაზე ზეზე წამოცვივდა. ვინ იცის, ვის რა ეგონა?!

სიღნაღის და ლაგოდეხის მილიციას, ამბობენ, სცოდნია ამის შესახებ, მაგრამ დღემდისაც ყურს არავინ იბერტყავს. როგორ, განა დასაშვებია, რომ ასეთ დროს, როცა ჩვენ რევოლიუციურ კანონიერების განმტკიცებაზე ვზრუნავთ, ვიღაც არამზადა აბაშიძეებმა, რომელთაც ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და მიწა ქალამნათ, სოფელი სთელონ და მშვიდობიანი ცხოვრება დაურღვიონ მას?

რას იტყვის ამაზე სამაზრო აღმასკომი?

მ—ი.

ქურდ-ბაცაცებმა აგვიკლეს

(დილიკაურის თემი, შორაპ. მაზ.)

ამ ბოლო ხანებში ჩვენს თემში კვლავ ამოძრავდენ პარაზიტები: ერთი თვის წინედ ვიღაც ბოროტმოქმედმა მოკლა მძინარე ახალგაზრდა აბაშიძე; ერთი კვირაა, რაც ჩვენი ღარიბი ქოხ-სამკითხველო გაძარცვეს; წაიღეს სცენისათვის გაჭირვებით შეძენილი ფარდა და სხვა წვრიმალები. ორი-სამი დღის წინეთ სოფ. დილიკაურში მცხოვრები (ღარიბესი გლეხი) ილარიონ რომანოზის ძე ბუაძე ვახშმობდა დერეფანში თავის მეორეთ გათხოვილ დედით და მამინაცვლით. ვახშმის გათავების დროს შესულან ეზოში სამი შეიარაღებული კაცი. უკანასკნელთ უცემიათ დამხვდურთათვის, ბუაძის მამინაცვლისთვის წაურთმევიათ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, სამი მანეთი ფული და მუქარით მიმალულან. გაიგოთ თუ არა ეს შემთხვევა უახლოეს მეზობლებს, დასდევნებიან, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ვერ გაუგიათ.

ამბროსი ხელაძე.

წერილებიდან

მიქელ-გაბრიელის თემი (გურია)

ყველას თავის ეზოში უნდა. ჩვენს თემში არის ერთი შვიდწლედი და ერთიც ოთხწლედი. შენობები იმდენათ დაზიანებულია, რომ კაცი ოთხფეხსაც არ გაიმეტებს ზამთარში შიგ შესაშვებათ. რამდენჯერმე დასვა საბჭომ კითხვა შენობების ცენტრში გადმოტანის და შეკეთების შესახებ. მაგრამ ყველა თავისკენ იწევს და უნდათ, რომ სკოლა ეზოში ჰქონდეთ აგებული. ამასობაში სამსწავლო წელი იწყება და ზამთარიც კარზეა მომდგარი. თემის საბჭოს მეტი ენერგიულობის და ურყეობის გამოჩენა სჭირია.

მ. ჭ—ა.

გ ო რ ი

დაბალ ღობით მიიჩნიეს. გორის მაზრაღმასკომმა უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიანტების გაგზავნაში ვერ გამოიჩინა სრული მიუდგომლობა, მშრომელი ახალგაზრდობა დაბალ ღობით მიიჩნიეს და მათ ხარჯზე სასწავლათ გაგზავნეს ისეთები, რომელთაც ჩვენი არაფერი სჭირათ, მაგალითი: თვარელიძე, რესტორანშჩიკის შვილი, მის მშობლებს ბაღები და სახნავ-სათესიც ბლომათ გააჩნიათ. ამ ოჯახს 6 სტუდენტის შენახვა შეუძლია თავის ხარჯზე; გორის პოლიტგანის გამგის დისწული ხოზბერიძე, რომელიც მოსკოვის კონსერვატორიაში გაიგზავნა; მას იმდენივე ესმის მუსიკის, რამდენიც ჩინური ენის. აღმასკომი ან თვით მოსტყუვდა, ან სხვამ შეიყვანა შეცდომაში.

სახირეთელი.

ს. დიდი-მანი (გურია)

გლეხობა მადლიერია. ამ ზაფხულზე გვეწვია მოძრავი საექიმო კაბინეტი. ჩვენი სოფელი ცენტრიდან დაშორებულია და კაბინეტის მოსვლამ დიდათ გაახარა გლეხები. სოფელი მადლიერია ჯანმრთელობის განყოფილების და კბილის ექიმ მისჩენკოსი, რომელმაც დაუფასებელი უსასყიდლო დახმარება აღმოუჩინა გლეხებს.

მ—რი.

ს. ჩუმქვითი (ქუთ. მ.)

ხუთი ხუთს იცვლის... რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს სოფელში იმართებოდა სალამო-წარმოდგენები სამკითხველოს შენობის ასაგებათ, მაგრამ შენობა არ სჩანდა. სოფლის ყრილობამ აირჩია სარევიზიო კომისია ნამღვდელარ ნიკოლეიშვილის თავმჯდომარეობით. გამოძიება უმთავრესათ ეხებოდა მეორე ნამღვდელარ სანებლიძეს, რომელიც სამკითხველოს საქმეს განაგებდა. ნიკოლეიშვილის მეოხებით კომისიას არ უმუშავნია და საქმე დღესაც მიფუჩეჩებულია.

ხ.

ზესტაფონი

ძმათა სასაფლაო, თუ საჩიხე? ზესტაფონში ლ. თაბუკაშვილის მოედანზე არსებობს ძმათა სასაფლაო. აქ მარხია ბანდიტ-მენშევიკებთან გმირულათ დაღუპული რამდენიმე წითელარმიელები. კვირა—პარასკეობით ეს სასაფლაო სავსეა ხარკამეჩით და წვრილი საქონელით. ასეთი უყურადღებობა ძმათა სასაფლაოსადმი დაუშვებელია.

ვინზენი.

ს. მარტყოფი (თბილ. მ.)

გაუგებარი მოხსენება. 6 სექტემბერს, წარმოდგენის წინ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავათ მოხსენება გააკეთა ამხ. კარტოზიამ. მოხსენება თავისთავად კარგი იყო, მაგრამ ის თვით ამხ. კარტოზიას და რამდენიმე პირის გარდა არავის ესმოდა, რადგან აჭრელებული იყო ასეთი სიტყვებით: „დიალექტიკა“ „მეთოდიკა“ და სხვა.

ნორდოსტი.

ზუგდიდი.

სოფ. გულშემატკივარი გამომძიებელი. ერთი თვეა, რაც ზუგდიდში გამოგზავნეს გამომძიებლათ ამხ. თვალთვაძე. იმის ნაცვლად, რომ მან შორეულ სოფლებიდან გლეხები დაიბაროს ჩვენებების ჩამოსართმევად და მათ უსარგებლოთ აკარგვინოს სამი და ოთხი დღე, ამხ. თვალთვაძე თვით მოგზაურობს სოფლებში და ადგილობრივ იძიებს საქმეებს. გლეხები მადლობით იხსენიებენ სოფლისადმი გულშემატკივარ გამომძიებელს.

დამსწრე გლეხი.

ს. კონტუათი (სიღნის რ.)

სად დაიკარგა 260 წიგნი? ამას წინათ გარდაცვლილ შვილის სახსოვრათ სოფ. კონტუათის სამკითხველოს გადავეცი 260 ცალი წიგნი. სამკითხველოს გამგე რუხაძე შემპირდა, რომ შემოწირულება აღნიშნული იქნება პრესაში. მას შემდეგ ორ თვეზე მეტმა განვლო და არც ერთ გაზეთში არაფერი ყოფილა აღნიშნული. რა ბედი ეწვია ამ წიგნებს, დღესაც არ ვიცი.

ა. ხვიჩია.

ს. ქ უ ლ ა შ ი.

კომუჯრედი უბინოთ. აქაური პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები დიდ სივიწროვეს განიცდიან უბინობის გამო. მათ არა აქვთ შენობა, სადაც შესაძლებელი იქნება საზოგადო კრების მოწვევა. ზამთრის მოახლოებით ეს საკითხი უფრო მწვავდება. კულაშში ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებს აქვთ საშუალება დროებით მაინც დაუთმონ ბინა პარტიას, მაგრამ ამას არ შვრებიან.

წითელარმიელი ნინუაკუთხელი.

სოფლის ქრონიკა

— **დამსახურებულ მასწავლებელთა იუბილე.** განათლების მუშაკთა კავშირის ოზურგეთის განყოფილებამ დაადგინა იუბილე გადაუხადოს დამსახურებულ მასწავლებელს გიგო შარაშიძეს და ნინო შარაშიძეს, მათი სამასწავლებლო ასპარეზზე 55 წ. აღსანიშნავად.

— **„მხარეთმცოდნეობის“ ხაზ. ბა.** განათ. მუშაკთა კავშირის გორის სამაზრო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე „მხარეთმცოდნეობის“ ხაზ-ბისათვის ინსტრუქტორისა ტ დებულებების გამოგზავნის შესახებ.

— **სახოვი ქარხანა ბობნევში.** ბობნევის სათემო აღმასკომმა (გორის მაზრა) დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ადგილობრივი სახოვი ქარხნის გასახსნელათ საჭირო მანქანების მიწოდების შესახებ.

— **ქოხ-სამკითხველო.** სოფ. ბობნევში (გორ. მაზ.) გლეხების ყრილობამ გადასწყვიტა თავიანთი ხარჯით ააგონ ქოხ-სამკითხველოს შენობა.

ბიბლიოგრაფია

ვ. კოტეტიშვილი ქართული ლიტერატურის ისტორია. I

გამოცემა „[illegible]“

— „არის ხოლმე ისეთი მომენტი ისტორიაში, როდესაც ხელოვნება ტრიბუნათ უნდა იქცეს და საზოგადოებრივი აღფრთოვანების პათოსი თუ სასოწარკვეთილების საშინელება იქიდან უნდა ისმოდეს ამაღლებული ტონით“,—სწერს ავტორი.

მე არ მეგულება ეხლა ისეთი საზოგადოებრივი მოაზრე, რომელიც სავსებით არ გაიზიარებს ამ აზრს. ხელოვნება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან არის შესისხლხორცებული; მეტს ვიტყვით: თითონ ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრებაა.

ქართული ხელოვნების, ქართული მწერლობის შესახებ ყველაზე უფრო ადვილი სათქმელია ეს. საქართველოში მხატვრული მწერლობა ტრიბუნათ იყო გადაქცეული ყოველთვის და „საზოგადოებრივი აღფრთოვანების პათოსი თუ სასოწარკვეთილების საშინელება“ ამ ტრიბუნიდან ისმოდა „ამაღლებული ტონით“.

ავტორს კარგად აქვს ეს ნაჩვენები მე-19-ე საუკუნის დასაწყისის მწერლებზე და, უთუოთ, ეს ექნება ნაჩვენები წიგნის მეორე ნაწილშიაც. საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლათ, განყენებულათ ის არ არჩევს არც ერთ ლიტერატურულ მოვლენას, წარმოუდგენლად მიაჩნია ლიტერატურული ცხოვრება იმ „ფსიქოლოგიური ურთიერთობის“ გარეშე, რომელიც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან საზოგადოებას და „პოეტთა გულისთქმას“.

„წმინდა“ ხელოვნების იდეოლოგები, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულად და მიუღებლად მიიჩნევენ ავტორის აზრს:—„რაც უფრო დიდია პოეტი, მით უფრო ახლო სდგას გარემოსთან, მით უფრო მძლავრათ შეისუნთქავს ეპოქის სულს, მით უფრო ორგანიულად შეეწყობა საზოგადოების განვითარების პროცესს“. მაგრამ ვისთვისაც ეს აზრი მიუღებელია, ის ვერასოდეს ვერ იპოვნის მეცნიერულ კვლევა-ძიების მეთოდს ლიტერატურის და, საერთოდ, ხელოვნების ისტორიაში.

ავტორს ნაპოვნი აქვს ეს მეთოდი, როცა, მაგალითად, ამბობს: „რაც უნდა ინდივიდუალური იყოს ნაწარმოები, მაინც იგი ეპოქის მიერ არის ნასულდგმულევი, და მაშასადამე მაჩვენებელი ორიგინალობის ფესვები მაინც პიროვნების გარეშე იმყოფებიანო“.

ამ მეთოდით ავტორს მოხერხებულათ გამოუდის ლიტერატურის ისტორიის გაშუქება. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ სწორი მეთოდის პოვნა კიდევ არ ნიშნავს იმის სავსებით დამორჩილებას (овладение) და გამოყენებას.

ამ მხრივ არ სჩანს წიგნში შეურყევლობა. ერთ ალაგას ვკითხულობთ: „პოლიტიკურ-ეკონომიური რიგის მოვლენები ხშირად ახდენენ გავლენას კულტურის სფეროზე, მაგრამ კულტურული აღორძინების თუ დაცემის ფაქტები სულ სხვა სივრცეში იშლებიან. აქ ჩვენს წინ იშლება ფსიქოლოგიის ვრცელი ქვეყანა და ამ მეორე შემთხვევათა ახსნის საშუალებანიც ფსიქიურ ფაქტორების სამყაროში უნდა მოიძებნოს“.

ეს დებულება, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ავტორის ყველა ზემოთ ამოწერილ დებულებებს. სამწუხაროდ, ის გაკვრით ეხება ამ უდიდეს პრობლემას და ამიტომ ხელი ეშლება [illegible] კვლევა-ძიებაში. ვერ აქვს გამორკვეული ამიტომ, რამდენად იყო დაკავშირებული საქართველოს სულიერი კულტურა ეროვნული ნებისყოფის სიმტკიცე ეკონომიურ და პოლიტიკური ვითარების პროცესთან. რით აიხსნებოდა, მაგალითად, რომ ეკონომიურ და პოლიტიკურ დაქვეითებას თან ახლდა ხოლმე ეროვნული აღმაფრენა?—ამ საკითხის მეცნიერულად გაშუქება დიდი მიღწევა იქნებოდა საქართველოს შემეცნებაში, ამას ექნებოდა საკაცობრიო მნიშვნელობაც. მეცნიერულ გაშუქებისთვის კი სრულიად არ კმარა ასე გაკვრით მითითება „ფსიქიურ ფაქტორების“ სამყაროზე.

ამითი აიხსნება, რომ ავტორს მექანიკურად გამოუდის ეკონომიური, კულტურული, პოლიტიკური „ფონის“ და ისტორიულ-ლიტერატურული მსვლელობის შეწყობა ერთიმეორესთან. ამითი აიხსნება ისიც, რომ ერთი და იგივე მწერლის შემოქმედებაში მკრთალად არის გამორკვეული სხვადასხვა მომენტების გადაქცევა ერთ მთლიან პროცესათ. მკითხველის შთაბეჭდილებაში სხვადასხვა ნაკადულებათ რჩებიან ამა თუ იმ მწერლის სევდიანობა და ეპიკურეიზმი, მგრძნობელობა და ეროვნული წუხილი...

საყურადღებო პრობლემაა ევროპის გავლენის გამორკვევა ქართული კულტურის მიმდინარეობაზე. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოსაც ევროპისკენ შეუბრუნდა პირი და, ცხადია, ევროპა თავის ელფერს დაატყობდა ქართულ გონებრივ შემოქმედებასაც.

ხანგრძლივი და გაღრმავებული კვლევა-ძიებაა კიდევ საჭირო, რომ ეს პრობლემა სავსებით გამოირკვეს. ავტორის დიდ დამსახურებათ უნდა ჩაითვალოს ამ პრობლემის დაყენება. გამოკვლევაში კი ვერ ეტყობა ის თვითრწმენა (самоуверенность), რომელიც საჭიროა მეცნიერისთვის. ის შემთხვევითი ნიშნებით არკვევს საქართველოს და ევროპის კულტურულ ურთიერთობას და ისე გამოჰყავს დასკვნები, თითქო ვერ არის ჯერ თვითონ დარწმუნებული ამ დასკვნების სისწორეში.

სოციალური აზრების გამოკვლევა ქართულ მწერლობაში უთუოთ უნდა დაისახოს საგნად ისტორიკოსმა. ჩვენ ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის გავლენას მიეწერება მოქალაქეობრივი თანასწორობის აღიარება და წოდებრივი ზღუდეების უარყოფა. მაგრამ არ შეიძლებოდა საქართველოს სინამდვილეშიაც არ ჰქონოდა ნიადაგი იმ მოვლენას, რომ სწორეთ ზედა წოდებიდან გამოსული მწერლები ატარებდენ ამ სოციალურ აზრებს თავის ნაწერებში.

ავტორს აქვს შესაძლებლობა მომავალ თავის გამოკვლევებში უფრო სავსეთ და ყოველმხრივ გამოიყენოს საინტერესო მასალები. ვერ დავეთანხმები, როცა ის დამთავრებულათ სთვლის თავის შრომას და... სხვა მკვლევრებმა გააკეთონ ის, რაც მე ვერ შევსძელიო. საქართველოს ლიტერატურის ისტორია, რასაკვირველია, არ არის ერთი და ორი მკვლევარის საქმე. მაგრამ ხსენებული წიგნის ავტორი უთუოთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ამ მკვლევართა რიგში.

ს. დევდარიანი.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „კომუნისტის“ № 204 მოთავსებულია ცნობა აგარაკ ბახმაროს ფ.-ტელ. განყ. უფროს ამხ. ლ. ჯიბლაძის შესახებ, თითქოს მას ჩხუბი მოსვლოდეს გლეხ გიორგაძესთან, რევოლვერი ესროლოს მისთვის და აღშფოთებულ გლეხობას ჯიბლაძისთვის იარაღი აეყაროს. გაცნობებთ, რომ, როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, არც ერთი ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება. გარდა ამისა გიორგაძე მიკიტანია და არა გლეხი.

ოზურგეთის პირველი რაიონის
მილ. უფროსი: დოლიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კუჭუხიძესთან:

1. დოლიძე თედორე გიგოს ძე, 2. ბერძენიშვილი მარიამ ესტატეს ასული, 3. პელიძე პლატონ, 4. ბერიძე ივანე, 5. ზაქარეიშვილი, 6. აშრაფოვა კ. ა. (ამიერკავკასიის კომუნისტ. უნივერსიტეტი), 7. ტაბუროვა ა. ა., 8. ბუხნიკაშვილი ვასილ გიორგის ძე, 9. ქვრივიშვილი აბრამ გიორგის ძე.

— საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომი აუწყებს რაიკომის ყველა წევრებს, რომ 24 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში, გაიმართება რაიკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა, უჯრედთა ბიუროების მდივანთა, წევრთა და რკინისგზელთა პროფკავშირის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

დღის წესრიგი: 1) ამხ. ვარლამოვის მოხსენება—ნორმების შემმუშავებელ ბიუროს მუშაობა მთავარ სახელოსნოებთან.

2) ა | კ. სატრანსპ. სამომხმარებლო საზოგადოების მოხსენება წვრილ-სადუქნო კრედიტის შესახებ.

3) ლენინის რაიონის ახალგ. ლენინურ კომკავშირის რაიკომის მდივნის მოხსენება.

4) ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების მოხსენება.

5) სარაიონო კონფერენციის მოწვევის და მისი დღის წესრიგის შემუშავების შესახებ.

6) რაიკომის ბიუროს ოქმის დამტკიცება.

7) მიმდინარე საქმეები.

ლენინის რაიკომის მდივანი ქავთარაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სთხოვს უმაღლეს სასწავლებელთა და მუშფაკების ყველა კომუნისტ-სტუდენტებს, რომლებიც მიმაგრებული არიან სხვა უჯრედებთან საზაფხულოთ, გამოცხადდენ ორი დღის ვადაში რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ ქვეგანყოფილებაში უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებთან მისამაგრებლად.

სარაიონო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მოადგილე სტ. აკოპოვი.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირთან არსებული განსაკუთრებული კომისია აცნობებს ხელოვნების კავშირის წევრებს კონსერვატორიის დამსახურებული პროფესორის

ევგენი კარლოს ძე რიადნოვის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია კონსერვატორიის (გრიბოედოვის ქ. № 8) 2 ნახ. საათზე სამშაბათს, 22 სექტემბერს, გამოსვენება კონსერვატორიიდან 4 საათზე სამშაბათს, 22 სექტემბერს. (დაკრძალვა მოხდება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე).

1-1 ნ. 1751

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის პროფესორ რიადნოვის დამკრძალავი კომისია ამით აცხადებს, რომ დამსახურებული პროფესორის

ევგენი კარლოს ძე რიადნოვის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 22 სექტემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში 2 ნახ. საათზე. გამოსვენება იქიდანვე 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1-1 ნ. 1751

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი ივანე იოსების-ძე ქუმსიაშვილი და ელისაბედ ივანეს ასული, ლევან დავითის ძე ხუციშვილები აუწყებენ ყველა გულშემატკივარ ნათესავებს და მეგობრებს, პირველის შვილის, მეორის ძმის და მესამის მოყვარეს

თეიმურაზ ივანეს ძე ქუმსიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1-1 2585

დამწუხრებულნი რაჟდენ გიორგის ძე ჯავრიშვილი, მარიამ გიორგის ასული თარხნიშვილისა, იასონ მაღალაშვილი მეუღლით და შვილებით, ივანე ჟამუტაშვილი მეუღლით და სიდედრით აუწყებენ ნათესავებს, რომ სოფ. ერთაწმინდაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პარმენ გიორგის ძე ჯავრიშვილი

დაკრძალვა 22 სექტემბერს, ერთაწმინდაში. 1-1 2584

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი მეუღლე მარიამ ივანეს ასული, შვილები: ვალოდია, ნოე და ტარიელი, ძმა ნესტორ მეუღლით ოლღა არჯევანის ასულით, ძმის-წულები: მინადორა, ლუარსაბ, ემელიანე, ეკატერინე, ქეთევან, მარგალიტა და ამირანი, დები: ელპიტი და მართა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ნოე გლახუნის-ძე სიხარულიძე

გამოსვენება სამშაბათს, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, პლეხ. პროსპ. № 103 სასტუმრო „ნოე“. დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე. 2569 1—1

სასადილო „ნოე-“ს თავზარდაცემულნი მომუშავენი, 1-ლ ცენტრალური მშრომელთა არტელის წევრები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 19 სექტემბერს ვერაგულათ მოჰკლეს

ნოე გლახუნის-ძე სიხარულიძე

რომლის დასაფლავება დანიშნულია სამშაბათს, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე 1—1

2569

გულდათუთქული შვილები: ანიკო ჩოლოყაშვილისა ქმრით, ბაბო გამრეკელისა ქმარშვილით, ძმა ვანო ტყავაძე ცოლშვილით და სონა ტყავაძე, ძმისწულები და დისწულები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა თვის 20-ს ქ. თელავში გარდაიცვალა

ნუცო ხირსელისა

დაკრძალვა იქვე. 2577—1—1

---

16 ამა ენკენისთვეს ქალ. ლიუქსემბურგში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა

ნიკოლოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი

რასაც აუწყებენ ღრმა მწუხარებით ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის და მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა, სიძე ივანე ჯავახიშვილი, შვილები და შვილიშვილები. პანაშვიდი დანიშნულია ოთხშაბათს 23-ს, სექტ. საღამოს 5 ს. სიონის ტაძარში.

2579—1—1

მეგრელების საყურადღებოდ

მეგრელთა კრება, რომელიც დანიშნული იყო
ხელოვანთა სასახლეში
შაბათს, სექტემბრის 19, გადადებულია
ოთხშაბათისათვის, სექტემბრის 23, რუსთაველის თეატრში
საღამოს შვიდ საათზე.
ბილეთები ამ თვიდან რიგდება
საექსპედიციო კანტორაში—რუსთაველის პრ. № 12
რუსთაველის თეატრის პირდაპირ
კანტორა ღიაა დილის 10 სა-დან საღამოს 6 საათამდე, ყოველდღე.
3—3 ნ. 1734 საინიციატივო ბიურო.

მასწავლებელთა საყურადღებოდ!

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში მთავრობის მიერ ნებადართული ახალი სახელმძღვანელოები:

სიმ. ოცხელის და პლ. წულუკიძის—არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ბუნებასა და შრომის ცხოვრებაზე დამყარებული.

წელიწადი პირველი—50 კ., წელ. მეორე—50 კ.

მზადდება წელიწადი მესამე.

საწყობის მისამართი: ქუთაისი, ლიბკნეხტის ქ., დავით ოცხელის წიგნის მაღაზია. 5—5 2472.

ა. წ. 24 სექტემბერს იხსნება ქალაქის პირველი ტუბერკულიოზის დისპანსერი

(კამოს ქუჩა № 103).

ავადმყოფთა მიღება იწარმოებს დღის 3—6 საათამდე

ნ. 1752 1—1.

დღეს იხსნება

კინო „აპოლო“ (კაპიტალურ შეკეთების შემდეგ)

ნაჩვენები იქნება საუკეთესო სურათი მაქს ლინდერის მონაწილეობით

„ცირკის მეფე“

მოგვყავს ამონაწერი კინო-ჟურნალ „სინე-მაგაზინ“-იდან ამ სურათის შესახებ:

„იშვიათად უჩვენებენ საზოგადოებას ამგვარ კომიკურ სურათებს. სურათის სცენარი, რომელშიაც კომიკურ მდგომარეობასთან ერთად გვხვდება სთუკარი ტრიუკები, ძალიან განსხვავდება სხვა კომიკურ სურათებისაგან. მაქს ლინდერი ოხუნჯია, მისი თამაში იწვევს მაყურებელში ისეთსავე სიცილ-ხარხარს, როგორც 1910 წელს“.

პროგრამის გარეშე: **საკავშირო ავტო-გადარბენა** („კავკავ-ტფილისს შორის). სურათის გადაღებაში მონაწილეობას იღებდა 10 ოპერატორი.

საქართველოს კინო-მრეწველობის გამოცემა.

ყურადღება: იმ მიზნით, რათა საშუალება მიეცეთ ფართო მასებს ნახონ სურათები, დღეიდან ფასები პირველ სეანსზე პირველი ნაწილის დაწყებამდე დაკლებულია: პარტერი—35 კ., ამფიტეატრი—25 კ., IV ადგილი—20 კ.

სურათის ჩვენების დროს უკრავენ როიალზე პიანისტი-იმპროვიზატორები ამხ. ნიკოლაევი და ჯაბადარი.

ნ. 1749 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დიათერმია და

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ დაავადებათ ავადმყოფთათვის [illegible]

ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9203 25—15

ექიმი ვ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით. საღამოობით 5-დან 7 საათ., დილით 7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვენით (1 უბანი). 25—1

ექიმი ა. ს. შონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. [illegible]). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის [illegible] საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

გაფრთხილება გაფრთხილება

ნამდვილ „სეკარის სითხე-ს“ ლაბორატორიიდან

გალენ-მოსკვა

უნდა ჰქონდეს აუცილებლად მწვანე ბანდეროლი წარწერით

КОНТРОЛЬ **СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ** генеральное представительство в ЗСФСР, Тифлис пл. Своб. № 2

უბანდეროლოთ და უწარწეროთ „სეკარის სითხის“ პრეპარაციის სინამდვილისათვის ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელი, და ამიტომ მოითხოვეთ უსათუოდ ბანდეროლით და ზემოაღნიშნული წარწერით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იშოვოთ სეკარის სითხე მწვანე ბანდეროლით, მიმართეთ უშუალოთ მთავარ საწყობში. წერილები, შეკვეთა და ფულები უნდა გამგზავნოთ შემდეგი მისამართით:

კოოპერატივ „გალენი“-ს წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში, ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 2 განყოფილება 3.

Зак. представ. кооператива **„ГАЛЕН“** Тифлис, площадь Свободы № 2, отд. 3

მთავარ საწყობიდან გაიგზავნება 25 პროც.-ის ბეს მიღების შემდეგ არა ნაკლებ 4 ფლაკონისა

ფლაკონის ფასი 2 მან. 50 კაპ.

სეკარის სითხე დიდი წარმატებით იხმარება: ნევრასტენიის, საერთო და სქესობრივ უძლურების, ძალების დასუსტების, დაქანცულობის, სისხლნაკლებობის, არტერიოსკლეროზის, რევმატიზმის, ხერხემლის ავადმყოფობის (сухотка), მოხუცებულობის ნიადაგზე კაუძლურების დროს, მძიმე ავადმყოფობათა: ათაშანგის, ტიფის, მშობიარობის, სისხლის დაკარგვის, ონანიზმის და სხვ. შემდეგ.

ბროუნ-სეკარის სითხის დამზადება და გამოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნებადართული აქვს მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივს „გალენ-მოსკოვი“-ს ქიმიურ-ფარმაცევტულ ლაბორატორიის ორგანო-თერაპევტიულ განყოფილებას

ავადმყოფებს რომელნიც არ იცნობენ სეკარის სითხის მოქმედებას, ურჩევთ ამოსჭრან ეს განცხადება და წარუდგინონ რომელიმე ექიმს დარიგების მისაღებად.

ყველა ექიმები ვინც სეკარის სითხის ხმარება სცადა ავადმყოფებზე, უაღრესად კმაყოფილი არიან **ყველა ექიმები**

სეკარის სითხე ნებადართულია ჯანმრთელ. სახ კომისარ. მიერ № 8362

სეკარის სითხე ტფილისში იყიდება აფთიაქების სამმართველოს, სახელმწ. საექიმ. ვაჭრობის სამმართველოს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში. ნ. 1740 0—1

განათლების მუშაკთა კლუბში

სამშაბათს, 22 ენკენისთვეს, გაიმართება მსახიობ

ქეთო ანდრონიკაშვილის საღამო

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

1925 წლის 21 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ტფილისში (სადგურის ქ. № 1) სამეურნეო მატერიალური განყოფილების ბინაზე ნიშნავს

შერეულ საჯარო ვაჭრობას

საკანცელარიო და სახაზავ ნივთების მიწოდებაზე. ღირებულება მისაწოდებელ ნივთებისა უდრის დაახლოვებით 65,000 მანეთს.

რკინისგზათა სამმართველო უფლებას იტოვებს შეამციროს ან გაადიდოს მისაწოდებელ ნივთების რაოდენობა ერთი მესამედით და აგრეთვე გადასცეს მიწოდება სავსებით ერთ პირს ან ნაწილობრივ მიწოდება უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილად კვარტალების მიხედვით.

სახელმწიფო დაწესებულებებმა, კოოპერატიეებმა და სხვებმა, ვისაც სურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში, უნდა შემოიტანონ სალერბო გადასახადგადახდილი წერილობითი განცხადება სათანადო დოკუმენტებთან ერთად და ფასების აღნიშვნით ფრანკო-სადგური ტფილისი. შეიძლება განცხადების ჩაგდება შემოსავლელთან გაკეთებულ ყუთში.

კონვერტზე უნდა იყოს ასეთი წარწერა:

„საჯარო ვაჭრობისათვის საკანცელარიო და სახაზავ ნივთების მიწოდებაზე“.

ამას გარდა საჯარო ვაჭრობამდე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მისაწოდებელ ნივთების ნიმუშები. ვინც არ არის განთავისუფლებული გირაოს შეტანიდან, უნდა წარმოადგინოს ასეთი ვაჭრობის დაწყებამდე მისაწოდებელ ნივთების ღირებულების ათი (10) პროცენტის რაოდენობით.

ცნობების და დაწვრილებითი სპეციფიკაციის მიღება შეიძლება ტფილისში სამეურნეო-მატერიალურ განყოფილებაში (ოთ. №№ 318—316), მოსკოვში—კომერციულ სააგენტოსთან არსებულ დასამზადებელ განყოფილებაში (კარუნინის მოედანი, სახლი № 6, ყოფ. საბირჟო მოედანი) ვაჭრობის დღის 11 საათამდე.

ნის. 1748—1—1

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის საკანცელარიო ნივთების და საწერ. ქაღალდის განყოფილებამ

მომავალ სამოსწავლო სეზონისათვის **მიიღო** დიდძალი სხვადასხვაგვარი საკანცელარიო ნივთები საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთელ ფაბრიკა-ქარხნებიდან

წიგნები, რვეულები, საკუთარი ნაწარმოები ასაკინძავი მასალები

ბითუმად მყიდველებს—შეღავათი. საქონლის გაცემა სწარმოებს ყველაზე, როგორც საბითუმო საწყობიდან, ისე მაღაზიებიდან.

შეკვეთების მისაღებათ აგენტები გაიგზავნებიან პირველ მოთხოვნილებისამებრ

მთავარი კანტორა და საბითუმო საწყობი:
პლეხანოვის პროსპექტი № 37, ტელეფონი 20—54

მაღაზია № 1—თავისუფლების მოედანი № 7, ტელეფ. 14—95.
მაღაზია № 2—კ. მარქსის მოედანი № 3, ტელ. 8—00.

ასაკინძავ მასალების ფაბრიკა:
პლეხანოვის პროსპ. № 50, ტელეფ. 7—48.

ნ. 1732 2—1.

ექიმმა შუხმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები დღის 2—8 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

21—1

დოქტორი ნევროპათოლოგიის

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალიხანოვის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—21

დაჰკარგა მატრიკული გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტიდან № 1402 ივანე ჩაჩანიძის სახელზე. ჩ. გ. 2573 1—1

დაჰკარგა პირადობის წიგნაკი არჩილ ერასტის ძე კვეკვეციას სახელზე. ჩ. გ. 2570 1—1

დაჰკარგა სარეგისტრაციო ბარათი გიორგი ალექსის ძე გიორგობიანის სახელზე. ჩ. გ. 2571 1—1

დაჰკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი, გაცემული სამხატვრო კავშირის მიერ იოსებ გაბრიელის ძე აკოფოვის სახელზე ჩ. გ. 2572 1—1

დაჰკარგა მიმართვა ფინსახკომის რწმუნებულის სამართველოსი № 4142, სხვადასხვა საბუთებით სიმონ ხოშტარიას სახელზე. ჩ. გ. 2573 1—1

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1480 თამრო გ. შათირიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2574 1—1

დაჰკარგა პირადობის მოწმობა და საბინაო წიგნი (შაქრიანის ქუჩა) პეტრე სოლომონის ძე ფოდიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2581 1—1

დაჰკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 299 ნიკოლოზ ყოფლანის ძე ონანაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2583 1—1

დაჰკარგა პირადობის მოწმობა და საწევრო წიგნაკი № 82. სტეფანე იაკობის ძე ფეიქაროვის სახელზე. ჩ. გ. უფ. 1—1

დაჰკარგა პარტბილეთი ლავრენტი როსტომის ძე ჩაკვეტაძის სახელზე. ჩ. გ. 2578 1—1

დაჰკარგა ტრამვაის უფასო აბონიმენტი № 257 ა. კონსტანტინე მაიოროვის სახელზე. ჩ. გ. 2580 1—1

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე ივლიანეს ძე ჩიქოვანის სახელზე. ჩ. გ. 2582 1—1

---

27 სექტემბერს ლეჩხუმის სამაზრო ცენტრში ქ. ცაგერში გაიხსნება დიდი

ბაზრობა

რომელიც გაგრძელდება ერთ თვეს.

3—3 ნ. 1725 ბაზრობის კომისია.

მეკასრეთა ამხანაგობა

ქ. თელავის სადგურთან გაიხსნა

მეკასრეთა (საბონდრო) ამხანაგობის ქარხანა, რასაც ვაცნობებთ ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს და აგრეთვე კერძო პირებს, რათა მოგვმართონ ყოველგვარ ახალი კასრების შესაკეთებლად და ძველების შესაკეთებლად. აქვე ვღებულობთ კასრების ორთქლით გარეცხვას, რასაც ვასრულებთ პირნათლად და ყველასთვის ხელსაყრელ ფასებში.

1—1 2535 ამხ—ბა „კახეთის კასრი“

სწარმოებს ჩაწერა

მსმენელთა

ა. | ქ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ დაარსებულ

საქმისწარმოების

საღამოს მოკლევადიან

კურსებზე

პარალელურად ლექციების კითხვით რუსულ და ქართულ ენებზე. მსმენელებათ ჩაირიცხებიან პირველ რიგში დაწესებულებებიდან მივლინებულნი. კურსებზე ჩაწერა წარმოებს ა. | წ. 26 სექტემბრამდე ა. | ქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში (გრიბოედოვის ქ. № 19 ოთახი 18) ჩაწერის დროს წარმოდგენილ უნდა იქნეს დაწესებულების მივლინების დასტური და 20 მანეთი თითო მსმენელისაგან.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება იქვე.

2529—2—2 ადმინისტრაციო ტექნიკის სექცია.

ტფილისის კომუნალური წყალსადენისაგან

1) ტფილისის კომუნალური წყალსადენი ამით წინადადებას აძლევს თავის აბონენტებს წყალსადენიდან მიიღონ სახლის წყლის წიგნები, შეიტანონ მასში ყველა სახლის მცხოვრებნი, დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელნიც მოთავსებულნი არიან მათივე სახლებში და წარმოადგინონ სარეგისტრაციოთ, რის თანახმადაც შეღავათის უფლების მქონე პირებს უნდა მიეცეთ შეღავათები თანახმად ა | წ 7 აპრილის № 29 სავალდებულო დადგენილებისა.

2) სახლის წყლის წიგნების გაცემა სწარმოებს მუდამ დღე წყალსადენის სამმართველოში, ფ. მახარაძის ქ. № 1 (ვასკევიჩის) დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

წიგნის მისაღებად მოსულმა აბონენტებმა უნდა წარმოადგინონ ძველი წყლის წიგნები.

3) ახალი წიგნები ზონარ გაყრილი დაბეჭდილი და წყალსადენის მიერ ხელმოწერილი ამა წლის 15 ოქტომბრამდე მიღებულ უნდა იქნეს ყველა აბონენტების მიერ განურჩევლად იმისა, იმყოფებიან იქ შეღავათის უფლების მქონე პირნი თუ არა.

4) სახლის მოსახლეობის ახალი წიგნით რეგისტრაციაში გატარება აბონენტებმა უნდა მოათავონ ა | წ. 25 ოქტომბრამდე.

ახალი წიგნების რეგისტრაციაში გატარების დროს წარმოდგენილი უნდა იყვეს: 1) ძველი წიგნები, 2) სახლის სამილიციო წიგნი და 3) პირადი საბუთები, მხოლოდ ახალი შეღავათების უფლების მქონე პირებისა. სახლიდან გასული მობინადრეები, რომელნიც ძველ წყლის წიგნებში ირიცხებიან, ახალ წიგნში გადაწერის დროს არ უნდა იყვნენ შეტანილნი.

5) ნოემბერში წყალსადენის კონტროლიორების მორიგ ჩამოვლის დროს წყალსაზომებიდან ჩვენების აღებისას, აბონენტები მოვალენი არიან წარუდგინონ ახალი წყლის წიგნები და რომელი აბონენტიც ასეთს არ წარმოადგენს, წყალი დაეკეტება.

წყალსადენის დირექტორი ხოჯაევი.

3—3 ნ. 1726 კანცელარიის გამგე: ჭურთიშვილი.

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი ირინე კობულოვის სახელზე. ჩ. გ. 2575 1—1

დაჰკარგა პარტბილეთი № 490378 ფარნაოზ გიგოს ძე ელიავას სახელზე ჩ. გ. 2575 (ა) 1—1

დაჰკარგა მთლიანი პარტბილეთი № 495717 ილია სტეფანეს ძე დუდუჩავას სახელზე. ჩ. გ. 2575 (ბ) 1—1

დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 412 იასონ ნადირაიას სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

დაჰკარგა საკანდიდატო ბარათი № 7365 ბესო მიხეილის ძე ბერკაცაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

დაჰკარგა პარტიის საკანდიდატო ბარათი № 1, კომკავშირის საწევრო ბარათი № 130001, ავიაქიმის და რემედასის მოწმობა ივანე კონსტანტინეს ძე ოქროპირიძის სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

დაჰკარგა საკანდიდატო ბარათი № 5469 და სამთო-მადნო პროფკავშირის წიგნაკი № 1925 პლატონ სამხარაძის სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

დაჰკარგა რეგისტრაციის ქაღალდი, პატენტი ფეხზე ვაჭრობის და პირადობის მოწმობა გრიგოლ იოსების ძე ოგანეზოვის სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

დაჰკარგა სამხედრო აღრიცხვის ფურცელი № 1368 ბესარიონ თომას ძე ასანიძის სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 823 და მეტრიკული ამონაწერი № 772 სარდიონ მიხაკოს ძე ბუცირეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2576 1—1

ტირაჟი—20.034

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სამ წულუკიძის ქ. № 4